ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

3 სექტემბერი **ხუთშაბათი** 2009

№ 207 (12 886) ფასი 60 თეთრი

საქართველო-იტალია

# კუპერი დაცვაში



>> გვერდი 2



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

# ხმალაძე დაშავდა, მენთეშაშვილი ბრუნდება

## ფხაკაძეც შემდგომ ეტაპზეა




გუშინ მილანში მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ორმა ქართველმა იასპარეზა. 60 კგ წონით კატეგორიაში **კობა ფხაკაძემ** ლიტველ **აურიმას ნაუდიუსს** მოუგო - 17:10 (4:5, 8:2, 5:3). ფხაკაძე გავიდა 1/16 ფინალში, სადაც **გაბრიელ პოდასკას** (რუმინეთი) შეხვდება.

სამწუხაროდ, დამარცხდა და ჩემპიონატს დაემშვიდობა 75 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე **ლევან გულედანი**. მან ამერიკელ **სტივ როლსთან** წააგო - 3:10 (1:2, 2:4, 0:4).

დღეს მილანის რინგზე კიდევ სამი ჩვენებური ავა: **ერანოზ ჩეჩელიანი** (48 კგ), **კახა ქვანია** (69 კგ) და **დავით ნიკლაური** (91 კგ).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




## ვა OK!

ცქიტიშვილი საბერძნეთისკენ >> გვერდი 12

## ბელარუსი-საქართველო ტელეეკრანზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ეროვნული ნაკრები | საქართველო-იტალია | ამხანაგური მატჩი





ლევან ხმალაძე დაშავდა

# კუპერი დაცვაში დადგა

## ნაკრებს მენთეშაშვილი დაუბრუნდა

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა გუშინ საღამოს კვლავ თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემიის მოედანზე ივარჯიშა. ვარჯიში ამჯერადაც ღია იყო, მას საკმაო რაოდენობის გულშემატკივარი დაესწრო.

როგორც უკვე იცით, **ექტორ კუპერის** გუნდს **გიორგი მერებაშვილი** გამოაკლდა. სამაგიეროდ, გუშინ ნაკრებს დაუბრუნდა **დავით დევდარიანი**, რომელმაც ოჯახური პრობლემების გამო, წინადღეს ვერ ივარჯიშა.

შეთხელებული შემადგენლობის შესავსებად კუპერმა **ზურაბ მენთეშაშვილს** უხმო, რომელსაც ბოლო პერიოდში მიზეზთა გამო, არაერთი სანაკრებო მატჩი გაუცდა. თუ ისრაელში ახალგადასული მენთეშაშვილი ჩვეულ ფორმაში იქნება, ქვეყნის მთავარ გუნდს დიდ დახმარებას გაუწევს. წესით, იგი თბილისში გუშინ, გვიან საღამოს უნდა ჩამოფრენილიყო. რაც შეეხება **ოთარ მარცვალაძეს**, როგორც გვითხრეს, სავიზო პრობლემების გამო, მისი რუსეთიდან ჩამოსვლა გამოირიცხა.

გუშინდელ ვარჯიშში კი მონაწილეობა 21-მა ფეხბურთელმა მიიღო. ესენი არიან: **ლომაია, მამალაძე, ბედიაშვილი, კალაძე, ხიზანიშვილი, ა. კვახაძე, გ. კაშია, ლობჟანიძე, სანაია, ფოფხაძე, თ. ღონღაძე, კობიაშვილი, ყენია, ანანიძე, რაზმაძე, ხმალაძე, ცქიტიშვილი, სეთურიძე, დევდარიანი, დვალიშვილი** და **ვაწაძე**.

ნაკრების გუშინდელ წვრთნაში, რომელმაც საათ-ნახევარს გასტანა, ახალი და განსაკუთრებული არაფერი გვინახავს. კუპერმა და მისმა შტაბმა აქცენტი კვლავ სწრაფი კომბინაციების დამუშავებაზე გააკეთეს. დიდი დრო დაეთმო ფლანგურ ჩაწოდებებს, ფეხბურთელები საჯარიმოში ხან მაღალ ბურთებს კიდებდნენ, ხანაც გამჭოლ გადაცემებს აკეთებდნენ. კუპერი, რომელიც ამ დროს თვითონვე ასრულებდა მცველის ფუნქციებს, ამ ელემენტარული კომბინაციის შესრულების დონით უკმაყოფილო დარჩა და სამართლიანადაც - ჩვენი ნაკრების წევრებს საკმაოზე მეტი წუნი ჰქონდათ, ზოგი ხეირიანად ვერ აწვდიდა, ზოგიც ახლო მანძილიდან ბურთს ფეხს ვერ უხვედრებდა. იმედია, იტალიასთან მატჩში ამ მხრივ მეტ სიზუსტეს ვნახავთ.

მეკარეები დანარჩენებს თავიდანვე გამოეყვნენ და **მამუკა აბუსერიძის** ხელმძღვანელობით ივარჯიშეს. ისინი საერთო ჯგუფს მხოლოდ ბოლოსკენ შეუერთდნენ. შეიძლება ეს არაფერს ნიშნავს, მაგრამ კიპერთაგან ყველაზე მეტად ზურაბ მამალაძე დაიტვირთა, დილის ვარჯიშის დროს კი ორმხრივ თამაშზე იგი იმ ფეხბურთელთა მხარეს თამაშობდა, ნაკრების ძირითადში ხშირად რომ ვხედავთ...

საინტერესო იყო "კვადრატი", რომელიც ჩვენმა ფეხბურთელებმა ნახევარ მოედანზე ითამაშეს. კუპერმა შეგირდები სამ ნაწილად გაყო, ართმევა 5-6 ფეხბურთელს მონაცვლეობით ევალებოდა. ყველა ჯგუფში სხვადასხვა პოზიციის მოთამაშეები მოხვდნენ.

ჩვენი ნაკრების წევრებმა მოკლე და გრძელი პასებიც შეასრულეს და ვარჯიშის დასაწყისში, შუაში და ბოლოში მოთელვაც ჩაატარეს. მოთელვა კუპერის რჩევა-დარიგებების ფონზე მიმდინარეობდა.

წვრთნა დიდი ხნის დაწყებული არ იყო, **ლევან ხმალაძემ** ფეხი რომ იტკინა. მან ვარჯიში მაშინვე შეწყვიტა, ექიმებმა ყინულები დაადეს. ნაკრების მედიკოსთა თქმით, საშიში არაფერია და დინამოელი დღეს ჩვეულებრივად ივარჯიშებს.

დღევანდელ ვარჯიშს საქართველოს ნაკრები ეროვნულ სტადიონზე, საღამოს შვიდის ნახევარზე ჩაატარებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



მეკარეები მამუკა აბუსერიძემ ავარჯიშა

ფიფას რეიტინგი | სექტემბერი

## მალტამ ცხრა საფეხურით დაგვწია

ფიფამ გამოაქვეყნა სექტემბრის რეიტინგი, რომელშიც აგვისტოში ჩატარებულ მატჩებში ნაჩვენები შედეგებია შეჯამებული. სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრების უკუსვლას ბოლო არ უჩანს, მით უფრო, ამაში გასაკვირი არაფერია მალტასთან მარცხის შემდეგ. 12 აგვისტოს სირცხვილმა ერთბაშად 9 საფეხურით დაგვაქვეითა და ახლა 112-ე ადგილზე ვართ. რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, ისეთი ქვეყნები გვისწრებენ, როგორებიცაა ფიჯი, ბარბადოსი, ანტიგუა და ბარბუდა, გრენადა, ჰაიტი, მალავი... მალტა კი საქართველოსთან გამარჯვების შემდეგ 6 პოზიციით დაწინაურდა.

...მაგრამ ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ. რაც შეეხება ევროპულ მასშტაბს, ძველი კონტინენტის 53 ქვეყანას შორის საქართველო 43-ეა. ევროპული სახელმწიფოებიდან ჩვენ უკან ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი, ანდორა, მალტა და სხვა ამ ტიპის ნაკრებები არიან.

ახლა მეტოქეებზეც ვთქვათ. აგვისტოში იტალია ერთი საფეხურით დაწინაურდა და ახლა მე-4 პოზიციას ამაგრებს. ასევე დაწინაურდნენ ბულგარეთი (4 საფეხურით) და ჩერნოგორიაც კი, რომელსაც მიმდინარე საკვალიფიკაციო ეტაპის დაწყებამდე სულ ცოტა სამი ათეული პუნქტით ვუსწრებდით. ბალკანური ნაკრები კიდევ 7 პოზიციით დაწინაურდა, ახლა 89-ე ადგილზეა და მთელი 23 საფეხურით გვისწრებს.

| ნაკრები | ქულა |
|---|---|
| 1. (0) ბრაზილია | 1604 |
| 2. (0) ესპანეთი | 1588 |
| 3. (0) ჰოლანდია | 1376 |
| **4. (1) იტალია** | **1186** |
| 4. (0) გერმანია | 1186 |
| 6. (0) რუსეთი | 1129 |
| 7. (0) ინგლისი | 1127 |
| 8. (0) არგენტინა | 1113 |
| 9. (1) ხორვატია | 1101 |
| 10. (-1) საფრანგეთი | 1040 |
| **19. (4) ბულგარეთი** | **860** |
| **38. (-1) ირლანდია** | **743** |
| **76. (-3) კვიპროსი** | **429** |
| **89. (7) ჩერნოგორია** | **380** |
| **112. (-9) საქართველო** | **296** |

**დავით ცაბაძე**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

U 21 საკვალიფიკაციო მატჩების წინ

# საგურამოდან ევროპისკენ

საგურამოში გუშინდელმა ვარჯიშმა საათნახევარს გასტანა. მთავარი მწვრთნელის თანაშემწე **გელა ინალიშვილის** თქმით, ფეხბურთელები მსუბუქად დატვირთეს - იყო ტრადიციული „კვადრატები", კარში დარტყმები... ბოლოს კი 20 წუთით „ორკარაც" გაჩაღდა.

ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა. გუშინ საღამოს გაირკვა, რომ 21-წლამდელთა მთავარ მწვრთნელ **ოთარ გაბელიას** შემადგენლობაში კორექტივები არ შეუტანია. ესტონეთში ყველა ის ფეხბურთელი გაემგზავრა, ვინ საგურამოს შეკრება გაიარა.

მეკარეები - **რევაზ თევდორაძე** (გაგრა), **როინ კვასხვაძე** (ზესტაფონი);

მცველები - **გიორგი ხიდეშელი** (ზესტაფონი), **ლევან კაკუბავა** (დინამო), **გიორგი რეხვიაშვილი** (ოლიმპი), **გულვერდ თომაშვილი** (დინამო), **გიორგი ხატიაშვილი** (ლოკომოტივი), **ლაშა თოთაძე** (გაგრა), **დავით ხურცილავა** (ვიტ ჯორჯია);

ნახევარმცველები - **მურთაზ დაუშვილი** (ზესტაფონი), **ლევან კუტალია** (სლავია, ბოსნია), **თემურ შონია** (სპარტაკი), **გიორგი გუგავა** (არენასი, ესპანეთი), **გიორგი ჯანელიძე** (ვიტ ჯორჯია), **ირაკლი კლიმიაშვილი** (ვიტ ჯორჯია), **ალექსი ბენაშვილი** (ზესტაფონი), **გიორგი მაისურაძე** (სპარტაკი);

თავდამსხმელები - **გიორგი ივანიშვილი** (ვოლენი, შვეიცარია), **გიორგი ჭედია** (ოლიმპი).

*„გუნდში მშვენიერი განწყობაა და ესტონეთში მოგების იმედად მივემგზავრებით. მართალია, ბალტიისპირელებმა პირველი შეხვედრა ფავორიტ შვეიცარიას მოუგეს, მაგრამ ჩვენი მიზანი გამარჯვებაა"*, - გვითხრა ინალიშვილმა.

**მერაბ მამულაშვილი**



ახალგაზრდულის სამწვრთნელო შტაბი. მარცხნიდან: ოთარ გაბელია, ზაურ სვანაძე, დავით გვარამაძე

ლეგიონერი

# კუტალია: ბოლო იმედი ჰოლანდიაა

**ლევან კუტალია** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე გამოცხადდა. სარაევოს (ბოსნია) „სლავიას" ფორვარდი კარგა ხანია 21-წლამდელთა მწვრთნელების ყურადღების ცენტრში მოექცა, მაგრამ სავიზო პრობლემების გამო გუნდს ლიტვაში ვერ დაეხმარა.

ახლა ის დიდი მონდომებით ემზადება ესტონეთისა და თურქეთის ნაკრებებთან დაპირისპირებისთვის. პირველი თამაში მწვრთნელის განწყობას მნიშვნელოვნად განაპირობებს და 20 წლის შემტევმა ნახევარმცველმა ეს ძალიან კარგად იცის. ბოლოს, ლევანი „სლავიადან" წამოსვლას აპირებდა, თურქეთის ვიცე-ჩემპიონ „სივასფორშიც" გასინჯეს, მაგრამ... არ დაიტოვეს.

„თურქეთში გამგზავრებამდე დამაიმედეს, რომ „სივასფორს" ჩემი აყვანა სურდა, მაგრამ ადგილზე სხვა ვითარება დამხვდა. გუნდი დაკომპლექტებულია და ახლა კონტრაქტს ვერ გაგიფორმებთო. არადა, პეტკოვიჩის ვარჯიშზე სამი გოლი შევაგდე და კონტრაქტის იმედი მქონდა. ამის შემდეგ, „ლუცერნში" გადასვლით დამაიმედეს, შვეიცარიაშიც ჩავედი, მაგრამ ეს ტრანსფერიც არ გამოვიდა. თბილისში ნაკრების შეკრებაზე უნდა გამოვცხადებულიყავი და სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ჩემს გასინჯვას ფიზიკურად ველარ ასწრებდნენ.

31 აგვისტოს მთელ ევროპაში ტრანსფერების განხორციელება შეწყდა. თუმცა მენეჯერი ჰოლანდიაში მოწყობას მპირდება - ეს ერთადერთი ქვეყანაა, სადაც „ფანჯარა" 15 სექტემბერს იხურება. ჯერჯერობით კი, იურიდიულად, კვლავ „სლავიას" ვეკუთვნი. საკმაოდ კარგი კლუბია, ევროპის ლიგაში თავის გამოჩენის შანსიც მომცეს, მაგრამ იქ აღარ დავბრუნდები. პრეზიდენტი დიდი ხანი მაიმედებდა კარგ კლუბში მოწყობით. მერე, იქ დარჩენის საფასურად, პირობების გაუმჯობესებასაც შემპირდა, მაგრამ მომატყუა. ვეჩხუბე და წამოვედი", - გვითხრა კუტალიამ.

სხვათა შორის, უგუნდოდაა ლევანის ბიძაშვილი **ირაკლი კუტალიაც**, რომელიც ასევე „სლავიაში" თამაშობდა, ბოლოს კი - ზუგდიდის „ბაიაში". ცნობისთვის, მათი უახლოესი ნათესავია „გაგრას" ფორვადი **გიორგი გაბედავა**.

**მერაბ მამულაშვილი**



ლევან კუტალია

ტრანსფერი

## ვალერი აბრამიძე —

# ხიმკი ჩამეშალა და წამოვედი

## აბრამიძე ოლიმპმა დაიმატა

**ბოლო** ერთი წელია, ვალერი აბრამიძის კარიერა ვერა და ვერ აეწყო. მახაჩყალის „ანჟიდან" წასული 29 წლის მცველი რუსეთის პრემიერლიგის კლუბ „ხიმკიში" უნდა ჩარიცხული, მაგრამ ტრანსფერი ორჯერ ჩაეშალა და კარიერას ახლა რუსთავის „ოლიმპში" გააგრძელებს...

**- რუსეთიდან რატომ წამოხვედით?**

- ბარნაულის „დინამოში" ჩემი და მიშა აშვეთიას წასვლა დიდი შეცდომა იყო. მეორე ლიგაში არ უნდა მეთამაშა, მაგრამ ეს ნაბიჯი იძულებით გადავდგით, სხვა გზა არც გვქონდა. ფაქტია, რომ ეს ნახევარი წელიწადი ტყუილად დავკარგეთ.

**- უკეთეს გუნდში არ გიწვევდნენ?**

- სეზონის დაწყებამდე ბრონქები მაწუხებდა და ამის გამო სერიოზულ გუნდში ვერ ჩავირიცხებოდი, თორემ მეორე ლიგაში რა მინდოდა?! სხვათა შორის, სწორედ ამის გამო ვერ გადავედი „ხიმკიში". ამ გუნდის მთავარ მწვრთნელ კონსტანტინე სარსანიას მოვეწონე და მტოვებდა, თებერვალში თურქულ შეკრებაზეც წამიყვანეს, მაგრამ... ცუდად გავხდი, ორკვირიანი მკურნალობა დამჭირდა და ასეთ მდგომარეობაში მყოფს ვერ ამიყვანდა. ბარნაულის „დინამოდან" წამოსული ისევ „ხიმკიში" მიმიწვიეს, მაგრამ ეს ტრანსფერი ახლა კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ჩაშალა.

**- ვიცე-პრეზიდენტს ფინანსებზე ვერ შეუთახმდით?**

- ფინანსებამდე საქმე არც მისულა. „ხიმკიში" ხუთი დღე ვვარჯიშობდით და როცა სარსანიამ ვიცე-პრეზიდენტს უთხრა, ახალწვეულებს კონტრაქტი უნდა გავუფორმოთო, ბუნებრივია, ჩვენი გვარები იკითხა. სანამ ამ ისტორიის დასასრულს გეტყოდეთ, გაგახსენებთ, რომ „ხიმკიში" სამი წლის წინაც ვირიცხებოდი, მაშინ პრეზიდენტი ალექსეი ჩერვიჩენკო იყო და კლუბიდან სასამართლოს გადაწყვეტილებით წამოვედი. კონტრაქტის გაწყვეტა რუსეთის საფეხბურთო კავშირს ვთხოვე და ჩემი სარჩელი დააკმაყოფილეს. ახლანდელი ვიცე-პრეზიდენტი მაშინ სპორტული დირექტორი იყო და მას სერიოზულად დავუპირისპირდი. სარსანიამ ახალწვეულებში ჩემი გვარიც რომ დაუსახელა, აბრამიძის ფეხი არ ვნახოო და ტრანსფერების დახურვის წინა დღეს უკლუბოდ დავრჩი.

**- ანუ, უვარჯიშებელი არ ყოფილხართ...**

- რა თქმა უნდა, მე და აშვეთიაც ვვარჯიშობდი. სამწუხაროა, რომ „ნოვგოროდში" გადასვლის შემდეგ მიშამ კუნთი გაიწყვიტა და მკურნალობს.

**მერაბ მამულაშვილი**



ვალერი აბრამიძე

U 19 ამხანაგური მატჩი

# 7:0

მოგეხსენებათ, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები მოსამზადებელ შეკრებისთვის შვეიცარიაშია, სადაც **გელა შეყილაძის** გუნდს იქაურ თანატოლებთან 2 მატჩი აქვს დაგეგმილი. ერთი გუშინ გაიმართა. მასპინძლებმა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები გააცამტვერეს - პატარა ქალაქ რივერაში შვეიცარიამ 7:0 გაგვანადგურა. მასპინძლებმა მე-13 წუთზე გახსნენ ანგარიში და ასტრონომიული სხვაობით გამარჯვებასაც აქედან დაუდეს სათავე. შვეიცარიელთა სრული უპირატესობა პირველივე ტაიმში სამ გოლში აისახა. მეორე მეკარე **თორნიკე ნიორაძის** გარდა, შეყილაძემ მეორე ტაიმში ყველა ფეხბურთელი ათამაშა.

ჩვენმა გუნდმა გუშინდელ შეხვედრაში ასეთი შემადგენლობით იასპარეზა: **მეშველიანი, კვეკვესკირი, კაკუშაძე, კვერკველია, ბრაჭული, ბალაძე, კაჭახიძე, გუგუჩია, დიასამიძე, ი. შეყილაძე, ჩაფიძე**. მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **ქურდობაძე, კუბლაშვილი, ებრალიძე, ელიზბარაშვილი, ივანიშვილი, პაჭკორია**.

დაბოლოს, შვეიცარიისა და საქართველოს 19-წლამდელთა მორიგი მატჩი ხვალ, 4 სექტემბერს, ქალაქ ბოდიოში გაიმართება.

**დავით ცაბაძე**

საქართველოს ნაკრები და სატრანსფერო ბაზარი



კახა კალაძე



დავით კვირკველია



მალხაზ ასათიანი



ლევან კობიაშვილი



ჯანო ანანიძე

# თავის გამორჩენის შანსი

5 სექტემბერს საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს საკუთარი თავის შესაფასებლად (თუ დასაფასებლად) უნიკალური შანსი ეძლევათ. „თავის დაფასებას" აქ პირდაპირი გაგებით ვგულისხმობთ.

საქართველო-იტალიის მოახლოებული შეხვედრისთვის **ექტორ კუპერისა** და **მარჩელო ლიპის** რჩეულთა სია უკვე ცნობილია. გულის სიღრმეში მაინც ცოცხლობს იმედი, რომ საქართველოს ეროვნული გუნდი, ბოლოს და ბოლოს, მაინც ათამაშდება. ჩვენი ფეხბურთელებისთვის მსოფლიო გრანდის წინააღმდეგ ღირსეული თამაში ხომ თავის გამოჩენის მშვენიერი შანსია, მით უფრო, რომ გავრცელებული ინფორმაციით, 5 სექტემბერს ეროვნულ სტადიონზე სერია A-ს რამდენიმე კლუბის წარმომადგენელი დაესწრება და შესაძლოა, რომელიმე ქართველს ხელიც გამოჰკრან.

მანამდე კი დასაფიქრებელ ინფორმაციას გაგაცნობთ: პოპულარული გერმანული ვებგვერდი „ტრანსფერმარკტი" ყველა მოქმედი ფეხბურთელის სატრანსფერო ფასს სისტემატურად აქვეყნებს.

მოდი, შევადაროთ ერთმანეთს საქართველო და იტალია. დავიწყოთ კუპერის გუნდით. ეს ის ფეხბურთელები არიან, ვინც არგენტინელმა 5 სექტემბრის მატჩისთვის გამოიძახა:

| მეკარეები | |
|---|---|
| გიორგი ლომაია (ინტერი ბაქო, აზე) | 200.000 |
| ზურაბ მამალაძე (ზესტაფონი) | - |
| გრიგოლ ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | - |
| **მცველები** | |
| კახა კალაძე (მილანი, იტა) | 5.500.000 |
| ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნი, ინგ) | 1.300.000 |
| გიორგი ფოფხაძე (ვიბორგი, დან) | 250.000 |
| გურამ კაშია (დინამო) | 125.000 |
| თემურ ღონღაძე (სიმურგი, აზე) | - |
| უჩა ლობჟანიძე (ზესტაფონი) | - |
| ამირან სანაია (ლე მანი, საფ) | - |
| ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია) | - |
| **ნახევარმცველები** | |
| ლევან კობიაშვილი (შალკე, გერ) | 3.000.000 |
| ლევან ქენია (შალკე, გერ) | 750.000 |
| დავით დევდარიანი (ორჰუსი, დან) | 500.000 |
| ლევან ხმალაძე (დინამო) | 75.000 |
| ლუკა რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | - |
| გიორგი სეთურიძე (სტანდარდი, აზე) | 250.000 |
| ლევან ცქიტიშვილი (უკლუზო) | 350.000 |
| ჯანო ანანიძე (სპარტაკი მოსკოვი, რუს) | 200.000 |
| **თავდამსხმელები** | |
| ლევან მჭედლიძე (პალერმო, იტა) | 1.250.000 |
| ლადო დვალიშვილი (მაქაბი ჰაიფა, ისრ) | 500.000 |
| ოთარ მარცვალაძე (ანჟი, რუს) | 400.000 |
| გიორგი მერებაშვილი (დინამო) | 250.000 |
| მათე ვაწაძე (დინამო) | 75.000 |

საერთო ჯამში, „ტრანსფერმარკტის" მიერ შეფასებულ ქართველთა საერთო ფასმა 14.775 მილიონი ევრო შეადგინა.

ყველაზე ძვირადღირებული ქართველი ფეხბურთელი, ცხადია, „მილანის" ვიცე-კაპიტანი **კახა კალაძეა** - 5.500 ათასი ევრო. ყველაზე ნაკლებად კი გერმანულმა ვებგვერდმა თბილისის დინამოელები, **ლევან ხმალაძე** და **მათე ვაწაძე** შეაფასა - 75 ათასი ევრო.

თუმცა „ტრანსფერმარკტის" ინფორმაცია რეალობას ყოველთვის ვერ ასახავს. **გურამ კაშიას** მისი ფასი რომ ვუთხარით, გაეცინა - 125 ათას ევროდ „დინამო" ნაღდად არ გამიშვებსო. ასეც არის. იმავეს ვიტყოდით ზოგიერთ ლეგიონერზეც.

როგორც ჩანს, ვებგვერდის ადმინისტრაცია პოსტსაბჭოური სივრცის ფასებში კარგად ვერ ერკვევა. თუნდაც **ჯანო ანანიძის** ფასი ავიღოთ - 200 ათასი ევრო რეალობას მოწყვეტილია. ამტკიცებენ, რომ რუსეთის მოქალაქეობის საფასურად, მოსკოვის „სპარტაკი" ქართველ ტალანტს 2 მილიონ დოლარს სთავაზობდა...

საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ნაკრების 7 წევრის სატრანსფერო ღირებულება საერთოდ არ აწერია. ჩვენი ინფორმაციით, მათი სატრანსფერო ფასი 150 ათასიდან ნახევარ მილიონ ევრომდე მერყეობს. მაგალითად, ძნელი წარმოსადგენია, თბილისის „დინამომ" **გიორგი მერებაშვილში** 500 ათას ევროზე ნაკლები მოითხოვოს.

აქედან გამომდინარე, ჩვენი ნაკრების შეფასებაში პატარა კორექტივები შევიტანოთ - ანუ, მერებაშვილის დავუმატოთ 250 ათასი, „შეუფასებელთა" (1.5 მილიონი ევრო) და ანანიძის მიახლოებითი სატრანსფერო ფასი (1.4 მილიონი ევრო) ჯამში 3 მილიონ ევრომდეა და საბოლოო ჯამში დღევანდელი ნაკრების ფასი დაახლოებით 18 მილიონი ევრო გამოვიდა.

სამწუხაროდ, ქართული ფეხბურთის რეგრესი სატრანსფერო ფასებშიც აისახა. 2 წლის წინ, ასეთივე დაჯამებით, 32 მილიონ ევრომდე ავედით. ანუ, სადღეისოდ საქართველოს ნაკრები დაახლოებით 14 მილიონი ევროთი გაუფასურდა.

არანაკლებ საინტერესოა ნაკრების მიღმა დარჩენილ ფეხბურთელთა ფასებიც:

| მეკარე | |
|---|---|
| ნუკრი რევიშვილი | 400.000 |
| **მცველები** | |
| მათე ღვინიანიძე | 800.000 |
| ლაშა სალუქვაძე | 1.500.000 |
| მალხაზ ასათიანი | 3.000.000 |
| დათო გამეზარდაშვილი | 150.000 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | 800.000 |
| დავით კვირკველია | 3.300.000 |
| **ნახევარმცველები** | |
| კახა ალადაშვილი | 400.000 |
| გოგიტა გოგუა | 700.000 |
| ლევან გვაზავა | 800.000 |
| ამირან მუჯირი | 300.000 |
| დავით მუჯირი | 1.800.000 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | 350.000 |
| გოჩა ხოჯავა | - |
| **თავდამსხმელები** | |
| გიორგი დემეტრაძე | 600.000 |
| გიორგი ადამია | 250.000 |
| ბექა გოცირიძე | 500.000 |
| ალექსანდრე იაშვილი | 1.300.000 |
| სანდრო იაშვილი | 25.000 |
| დავით სირაძე | 400.000 |

საინტერესოა, რომ ნაკრებში არგამოძახებულთა ფასი გამოძახებულებისას უტოლდება - 17.675 მილიონ ევროს შეადგენს. ვფიქრობთ, დასაფიქრებელი ამბავია. „ტრანსფერმარკტში" **გოჩა ხოჯავას** ფასი (დაახლოებით 2.0 მილიონი ევრო) მითითებული არ არის, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არგამოძახებულთა საერთო ფასი 19.675 მილიონ ევროს შეადგენს და ეროვნულისას აჭარბებს.

ქართველ ფეხბურთელთა დიდ ნაწილთან კონტრაქტი სპორტულ სააგენტო Pro Sport Management International-ს აქვს გაფორმებული. მათ შორის არიან **ბუბა დაუშვილი, უჩა ლობჟანიძე, ნიკა გელაშვილი, გიორგი ხიდეშელი, ლექსო ბენაშვილი, გიორგი ცხადაია, ამირან სანაია, ლაშა თოთაძე, ბექა გოცირიძე** და **ვახტანგ ფანცხავა**. კომპანიას ვინმე **ივან ძუძელია** ხელმძღვანელობს.

Pro Sport Management International-ის სახით, **ახრიკ ცვეიბას** სამენეჯერო სააგენტოს ქართულ ბაზარზე სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა. თბილისის „დინამოს" ყოფილი მცველის კლიენტებად მიიჩნევიან **გიორგი ლომაია, ნუკრი რევიშვილი, ლაშა სალუქვაძე, დავით კვირკველია, ოთარ მარცვალაძე, კახა ალადაშვილი** და ბოლო დროს **სანდრო იაშვილიც**.

რუსეთის მოქალაქეობამილებული, „მოსკვასა" და რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების მცველი **გია გრიგალავა** 1.2 მილიონ ევროდაა შეფასებული. საბოლოოდ, ყველაზე „დაფასებულ" ქართველ ფეხბურთელთა ათეული ასე გამოიყურება:

| ფეხბურთელი | ფასი (მლნ. ევრო) |
|---|---|
| 1. კახა კალაძე | 5.500.000 |
| 2. დავით კვირკველია | 3.300.000 |
| 3. მალხაზ ასათიანი | 3.000.000 |
| 4. ლევან კობიაშვილი | 3.000.000 |
| 5. ჯანო ანანიძე | 2.000.000 |
| 6. გოჩა ხოჯავა | 2.000.000 |
| 7. დავით მუჯირი | 1.800.000 |
| 8. ლაშა სალუქვაძე | 1.500.000 |
| 9. ზურაბ ხიზანიშვილი | 1.300.000 |
| 10. ალექსანდრე იაშვილი | 1.300.000 |

საგულისხმოა, რომ ამ ათეულიდან იტალიასთან 6 მოთამაშე არ იქნება. ახლა კი გადავიდეთ „სკუადრა აძურაზე". უახლოესი ორი მატჩისთვის ლიპიმ ეს ფეხბურთელები შეარჩია:

| მეკარეები | |
|---|---|
| ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი) | 30.500.000 |
| მორგან დე სანქტისი (ნაპოლი) | 5.500.000 |
| ფედერიკო მარკეტი (კალიარი) | 6.000.000 |
| **მცველები** | |
| ფაბიო კანავარო (იუვენტუსი) | 6.500.000 |
| ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი) | 20.500.000 |
| ნიკოლა ლეგროტალიე (იუვენტუსი) | 9.000.000 |
| დომენიკო კრიშიტო (ჯენოა) | 8.000.000 |
| ფაბიო გროსო (იუვენტუსი) | 7.500.000 |
| დავიდე სანტონი (ინტერი) | 7.000.000 |
| ჯანლუკა ძამბროტა (მილანი) | 10.000.000 |
| **ნახევარმცველები** | |
| მაურო კამორანეზი (იუვენტუსი) | 12.000.000 |
| კლაუდიო მარკიზიო (იუვენტუსი) | 8.500.000 |
| სიმონე პეპე (უდინეზე) | 5.500.000 |
| გაეტანო დ'აგოსტინო (უდინეზე) | 14.000.000 |
| დანიელე დე როსი (რომა) | 35.000.000 |
| მარკო მარკიონი (ფიორენტინა) | 6.000.000 |
| ანჯელო პალომბო (სამპდორია) | 10.000.000 |
| ანდრეა პირლო (მილანი) | 25.000.000 |
| **თავდამსხმელები** | |
| ანტონიო დი ნატალე (უდინეზე) | 15.000.000 |
| ალბერტო ჯილარდინო (ფიორენტინა) | 18.000.000 |
| ვინჩენცო იაკუინტა (იუვენტუსი) | 15.000.000 |
| ფაბიო კვალიარელა (ნაპოლი) | 14.000.000 |
| ჯუზეპე როსი (ვილიარეალი, ესპანეთი) | 10.000.000 |

ჩვენდა გასაოცრად, პოპულარულ ვებგვერდზე მითითებული არ იყო „ვილიარეალის" თავდამსხმელ **ჯუზეპე როსის** ფასი. ამერიკაში დაბადებული იტალიელი ფორვარდი „ვილიარეალმა" „მანჩესტერ იუნაიტედიდან" 10 მილიონ ევროდ შეიძინა. 22 წლის თავდამსხმელი ამაზე ნაკლები არც ახლა ეღირება - ესეც მინიმუმია.

ასე რომ, იტალიის ნაკრებში ამჟამად გამოძახებულთა საერთო სატრანსფერო ფასი 298 მილიონ ევროს შეადგენს, ანუ, ჩვენს ნაკრებზე 16,6-ჯერ მეტს. თუმცა ნუ ვიტყვით, რომ ამხელა განსხვავების გამო წინასწარ განწირულები ვართ. სასწაულებიც ხომ ხდება? ფეხბურთის მთელი ხიბლიც ეს არის. 1997 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს ნაკრებმა (მაშინ გუნდს **დავით ყიფიანი** თავკაცობდა, მეორე მწვრთნელი კი **რევაზ ძოძუაშვილი** იყო) აპენინელებთან თბილისში ფრედ (0:0) ითამაშა და „სკუადრა აძურას" მუნდიალისკენ სავალი გზა გაურთულა...

დღევანდელ ქართველებს კი, რომელთა დიდი ნაწილი ახალგაზრდა ფეხბურთელია, ფართო აუდიტორიის წინაშე საკუთარი თავის წარმოჩენის შანსი ეძლევათ. იქნებ, ეს მაინც ექცეთ სტიმულად, გაგვახარონ და ამ შესარჩევში რაღაც კვალი დატოვონ...

**მერაბ მამულაშვილი**



გოჩა ხოჯავა



დავით მუჯირი



ლაშა სალუქვაძე



ზურაბ ხიზანიშვილი



ალექსანდრე იაშვილი

ინტერვიუ

## გიორგი განუგრავა
# მადლობა დიორს

გიორგი განუგრავა ახალი ჩარიცხული იყო უნგრულ „დიორი ეტოში“, მძიმე ტრავმა რომ მიიღო და ფეხბურთს დაახლოებით ნახევარი წლით ჩამოსცილდა. არადა, ახალგაზრდა ნიჭიერი ნახევარმცველი მანამდეც კარგა ხნის განმავლობაში უგუნდოდ იყო და ფეხბურთის თამაში ენატრებოდა. სამწუხაროდ, გასულ ზაფხულს მას კიდევ ერთი უსიამოვნება ხვდა.

ყველაფრის მიუხედავად, გიორგი ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებს და მოედანზე დასაბრუნებლად მონდომებით ემზადება. „ლელო“ განუგრავას უნგრეთში შეეხმიანა. დანარჩენს მასთან ინტერვიუდან შეიტყობთ.

**- როგორ ვითარებაში მიიღე ტრავმა?**

- ვარჯიშის დასრულებამდე ორი წუთი რჩებოდა, როცა მუხლში საშინელი ტკივილი ვიგრძენი. საერთოდ არავინ შემხებია და მით უფრო გულდასაწყვეტია, ასეთ უწყინარ სიტუაციაში რომ დავშავდი. მარცხენა მუხლის ჯვარედინი მყესები მაქვს გაწყვეტილი. ალბათ, წარმოიდგენთ, როგორ დღეში ჩავვარდებოდი. როგორია, როცა გუნდთან კონტრაქტს გააფორმებ და რამდენიმე დღეში ყველაფერი უკუღმა დგება. ტრავმები ადრეც მიმიღია, მაგრამ ასე სერიოზულად არასოდეს დავშავებულვარ.

**- მოედანზე შენს დაბრუნებას როდისთვის ვარაუდობენ?**



- სადღაც იანვრიდან. მანამდე მკურნალობის ინტენსიური კურსი უნდა გავიარო. მადლობა ღმერთს, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და გამოჯანმრთელების პროცესიც სასურველი ტემპით მიმდინარეობს. მკურნალობის ძირითადი ეტაპი დასრულებულია, ახლა კუნთების აღდგენასა და გაძლიერებაზე ვმუშაობ. ტრენაჟორებზე უკვე ინტენსიურად ვვარჯიშობ.

**- სარეაბილიტაციო პერიოდს მთლიანად უნგრეთში გაივლი?**

- კი, აქ ჩემზე ძალიან ზრუნავენ და ყველანაირი პირობაა იმისთვის, რომ ფეხზე დროულად დავდგე.

**- ამ ტრავმამ „დიორისთან“ კონტრაქტის გაწყვეტის საფრთხე ხომ არ შეგიქმნა?**

- არა, კლუბის ხელმძღვანელობაში ძალიან კარგი ხალხია, რომლებიც ბოლომდე მხარში დამიდგნენ. კლუბთან სამწელინადნახევრიანი კონტრაქტი მაკავშირებს და ამ ხალხს ნდობისა და თანადგომისთვის ჩემი თამაშით აუცილებლად გადავუხდი მადლობას. ბუნებრივია, ჩემი ტრავმის ამბავი არავის ესიამოვნა, რადგან ჩემზე დიდ იმედებს ამყარებენ. ისლა დამრჩენია, მოვითმინო, სამაგიეროდ, როგორც კი თამაშს შევძლებ, „დიორის“ წარმატებებისთვის არაფერს დავიშურებ.

**- როგორც ჩანს, კლუბში არსებული სიტუაცია ძალიან მოგწონს.**

- კი, ასეა. ხელმძღვანელობასთან, მწვრთნელებსა და თანაგუნდელებთან შესანიშნავი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა, უნგრეთში ცხოვრებაც ძალიან მომწონს. ქართველებიც მრავლად ვართ. მთავარ გუნდში რატი ალექსიძე ერთ-ერთი გამორჩეულია, სამი ჩვენებური კი დუბლებში მშვენივრად თამაშობს.

**- მათ შესახებ უფრო დაწვრილებით რისი თქმა შეგიძლია?**

- დავით ლორთქიფანიძე, გიორგი ბახტაძე და თემურ შარაშენიძე ძალიან ნიჭიერი ბიჭები არიან. თემო ასაკობრივი გუნდის საუკეთესო ფეხბურთელია, დათო ახლახან ჩამოვიდა „ვიტ ჯორჯიადან“, გიო კი მეკარეა, „ოლიმპიაკოსის“ ჭაბუკებშიც თამაშობდა, მერე კი ერთ-ერთ ბერძნულ გუნდში გაანათხოვრეს.

**- მთავარ გუნდს როგორი მიზნები აქვს?**

- შემადგენლობა გაძლიერდა, მწვრთნელიც შეიცვალა. ყველანი ვგრძნობთ, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა რეალურად შეგვიძლია და გუნდი ამ ეტაპზე მაღალი დონის ფეხბურთს თამაშობს. გვაქვს გარკვეული პრობლემებიც, მაგრამ დადებითი მომენტი უფრო მეტია. ამჟამად ჩემპიონატში მესამე ადგილზე ვართ. მეორე წრიდან „დიორის“ მეც დავეხმარები და იმედია, მიზანს მივაღწევთ.

**- უნგრეთამდე ჩეხეთში გითამაშია. ამ ორი ქვეყნის ჩემპიონატის დონეებს შორის დიდი სხვაობაა?**

- ბუნებრივია, ჩეხეთის ჩემპიონატი უფრო ძლიერია, მაგრამ უნგრეთშიც საკმაოდ კარგი დონეა. სხვა რომ არაფერი, აგერ, „დებრეცენი“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა. უნგრეთის ჩემპიონატში იოლად ვერც ერთ თამაშს ვერ მოიგებ, აუტსაიდერებიც კი დიდ ბრძოლას გიმართავენ. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, „დიორის“ რომ სტადიონი და ბაზა აქვს, ასეთს ჩეხეთში ძნელად შეხვდებით.

**- „ბოლესლავიდან“ რატომ წამოხვედი?**

- იქ სათამაშო პრაქტიკა არ მქონდა. ჩემი თხოვნით, „ბოლესლავმა“ თავისუფალი აგენტის სტატუსი მომანიჭა. იქ დუბლებში კი ვთამაშობდი, მაგრამ ეს ვითარება არ მაკმაყოფილებდა.

**- რატომ ვერ შეძელი ჩეხეთში დამკვიდრება?**

- ბევრი მიზეზის გამო, რომელთაგანაც მთავარი მაინც ტრავმებია. ფეხის ფრჩხილი დამიჩირქდა და ამის გამო ოცდღიანი წოლითი რეჟიმი გამომიწერეს. მაწუხებდა საზარდულიც. არადა, ეს რომ არ მომსვლოდა, „ტეპლიცე“ ჩემი იჯარით ასაყვანად მზად იყო. მანამდე „ვიქტორია ჟიჟკოვისა“ და ბერძნული „ლარისას“ ვარიანტები გამომიჩნდა, მაგრამ „ბოლესლავმა“ არ გამიშვა.

**- გაზაფხულზე ქართველმა გულშემატკივარმა მოედანზე დიდი ხნის შემდეგ გიხილა, ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში.**

- ამისთვის დიდ მადლობას ვუხდი კახა ცხადაძეს. იმის მიუხედავად, რომ უგუნდოდ ვიყავი, მან ნდობა გამომიცხადა. ახალგაზრდულ ნაკრებში ზედიზედ ორი ამხანაგური მატჩი ჩავატარე, აქედან ერთხელ გუნდის კაპიტანი ვიყავი. მოუთმენლად ველოდი ოფიციალური შეხვედრების დაწყებას. „დიორიში“ ფორმაში მალე შევიდოდი და გუნდს კიდევ უფრო გამოვადგებოდი, მაგრამ ასეთი რამ დამემართა... რას ვიზამთ, კარიერაში ბევრი იმედგაცრუება მინახავს და ამ დაბრკოლებასაც აუცილებლად გადავლახავ. ერთი სული მაქვს, როდის გავამართლებ ქართველი გულშემატკივრის იმედებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი

ტურის მწვრთნელი



## გია გეგუჩაძე
# დინამოს ძლევამ ეიფორიაში არ უნდა ჩაგვაგდოს

მართალია, ახლა სანაკრებო პაუზაა, მაგრამ ეროვნული ჩემპიონატის ამასწინანდელ ტურს აქტუალობა არ დაუკარგავს, მით უფრო ერთი მატჩის გამო - ზესტაფონში ადგილობრივმა გუნდმა ტიტულოვან „დინამოს“ 4:1 მოუგო. შესაბამისად, განვლილი უქმეების საუკეთესო მწვრთნელად „ზესტაფონის“ დამრიგებელი გია გეგუჩაძე დავასახელეთ. მას გუშინ დავუკავშირდით და განვლილ მატჩთან ერთად სხვა საინტერესო თემებზეც გავესაუბრეთ...

**- პირველ რიგში, გილოცავთ - „ლელომ“ ტურის მწვრთნელად დაგასახელათ. საუბარიც სწორედ „დინამოსთან“ მატჩით უნდა დავიწყოთ. დღეს როგორ იხსენებთ ამ თამაშს?**

- მადლობას მოგახსენებთ დაფასებისთვის. რაც შეეხება თამაშს, მიუხედავად ანგარიშისა, დაძაბული, ორივე გუნდისთვის რთული მატჩი იყო. ვფიქრობ, გულშემატკივარი საინტერესო სანახაობის მომსწრე გახდა. გავედით მოედანზე, ბოლომდე ვიბრძოლეთ და მოვიგეთ.

**- მაინც რა ფაქტორები დაგეხმარათ ესოდენ შთამბეჭდავი გამარჯვების მოპოვებაში?**

- „დინამოს“ სახით ძლიერი მეტოქე გვყავდა. თუმცა მონდომებისა და მობილიზების ხარჯზე წარმატებას მივაღწიეთ. ფეხბურთელებმა ჩემს დავალებებს კარგად გაართვეს თავი. ასეთ მატჩებში გამართლებასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ვფიქრობ, გაგვიმართლა კიდეც.

**- გამართლებაში რას გულისხმობთ?**

- შესვენების შემდეგ, მეორე ტაიმის სადღაც შუაში მოვლენები დრამატულად წარიმართა. 2:0-ის შემდეგ სტუმრებმა სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს. ჩვენ მაშინვე გავიტანეთ გოლი და ორბურთიანი უპირატესობა აღვადგინეთ. მიმაჩნია, რომ სწორედ ამ ეპიზოდში გაგვიღიმა ბედმა - მესამე ბურთი ძალიან მალე გავიტანეთ, თორემ სხვა შემთხვევაში რა მოხდებოდა, არავინ იცის... მაგრამ ეს ფეხბურთია და იღბალიც მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. შეიძლება უტევდე, სჯობდე მეტოქეს, მაგრამ ბურთი ვერა და ვერ გაიტანო.

**- ფეხბურთელებმა მართლაც კარგად გაართვეს თავი თქვენს დავალებებს. მეორე ნახევარში „დინამო“ აშკარად სუსტი იყო...**

- არა, ვერ ვიტყოდი, რომ ჩვენს გუნდში ყველაფერი იდეალურად იყო და ფეხბურთელებს შეცდომები არ ჰქონიათ. შეცდომებიც იყო, მაგრამ ასეთი დონის მატჩს კაზუსი ყოველთვის ახლავს. საერთო ჯამში მეტოქე დავჯაბნეთ და დამსახურებულად მოვუგეთ.

**- ფავორიტი გუნდების წინააღმდეგ თავს არიდებენ ხოლმე ღია თამაშს და უფრო ჩაკეტილ ფეხბურთს თამაშობენ. თქვენ კი პირიქით, გახსნილი ფეხბურთი ითამაშეთ და ამით რისკზეც წახვედით. ეს რითი ავხსნათ?**

- ვინც ჩვენი გუნდის მატჩებს სტაბილურად ადევნებს თვალს, დამეთანხმება, რომ „ზესტაფონი“ ყოველთვის შემტევ სტილში თამაშობს. ასე იყო ამჯერადაც, ახალი არაფერი მოგვიგონია - „დინამოსაც“ ის ფეხბურთი შევთავაზეთ, რასაც სხვა დრო ვთამაშობთ ხოლმე.

**- „დინამო“-“ზესტაფონის“ დაპირისპირებები უკვე წლებია დიდ ინტერესს იწვევს. ამ შეხვედრაში არ ათამაშეთ ზურაბ იონანიძე, რომელსაც ხშირად უდიდესი წვლილი შეუტანია „დინამოს“ ძლევაში. ესეც არ იყოს, მას ისედაც იშვიათად უწევს თამაში...**

- იონანიძე გამოცდილი, წონიანი ფიგურაა, გუნდში ამინდს ქმნის, მისი ვარჯიშები ახალგაზრდებისთვის მაგალითის მიმცემია. მას გუნდში ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნა შეუძლია, ეს კი ყველასათვის სასიამოვნო და სასარგებლოა. ასე რომ, ის ჩვენთვის ძალზე საჭირო ფეხბურთელია, ხოლო რაც შეეხება მის თამაშს, ამ სეზონში „სამტრედიასთან“ მოედანზე იყო და კიდევ ბევრჯერ იქნება...

**- ამ სეზონში „ზესტაფონი“ ჩემპიონობისთვის იბრძვის. ოქროს მედლებისთვის კონკურენტებად ვის მიიჩნევთ?**

- ცხადია, პირველ რიგში რუსთავის „ოლიმპს“. ეს გუნდი საგრძნობლად გაძლიერდა და აკი ლიდერიცაა. რუსთაველთა გარდა, ჩვენი კონკურენტები ტრადიციულად „დინამო“ და „ვიტ ჯორჯია“ იქნებიან. ცხინვალის „სპარტაკსაც“ კარგი შემადგენლობა ჰყავს და ამბიციებიც, რა თქმა უნდა, შესაბამისი აქვს... „დინამოსთან“ მოგებამ ეიფორიაში არ უნდა ჩაგვაგდოს. მოგებული მატჩიდანაც კი სწორი დასკვნები უნდა გავაკეთოთ, რადგან წინ კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი ბრძოლა გველის, მოდუნება გამორიცხულია. ყველა მატჩში ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ და ვფიქრობ, ასეთ შემთხვევაში შედეგიც იქნება.

**- მომდევნო ტურშიც რთული მატჩი გელით - სტუმრად „ვიტ ჯორჯიას“ ეთამაშებით...**

- ...და კვლავაც მოსაგებად ვიბრძოლებთ. ჩვენი მთავარი მიზანი 3 ქულაა!

**- ვიტჯორჯიელთა ბოლო მატჩებიდან რომელიმე თუ ნახეთ?**

- კი, „დინამოსთან“ მატჩი ვნახე. საინტერესო თამაში იყო...

**- „ვიტ ჯორჯიას“ ახალი მწვრთნელი ჰყავს. როგორ ფიქრობთ, შეიცვალა ეს გუნდი?**

- დიდი ხანი არ არის, რაც ეს ცვლილება მოხდა და გუნდზე ეს ჯერ ვერ აისახებოდა. იგივე გუნდია, სხვაობას ვერ ვამჩნევ.

**- რამდენადაც ვიცით, „ზესტაფონში“ კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა - გიორგი მანწკავა...**

- ზუსტად გცოდნიათ. მანწკავა ისრაელის ერთ-ერთ გუნდში თამაშობდა. ახლა ჩვენთან არის სინჯებზე და ვნახოთ, დავტოვებთ თუ არა, ცოტა ხანში გამოჩნდება.

**- ზოგადი შთაბეჭდილება როგორია? შეიძლება, მოერგოს „ზესტაფონს“?**

- მას ერთ-ერთ ამხანაგურ შეხვედრაში გამოვცდით და უკეთ დავაკვირდებით. მისი საკითხი, ალბათ, სექტემბრის პირველ ნახევარში გადაწყდება.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერები

### ხუბუტია მალე დასაქმდება

აკაკი ხუბუტია ბოლოს ლიტვურ „კაუნასში“ ასპარეზობდა, მაგრამ ტანმაღალი ქართველი მცველი ქვედა ლიგაში დაქვეითებულ გუნდში აღარ დარჩენილა და ამჟამად ახალი კლუბის ძიებაშია.

*„დარწმუნებული ვარ, უქმად დიდი ხანი არ დავრჩები და მალე ახალ გუნდს ვიპოვი. კონკრეტულ კლუბებს ვერ დაგისახელებთ, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჩემით შვეიცარიიდან და რუმინეთიდან არიან დაინტერესებულნი. არჩევანი ჩემზეა და გადაწყვეტილებას მალე მივიღებ. უპირატესობას შვეიცარიას უყოყმანოდ მივანიჭებდი, საქმე ქვედა ლიგის გუნდს რომ არ ეხებოდეს. რაც შეეხება რუმინეთს, იქიდან უმაღლესი დივიზიონის კლუბი მიწვევს“*, - გვითხრა ხუბუტიამ.

### ბარაბაძე დაშავდა

საფრანგეთის მესამე დივიზიონის „რუენში“ მოასპარეზე **მიხეილ ბარაბაძე** დაშავდა, დაზიანების ხარისხი მალე დადგინდება.

*„ფეხი ვიტკინე, მაგრამ საშიში არაფერი უნდა იყოს, - უთხრა „ლელოს“ ბარაბაძემ, - სამედიცინო გამოკვლევა ყველაფერს გაარკვევს. თავს ნორმალურად ვგრძნობ და სრულფასოვან ვარჯიშს სავარაუდოდ, ერთ კვირაში განვაახლებ, მოედანს კი მაქსიმუმ ორ კვირაში დავუბრუნდები. ორი დღის წინ კლუბის ხელმძღვანელობამ სასიამოვნო ლონისძიება მოგვიწყო - გულშემატკივრებს შეგვახვედრა და გახარებული ვარ, ხალხს ჩემი ასე რომ ეიმედება“.*



**ლევან ჯანეზაშვილი**

### დუბლიორთა ჩემპიონატი

**III ტური**

**გაგრა-ზესტაფონი 3:1**

0:1 ს. ლომია (16), 1:1 შ. კვანტალიანი (52-პენ), 2:1 შ. კვანტალიანი (56), 3:1 შ. კვანტალიანი (77)

არბიტრი: ო. ხეცაძე

**ოლიმპი-ლოკომოტივი 1:4**

1:0 არევაძე (11), 1:1 ანდღულაძე (33), 1:2 ნონიკაშვილი (40), 1:3 სეთურიძე (50-პენ), 1:4 ვაშაკიძე (80).

არბიტრი: თ. გვანცელაძე

**სამტრედია-დინამო 0:0**

არბიტრი: პ. დოგრაშვილი

**სიონი-სპარტაკი 4:1**

0:1 ჯოხაძე (9), 1:1 ლ. ჩხეტიანი (11), 2:1 ჯ. უგულავა (54), 3:1 ჯ. უგულავა (60), 4:1 ოქროპირიძე (78-პენ)

არბიტრი: ი. ურუშაძე

ბაია-ვიტ ჯორჯია გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაგრა | 3 | 2 | 0 | 1 | 13-3 | 6 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 2 | 2 | 0 | 0 | 6-3 | 6 |
| 3. ლოკომოტივი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-4 | 6 |
| 4. ოლიმპი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-5 | 6 |
| 5. დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 6. სიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 7-6 | 3 |
| 7. ბაია | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 8. ზესტაფონი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 9. სამტრედია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| 10. სპარტაკი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-16 | 0 |

„ლელოელები“ სამძიმარს ვუცხადებთ კოლეგას, გაზეთ „ოლიმპის“ ჟურნალისტს პაატა ძნელაძეს **მამის** გარდაცვალების გამო.

## საქართველოს ჩემპიონატი

## თვის ნომინანტები. აგვისტო

…მესამე სეზონია, „ლელო“ თვის ნომინანტებს ასახელებს და მსგავსი შემთხვევა, თუ არ ვცდებით, არც ყოფილა! არაერთხელ მომხდარა, რომ ერთდროულად ორი მწვრთნელი აგვირჩევია; ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, „თვის მწვრთნელი“, საერთოდ რომ არ დაგვისახელებია…
ადრეც ბევრჯერ აღგვინიშნავს, რომ თვის მწვრთნელისა თუ ფეხბურთელის გამოსავლენად, „მარტივი“ კრიტერიუმით ვხელმძღვანელობდით - ანუ თვის განმავლობაში ვინც უფრო ხშირად მოხვდებოდა ტურის სიმბოლურ ნაკრებში, სწორად მას ექნებოდა უფრო მეტი შანსი, რომ კონკრეტული თვის საუკეთესო მწვრთნელი თუ ფეხბურთელი გამხდარიყო. ამ შემთხვევაში მწვრთნელებზე გვაქვს ლაპარაკი და გვინდა შეგახსენოთ, თუ ვინ მივიჩნიეთ აგვისტოში „ტურის მწვრთნელად“ (თანამიმდევრობით, პირველიდან მეხუთე ტურის ჩათვლით): ვლადიმერ ხაჩიძე („სპარტაკი“), ვიქტორ კაშჩეი („გაგრა“), კახა კაჭარავა („დინამო“), თემურ მახარაძე („ზესტაფონი“), გია გეგუჩაძე („ზესტაფონი“). როგორც ხედავთ, ხუთივჯერვე სხვადასხვა სპეციალისტი ვალიარეთ, ამ დროს კი თვის საუკეთესო მწვრთნელად… ოთარ კორღალიძე („ოლიმპი“) მივიჩნიეთ! ჰო, შესაძლოა, ზოგს გაუკვირდეს კიდეც: მწვრთნელი ვერც ერთი ტურის შემდეგ ნომინანტებში ვერ მოხვდა და უცბად, „თვის მწვრთნელად“ დავასახელეთ; მაგრამ გახედეთ სატურნირო ცხრილს და, ალბათ, ჩვენი არჩევანიც საკამათო აღარ იქნება: რუსთავის „ოლიმპი“ ქულათა მაქსიმუმით ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია!

### მწვრთნელი

### ოთარ კორღალიძე (ოლიმპი)



**ოთარ კორღალიძე** „ოლიმპში“ ახალი სეზონის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მივიდა. ათწლიანი სამწვრთნელო სტაჟის მქონე მწვრთნელს საქართველოს ჩემპიონატში სხვადასხვა დროს არაერთ გუნდში („დინამო“, „არსენალი“, „დილა“, „კახეთი“, „სიონი“) უმუშავია; თუმცა, პირველი შემთხვევაა, რომ საჩემპიონოდ „მომართულ“ გუნდში უწევს საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცება. ისე, „ოლიმპს“, მართლაც ყველა პირობა აქვს შექმნილი, ხანმოკლე ისტორიაში მეორედ რომ გახდეს საქართველოს ჩემპიონი. უპირველეს ყოვლისა, გუნდს არ აკლია ყურადღება ქალაქისა თუ სამხარეო ხელმძღვანელობის მხრიდან. იმავეს ვიტყოდით მთავარ სპონსორზეც - რუსთავის მეტალურგიულ კომბინატზეც. ამას გარდა, „ოლიმპს“ აშკარად მოუხდა „ატლეტიკო პარანენსესთან“ დამყარებული ურთიერთობა: ბრაზილიური კლუბიდან ხუთი ფეხბურთელის ჩამოყვანით რუსთავული გუნდი საგრძნობლად გაძლიერდა და საჩემპიონო ამბიციებიც მოემატა. ისე, გუნდის სეზონისწინა სატრანსფერო პოლიტიკამ ბევრი კითხვა გააჩინა; ყოველ შემთხვევაში, „ოლიმპიდან“ რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი გაუშვეს, ჯერ კიდევ „გუშინ“ თუ „გუშინწინ“, გუნდის ლიდერებად რომ მიიჩნეოდა. თუმცა, ზოგიერთმა ახალწვეულმაც გაამართლა და ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოცდილ **გრიგოლ ჭანტურიაზე** ითქმის; ვეტერანი მეკარე, მართლაც ჩინებულ ფორმაშია და მისი არანაკლები წვლილიც არის „ოლიმპის“ წარმატებულ ასპარეზობაში. ამავეს თქმა შეიძლება ორ ნახევარმცველზეც: **შოთა ბაბუნაშვილისა** და **დენის დობროვოლსკის** გარეშე „ოლიმპი“ ერთპიროვნული ლიდერი კი არა, „ჩვეულებრივი“ გუნდი იქნებოდა…

„ოლიმპს“ აგვისტოში, მართლაც, „ტკბილი“ კალენდარი ჰქონდა; ანუ - ხუთივე მატჩი ისეთ გუნდებთან ჰქონდა, ჩემპიონატში მოკრძალებული მიზნები რომ აქვთ. სამაგიეროდ, სექტემბერში იმ ოთხ გუნდთან მოუწევს დაპირისპირება, კონკურენტებად რომ მივიჩნევთ: „დინამოსთან“, „ვიტ ჯორჯიასთან“, „ზესტაფონთან“ და „სპარტაკთან“. აი, სწორედ მაშინ გამოჩნდება ოთარ კორღალიძის გუნდის რეალური შესაძლებლობები; მანამდე კი ვიდრე ეს კონკურტენტები ერთმანეთთან თუ თავისზე ბევრად სუსტ მეტოქეებთან გაუთვალისწინებელ ქულებს კარგავენ, „ოლიმპი“ უდანაკარგოდ წინ მიიწევს და ჩემპიონატის ერთ-ერთი რეალური ფავორიტის სტატუსსაც ამართლებს!

### აგვისტოს სიმბოლური ნაკრები




აი, ამ ნომინაციაში კი საკამათო არაფერი უნდა იყოს - „ოლიმპის“ ბრაზილიელი ლეგიონერი **ანდერსონ აკინო**, უდავოდ, თვის საუკეთესო ფეხბურთელია! უკვე რამდენჯერმე მოგვიხდა ერთი და იმავეს აღნიშვნა და კვლავაც სიამოვნებით გავიმეორებთ: ასეთი დონის ლეგიონერი ჩვენი ჩემპიონატის ოცწლიან ისტორიაში ერთეული თუ ყოფილა! ეგ კი არა, აკინომ ასე თუ გააგრძელა, საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში, საერთოდ, ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელობაზეც ექნება პრეტენზია!

ჩვენს ჩემპიონატში აკინოს დებიუტი პირველ ტურში, ზუგდიდში შედგა და სწორედ ბრაზილიელი გამთამაშებლის ჩინებული თამაშის წყალობითაც შეძლო „ოლიმპმა“ მატჩის შემოტრიალება. აკინომ იმ შეხვედრაში პირველი „ქართული“ გოლი გაიტანა, მომდევნო ტურში კი ასევე სტუმრად „ლოკომოტივთან“ ბრწყინვალედ შესრულებული საჯარიმო დარტყმით უკვე მეორე გოლი მიითვალა. საერთოდაც - ის მატჩი აკინომ შთამბეჭდავად ითამაშა, თუმცა, მთავარი სანახაობა წინ გველოდა! „სამტრედიასთან“ საშინაო მატჩს ვგულისხმობთ, აკინომ „დუბლი“ რომ შეასრულა და იმ ორი გოლის გარდა, სანამ მოედანზე იმყოფებოდა,

### ფეხბურთელი

### ანდერსონ აკინო (ოლიმპი)



უზადო ტექნიკის დემონსტრირებას ახდენდა. ჰო, იმაზე აღარაფერს ვამბობთ, თუ რამდენი გოლი გაიტანეს „ოლიმპის“ ფეხბურთელებმა ამ ვირტუოზი ბრაზილიელის მოხდენილი პასებით. მოკლედ, „კლასიკური“ ათი ნომერია, აი, ხანდახან, „მოხეტიალე ფორვარდიც“ რომ შეიძლება დავარქვათ - მეტოქის ნახევარზე მთელ პერიმეტრზე, ბურთით თუ უბურთოდ, მუდამ რომ მანევრირებს და ასევე მუდამ რომ ცდილობს თამაშის გამწვავებას. „სამტრედიასთან“ მატჩი, აკინოს ბენეფისად იქცა - სტუმრები ვერაფრით ახერხებდნენ ტანმორჩილი ბრაზილიელის შეჩერებას. აღარაფერს ვამბობთ საჯარიმოდან გატანილ გოლზე, როდესაც „ცოცხალ კედელში“ სტუმართა ცხრა თუ ათი (!) ფეხბურთელი იდგა და, ამის მიუხედავად, აკინომ მაინც შეძლო დიდოსტატური დარტყმით ბურთის კარში ზუსტად გაგზავნა.

სამწუხაროდ, სწორედ იმ შეხვედრაში აკინომ ტრავმა მიიღო: „ოლიმპი“ დიდი ანგარიშით იმარჯვებდა, მაგრამ ბრაზილიელმა მორიგი სოლო-რეიდი წამოიწყო და მეტოქის მცველთან ორთაბრძოლისას დაშავდა - უნდა გენახათ, რუსთავის სტადიონის ტრიბუნებზე თუ საპატიო სტუმართათვის განკუთვნილ VIP-ლოჟაში (ამ სეზონში ფეხზე დასადგომ ადგილს რომ ვერ იპოვით) რა ხდებოდა - ყველა სულმოუთქმელად ელოდა ექიმების ვერდიქტს. საბოლოოდ გაირკვა, რომ აკინოს მხარი ჰქონდა ამოვარდნილი და ამის გამო ერთი მატჩის გამოტოვებაც მოუხდა. და აი, უკანასკნელ ტურში „ოლიმპისა“ და „სიონის“… „უპრინციპულეს“ დაპირისპირებაში აკინო დაბრუნდა და რუსთაველ ქომაგთა ახალმა კერპმაც მორიგი ზღაპრული მატჩი ჩაატარა! გოლი და მის წინააღმდეგ უხეში თამაშისათვის დანიშნული პენალტი - აი, აკინოს მორიგი „მონაგარი“, ვინც ხუთი გატანილი გოლით საუკეთესო ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა. ისე, ჩვენთვის კი არა, „ოლიმპის“ მწვრთნელებისა თუ უფროსობისათვისაც გაურკვეველი დარჩა, თუ რატომ არ დაანება აკინოს პენალტის დარტყმა… თანამემამულე **ჟონათასმა**. არადა, ტრიბუნიდან ნათლად ჩანდა, რომ თავად დაზარალებულს სურდა პენალტის დარტყმა, მაგრამ თანამემამულე პარტნიორს აღარ შეეწინააღმდეგა…

…მეტოქის კარის მიმართულებით ყველა სტანდარტულს ასრულებს, პასის ჩინებული „კულტურა“ აქვს, ბურთს ზუსტად ურტყამს, მშვენივრად არის შეთამაშებული პარტნიორებთან (განსაკუთრებით - შოთა ბაბუნაშვილთან), სისწრაფეში ცდილობს დრიბლინგის წამოწყებას („სიონთან“, სულაც **ზიდანის** ცნობილი ფინტი გაიმეორა - ბურთიანად დაბზრიალდა რამდენიმე მეტოქის გარემოცვაში) და მეტი რაღა უნდა მოვთხოვოთ ფეხბურთელს?!

…კიდევ ერთი, თან არცთუ უმნიშვნელო ნიუანსი კინაღამ გამოგვრჩა: აკინოს თამაში გულშემატკივრებს სიამოვნებას ანიჭებს და, რაც მთავარია, თვითონაც… სიამოვნებას იღებს! ყოველ შემთხვევაში, რაც ამ ბიჭის თამაშები ვნახეთ, სახიდან ღიმილი არ მოშორებია…

**გია ტუხაშვილი**

### ინტერვიუ

**სეზონის** დაწყებამდე „ოლიმპი“ ბრაზილიელებით მნიშვნელოვნად გაძლიერდა. რუსთაველებმა სატრანსფერო საქმიანობა 31 აგვისტოს დაასრულეს. როგორც შევიტყვეთ, ამ კლუბში კიდევ სამი ახალწვეულია - თბილისის „დინამოს“ ყოფილი ნახევარმცველი ოლეგ გველესიანი, ბარნაულის „დინამოდან“ წამოსული ვალერი აბრამიძე და „ატლეტიკო პარანენსეს“ ფორვარდი ედი სალესი. ეს ინფორმაცია ოთარ კორღალიძემაც დაგვიდასტურა:

# ოთარ კორღალიძე
# აკინო ნაკრებისთვისაც საინტერესო უნდა იყოს

- ეს სამი ფეხბურთელი 31 აგვისტოს დავიმატეთ. ჩემპიონობისთვის ვიბრძვით და ყველა რგოლში კიდევ უფრო გაძლიერება და კონკურენცია ნამდვილად არ გვაწყენდა. ბრაზილიელი თავდამსხმელი ჯერ არ ჩამოსულა, მას 6 სექტემბერს ველოდებით. ედი სალესი 19 წლისაა და „ატლეტიკო პარანენსეში“ აკინოსთან ერთად უთამაშია. აკინოს ეს ძალიან გაუხარდა - სალესი ჩემი საუკეთესო პარტნიორი იყო და ერთმანეთს უსიტყვოდ ვუგებდითო. აბრამიძე ნახევარი წლით დარჩება. ის დეკემბრამდე ყოველგვარი „საკონტრაქტოს“ გარეშე მოვიდა და თუკი მისი გამოსყიდვა დაგვჭირდა, ხელახლა დავილაპარაკებთ. ამ პირობით მოვიდა გველესიანიც. ორივე კარგი ფეხბურთელია, მაგრამ მთავარია, როგორ ფორმაში იქნებიან.

**- ახალწვეულებში 21-წლამდელთა ნაკრების ფორვარდი გიორგი ჭედია არ გიხსენებიათ. ისიც ხომ „ოლიმპშია“?**

- დიახ, ჭედიაც ავიყვანეთ და მჯერა, ჩვენს შეტევას კიდევ უფრო გააძლიერებს.

**- სეზონის დაწყებამდე ვიცოდით, რომ „ოლიმპის“ დამფინანსებელ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას გაუჭირდა. ამ დროს კი სოლიდურ ტრანსფერებს ახორციელებთ. კრიზისი გუნდს არ შეეხო?**

- მეტალურგიულ ქარხანას ნამდვილად არ ულხინს, მაგრამ მისი ხელმძღვანელის, ვილი ელიგულაშვილის სახით ქართულ ფეხბურთს დიდი გულშემატკივარი ჰყავს. ეს კაცი „ოლიმპს“ გვერდში დაუდგა.

**- ყველა აღიარებს, რომ აკინო მაღალი დონის ფეხბურთელია და საქართველოს ნაკრებში მისი მიწვევა დროული გადაწყვეტილება იქნებოდა. მისი ნატურალიზაციის საკითხი არ დასმულა?**

- სამწუხაროდ, დაინტერესება არ იგრძნობა. კაცი თანახმაა, ჩვენი მაისურით ითამაშოს, მაგრამ გვესმის სკეპტიკური საუბრები, რომ ბრაზილიელები არ გაამართლებენ, რომ ეს პროექტი შეცდომაა და ასე შემდეგ. რეალურად, ასეთი ძლიერი ლეგიონერები საქართველოში გინახავთ?

**- ეროვნული ჩემპიონატის გარიჟრაჟზე ბალტიისპირეთიდანაც ძლიერი მოთამაშეები ჩამოვიდნენ, თუმცა აკინოს დონის არც ერთი არ იყო…**

- მეც ამას ვამბობ. მაშინ თავადაც ვთამაშობდი და ვიცი, ვინ რას წარმოადგენდა, ახლა ვხედავ, რა დონისაა აკინო. ბრაზილიელი მართლაც ძლიერი ფეხბურთელია და დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო გაიხსნება. რუსთავის „ოლიმპის“ ხელმძღვანელობას ქართული ფეხბურთის დახმარება და ნაკრებისთვის ამ ბიჭის გამოყენება გვსურს. საერთო ქართულ საქმეს ეს აუცილებლად წაადგება. მაგალითისთვის გეტყვით - ბრაზილიელების ჩამოსვლა ქართველ ფეხბურთელებსაც დაეტყოთ. დაინახეს, რომ სამხრეთამერიკელები სწრაფად თამაშობდნენ და მხარი აუბეს, განსაკუთრებით ბაბუნაშვილმა და დობროვოლსკიმ. დარწმუნებული ვარ, ასევე მოხდება ნაკრებშიც. ნათქვამია, კარგი მაგალითი გადამდებიაო.

**- იყო ინფორმაცია, რომ სალესის, გველესიანისა და აბრამიძის გარდა, ერთ ყოფილ დინამოელსაც იმატებდით.**

- აღარავის ვიმატებთ, ჩვენი ტრანსფერები ამით დასრულებულია.

**მერაბ მამულაშვილი**

სამხრეთი აფრიკა 2010

არგენტინა-ბრაზილიის წინ

# ის, რასაც მარადონასაც აღარ აპატიებენ...

5 სექტემბერს მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებში ყველაზე საინტერესო დაპირისპირება სამხრეთ ამერიკაში გველის, სადაც ქალაქ როსარიოში **დიეგო მარადონას** არგენტინის ნაკრები **დუნგას** ბრაზილიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. ამ ორი ნაკრების დაპირისპირება ფეხბურთში ყველაზე თვალსასეირო და საინტერესო სანახავია. გარდა იმისა, რომ არგენტინა და ბრაზილია მუდამ მოწინავეთა შორის არიან მსოფლიო ფეხბურთის ფერხულში, ეს ორი ნაკრები თავიანთ ქვეყნებში ეროვნული სიამაყის საგანს წარმოადგენენ, არგენტინას და ბრაზილიას საფეხბურთო თვალსაზრისით კი ნამდვილი ომი აქვთ ერთმანეთში. ყველაფერს კი ემატება არგენტინის ნაკრების დღევანდელი მდგომარეობა საკვალიფიკაციო ცხრილში, რომელსაც შეიძლება საგანგაშოც კი ეწოდოს. სამხრეთ ამერიკის ზონიდან 4 ნაკრები პირდაპირ გადის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, მეხუთე ადგილოსანი კი პლეიოფში ითამაშებს. დღეისათვის მარადონას გუნდი 22 ქულით მე-4 ადგილზეა, გუნდი 2 ქულით უსწრებს ეკვადორს, მაშინ როცა საკვალიფიკაციო ეტაპის დასრულებამდე სულ 4 ტური ლარჩება. წარუმატებლობა მარადონას შეიძლება ძვირად დაუჯდეს. არ არის გამორიცხული არგენტინელებმა მსოფლიოს ჩემპიონატს ტელეეკრანებიდან უყურონ, ამას კი გულშემატკივარი მარადონასაც ვერ აპატიებს.

ასეთი მელოდრამა და არგენტინის კრახი მით უფრო სავარაუდოა, რომ გუნდს... დიეგო არმანდო მარადონა ხელმძღვანელობს. მარადონას, როგორც მწვრთნელის, შედეგები სწორედ ამაზე მეტყველებს, მის ხელში ნაკრებს ყველაფერი შეიძლება დაემართოს. ამ შესარჩევ ციკლში ვენესუელასთან დამაჯერებელ გამარჯვებას (4:0) მოჰყვა არგენტინის სრული განადგურება ლა პასში ბოლივიის ნაკრებთან - 1:6. კოლუმბიასთან მინიმალურ გამარჯვებას (1:0) ეკვადორში კიდევ ერთი მარცხი (0:2) დაერთო.

საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი შეხვედრა ამ გუნდებს შორის, რომელიც ბელუ ორიზონტეში გაიმართა, 0:0 დასრულდა, თანაც თამაშში არგენტინელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა. **ლეო მესი** იმდენად ბრწყინვალედ თამაშობდა, რომ მატჩის ბოლო წუთზე, როცა ლეო შეცვალეს, ადგილობრივმა პუბლიკამ მას ოვაცია მოუწყო. ასეთი რამ ბრაზილიაში კი ძალზე იშვიათია, მით უმეტეს არგენტინელი ფეხბურთელის მიმართ.

მარადონა ბრაზილიას სიურპრიზს უმზადებს, ის ალბათ არ შეუტევს მეტოქეს მისივე საყვარელი ტრიუმვირატით - მესი, **სერხიო აგუერო და კარლოს ტევესი** - დიდი შანსია, სასტარტოში "ინტერის" **დიეგო მილიტომ** ითამაშოს ან თუნდაც "ბოკა ხუნიორსის" **მარტინ პალერმომ.**

სხვათა შორის, ეს მნიშვნელოვანი დაპირისპირება ბუენოს აირესიდან როსარიოში სწორედ მარადონას ინიციატივით გადაიტანეს. მარადონას მტკიცებით, კლუბ "როსარიო სენტრალის" სტადიონ "გიგანტე დე აროიტოზე" სპეციალური ატმოსფეროა, რაც არგენტინის ნაკრებს გამარჯვებაში დაეხმარება, რასაც ვერ ვიტყვით დედაქალაქურ "ლა მონუმენტალზე", რომელსაც მძლეოსნობის სარბენი ბილიკები ასეთი ატმოსფეროს შექმნაში ხელს უშლის. ძალიან ბევრმა მიიჩნია, რომ მარადონას ამ გადაწყვეტილების მიღებისას სულ სხვა რამ ამოძრავებდა - მოგეხსენებათ, "ლა მონუმენტალი" "რივერ პლეიტის" სტადიონია მისი ყოფილი გუნდის, "ბოკა ხუნიორსის" დაუძინებელი მტრის.

დიეგოს სანაკრებო სელექციაც ბევრ კითხვას ბადებს, მან ყველასთვის მოულოდნელად, ორი ვეტერანი მიიწვია ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ სათამაშოდ - 35 წლის ფორვარდი მარტინ პალერმო და 36 წლის მცველი **როლანდო სკიავი**. მოულოდნელია "ესტუდიანტესის" ნახევარმცველის, **როდრიგო ბრანას** მიწვევაც. პალერმო ნამდვილი ლეგენდაა "ბოკა ხუნიორსის" გულშემატკივართა შორის, ის ამ კლუბის ყველა დროის ბომბარდირია და ახლახან არგენტინის ჩემპიონატის მეორე ტურში დუბლიც შეასრულა, მაგრამ... სანაკრებო ასპარეზზე პალერმო 1999 წლის კოპა ამერიკის ერთი მატჩში გამოჩენილი "გმირობის" შემდეგ თითქმის ყველას გადაავიწყდა. მაშინ პალერმომ კოლუმბიასთან მატჩში ზედიზედ სამი პენალტის დარტყმა გადაწყვიტა და მიზანს ერთხელაც ვერ მიაღწია! ის თამაში არგენტინის ნაკრებმა კოლუმბიასთან 0:3 წააგო. ბოლოს პალერმო ეროვნულ ნაკრებში 2000 წელს მიიწვიეს ჩილეს წინააღმდეგ, თუმცა თავდამსხმელი სათადარიგო სკამს არ გაასცილეს.

როსარიოს სტადიონი 45 ათას გულშემატკივარს იტევს და ის, რა თქმა უნდა, გადაჭედილი იქნება. გუშინ სტადიონის სალაროებთან რიგები ას მეტრზე უფრო გრძელი იყო, ხალხი კარვებში ელოდებოდა როდის გაიხსნებოდა სალაროები (ეს გუშინ ჩვენი დროით გვიან ღამით მოხდებოდა).



## ფრთხილად, გვერდით მკვლელია!

შაბათს ეროვნული ნაკრების განკარგულებაში "ბარსელონას" ვარსკვლავი ლეო მესი გამოცხადდა, მაგრამ არგენტინული პრესის ყურადღება სუპერვარსკვლავზე მეტად მისმა პირადმა მცველმა მიიქცია. მესის არიელ პულიესე იცავდა, ნუევა ჩიკაგოში ცნობილი ბარაბრავა (ანუ საფეხბურთო ხულიგანი), რომლის კრიმინალურ წარსულში მკვლელობის ბრალდებაცაა. პულიესეს მეტსახელია "გუსანო", ის ცნობილია დაუნდობელი ხასიათით, იგი ყველაზე აგრესიული საფეხბურთო ხულიგნების ჯგუფის "ლოს პერალესის" ლიდერია. 2007 წელს "ნუევა ჩიკაგოსა" და "ტიგრეს" მატჩის შემდეგ "ლოს პერალესის" ხულიგნებმა წამებით მოკლეს "ტიგრეს" გულშემატკივარი მარსელო სეხასი, არიელ პულიესე ერთ-ერთი მთავარი ეჭვმიტანილი იყო. პულიესეს აეროპორტშივე შეექმნა პრობლემები, როცა გამშვებმა მოწყობილობამ მეტალი დააფიქსირა.. აღმოჩნდა, რომ ეს იყო ჩვეულებრივი ტყვია "გუსანოს" სხეულში გაჭედილი. როგორ მოგწონთ?

არგენტინული გაზეთი "ოლე" ვარაუდობს, რომ პულიესეს ეს სამსახური არგენტინის ნაკრების ექიმმა დადიმ "უშოვნა", რომელიც წარსულში ასევე "ლოს პერალეს დე ნუევა ჩიკაგოს" ბანდის წევრი იყო. აი, ასეთი ხალხი შეჰყარა დიეგო მარადონამ არგენტინის ნაკრებში.





გთავაზობთ არგენტინის ნაკრების შემადგენლობას ბრაზილიის და პარაგვაის ნაკრებებთან მატჩის წინ:

მეკარეები - **ხუან პაბლო კარისო** (სარაგოსა), **მარიანო ანდუხარი** (კატანია), **სერხიო რომერო** (ალკმაარი).

მცველები - **ხავიერ ძანეტი** (ინტერი), **ნიკოლას პარეხა** (ესპანიოლი), **ფაბრისიო კოლოჩინი** (ნიუკასლი), **გაბრიელ ჰაინცე** (მარსელი), **ნიკოლას ბურდისო** (ინტერი), **სებასტიან დომინგესი, ემილიანო პაპა, ნიკოლას ოტამენდი** (ყველა "ველეს სარსფილდი), **როლანდო სკიავი** (ნიუელს ოლდ ბოისი).

ნახევარმცველები - **ფერნანდო გაგო** (რეალი), **ხავიერ მასკერანო** (ლივერპული), **მაქსი როდრიგესი** (ატლეტიკო), **ხესუს დატოლო** (ნაპოლი), **ხუან სებასტიან ვერონი, როდრიგო ბრანა** (ესტუდიანტესი), **მარიო ბოლატი** (ურაკანი), **სებასტიან ბატალია** (ბოკა ხუნიორსი).

თავდამსხმელები - **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი), **ლიონელ მესი** (ბარსელონა), **სერხიო აგუერო** (ატლეტიკო), **ლისანდრო ლოპესი** (ლიონი), **დიეგო მილიტო** (ინტერი), **ესეკილ ლავეცი** (ნაპოლი), **ედუარდო სალვიო** (ლანუსი), **მარტინ პალერმო** (ბუკა ხუნიორსი).

### მესის ლოგიკა: ბრაზილია ძლიერია, ამიტომ იოლად მოვუგებთ

"ბარსელონას" და არგენტინის ნაკრების ლიდერ **ლიონელ მესის** მიაჩნია, რომ მისი ნაკრები ბრაზილიას იოლად დაამარცხებს. შეგახსენებთ, რომ არგენტინის ნაკრები 5 სექტემბერს როსარიოში ბრაზილიას მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში უმასპინძლებს. ეს თამაში განსაკუთრებით **დიეგო მარადონას** გუნდისთვის არის მნიშვნელოვანი, სატურნირო თვალსაზრისით რადგან წარუმატებლობის შემთხვევაში არგენტინის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერმოხვედრის საფრთხის წინაშე დადგება.

*"რთული მატჩი გველის, რადგან ბრაზილიას ჩვენ დარად მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავს. მაგრამ ამავე დროს, სწორედ ამის გამო მიმაჩნია, რომ ჩვენ შეგვიძლია მეტოქეს თავისუფლად მოვუგოთ. ჩვენ ვიცით ამ მატჩის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ, ბიჭები სათამაშოდ და საბრძოლველად არიან მომართულები. ჩემთვის და მთელი გუნდისთვის ძალიან დიდი მატჩი გველის, მთავარია, გამარჯვება და არ აქვს მნიშვნელობა რომელი ჩვენგანი გაიტანს გოლს. ახლანდელი "სელესაო" ისეთი გუნდია, მოთმენა შეუძლია სანამ მეტოქე პირველი შეუტევს და შემდეგ მწვავე კონტრშეტევებზე მის გამოჭერას შეეცდება. ბოლო მატჩებში ბრაზილიელები სწორედ ამ ტაქტიკით თამაშობდნენ და ჩვენც ფრთხილად უნდა ვიყოთ. მაგრამ, მთავარია, დავივიწყოთ მათი მიზნები და ვიფიქროთ მხოლოდ ჩვენსაზე, ჩვენს ტაქტიკაზე და დაე, ბრაზილიელებმა იტეხონ თავი, როგორ დაიცვან კარი ჩვენი შეტევებისგან"*, - განაცხადა ლეო მესიმ, რომელიც მარადონამ მომავალი სუპერდაპირისპირების სასტარტო შემადგენლობაში უკვე დაასახელა.

*"შესაძლოა ჩემს წინააღმდეგ პერსონალურად დანი ალვეშმა ან ფელიპე მელომ ითამაშოს, თუმცა ამას ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვითამაშებ ისე, როგორც შემიძლია, როგორც ყოველთვის. ძალიან გახარებული ვარ, რომ მატჩი როსარიოშია, ჩემს მშობლიურ ქალაქში. დიდი ხანია, აქ არგენტინის ნაკრებს არ უთამაშია, კიდევ უფრო მეტი დროა გასული ბრაზილიელთა სტუმრობიდან, ხალხი უბრალოდ მონატრებულია დიდ ფეხბურთს"*, - განაცხადა უეფას წლის საუკეთესო ფეხბურთელმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სატრანსფერო სეზონი

# ზაფხულის დიდი ჯიბე

პირველ სექტემბერს, გრინვიჩის დროით საღამოს 5 საათზე ინგლისში სატრანსფერო სეზონი დაიხურა. მისი შედეგების შემყურე, ნამდვილად ვერ გეტყვით, შეეხო თუ არა დიდ ბრიტანეთს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, მაგრამ იმის თქმა, რომ პრემიერლიგის კლუბებმა ამ ზაფხულს ახალი ფეხბურთელების ყიდვაში არნახული თანხა - 460.7 მილიონი ფუნტი დახარჯეს, დაბეჯითებით შეგვიძლია. ერთი წლის წინანდელი მაჩვენებელი 46 მილიონით ნაკლები გახლდათ.

ალბათ, არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვით, რომ ყველაზე ბევრი ფული "მანჩესტერ სიტიმ" გაიღო - დაახლოებით საერთო ინგლისური დანახარჯის მეოთხედი, რიცხვებში კი 117 მილიონი. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ სატრანსფერო სეზონის ბოლო დღეს არც "სიტის" უყიდია ვინმე და არც პრემიერლიგის დიდი ოთხეულის რომელიმე წარმომადგენელს. ახლა, მოდი, წლევანდელი ჯამური სატრანსფერო თანხა წინა რამდენიმე წლისას შევადაროთ და ყველაზე დიდი მხარჯველებიც გავიხსენოთ. მაშ ასე:

**2009**

უდიდესი მხარჯველი "მანჩესტერ სიტი" - 117 მილიონი ფუნტი. "სიტის" ახალ მეპატრონეებს სერიოზული ზრახვები აქვთ და ამიტომაც დახარჯეს დაახლოებით ოთხჯერ მეტი, ვიდრე პრემიერლიგის დანარჩენ გუნდთაგან ყველაზე ხელგაშლილებმა.

**2008**

უდიდესი მხარჯველი "მანჩესტერ სიტი" - 77.7 მილიონი ფუნტი. ამ თანხის სოლიდური ნაწილი, დაახლოებით 32 მილიონი, "ჩელსის" ცხვირწინ ბრაზილიელი **რობინიოს** ანაპვნაში დაიხარჯა. ისტლენდელებმა ის "რეალიდან" წაიყვანეს.

**2007**

უდიდესი მხარჯველი "მანჩესტერ იუნაიტედი" - 63.1 მილიონი ფუნტი. იმავე წელიწადს "ლივერპულმა" "ატლეტიკოსგან" **ფერნანდო ტორესი** შეიძინა, რაშიც 21 მილიონი ფუნტი გადაიხადა.

**2006**

უდიდესი მხარჯველი "ჩელსი" - 66.3 მილიონი ფუნტი. ამ თანხის თითქმის ნახევარი "მილანისგან" უკრაინელი **ანდრეი შევჩენკოს** გამოსყიდვაზე დაიხარჯა. მოგეხსენებათ, შევჩენკო "ჩელსის" არ გამოადგა...

**ილია ბაბუნაშვილი**

შალკე



ალბერტ შტრაიტი შალკედან მოკვეთეს

# შტრ–აიტ!!!

## დესპოტმა ფელიქსმა ნახევარმცველი გუნდიდან მოკვეთა

"შალკეს" მენეჯერმა და მთავარმა მწვრთნელმა **ფელიქს მაგათმა** ნახევარმცველი **ალბერტ შტრაიტი** გუნდიდან მოკვეთა. აღსანიშნავია, რომ 29 წლის ნახევარმცველი, რომელიც მაგათს გელზენკირხენულ კლუბში დანიშვნის დღიდანვე თვალში არ მოსდიოდა, გარკვეული დროის განმავლობაში მეორე გუნდშიც კი არ ივარჯიშებს.

*"ჩემი ფეხბურთელებისგან მხოლოდ იმას ველი, რომ შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოამჟღავნონ და თავი ვარჯიშებზეც კი არ დაზოგონ. სამწუხაროდ, შტრაიტმა ვერცერთხელ ვერ დამარწმუნა იმაში, რომ ასი პროცენტით იხარჯება,"* - განუცხადა "დესპოტმა ფელიქსმა" ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

თვითონ ფეხბურთელმა კომენტარის გაკეთებაზე უარი თქვა. ჩვენ კი უნდა შეგახსენოთ, რომ შტრაიტმა, რომელსაც "შალკეს" მაისურით ოდენ 14 მატჩი აქვს ჩატარებული, ამას წინათ თქვა, თუ საჭიროა, კონტრაქტის ამოწურვამდე სკამზე ვიჯდები და ეს ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენსო. *"შალკესთან" კონტრაქტი კიდევ სამი წლით მაკავშირებს. მინდა ვთქვა, რომ კარიერის საუკეთესო კონტრაქტი გავაფორმე და საკმაოდ მაღალი ხელფასი მაქვს,"* - თქვა შტრაიტმა ერთი თვის წინ. როგორც ჩანს, მას კარიერული წინსვლა არ აინტერესებს.

აღსანიშნავია, რომ შტრაიტი უკვე მეორედ მოკვეთეს "შალკედან". ეს ფეხბურთელი **ლევან კობიაშვილისა** და **ლევან ყენიას** კლუბში 2008 წლის იანვარში გადავიდა და გელზენკირხენელებმა ფრანკფურტის "აინტრახტს" მაშინ მის სანაცვლოდ 2.5 მილიონი ევრო გადაუხადეს. წლის დასაწყისში შტრაიტი გუნდიდან "შალკეს" იმჟამინდელმა მწვრთნელმა **ფრედ რუტენმა პეტერ ლიოვენკრანდსთან** და **კარლოს გროსმიულერთან** ერთად მოკვეთა და მეორე გუნდში გადაიყვანა, ახლა კი, ნახევარმცველი მეორე გუნდიდანაც მოკვეთილია. შეგახსენებთ, რომ შტრაიტმა წინა სეზონის მეორე წრე "ჰამბურგში" არენდის წესით გაატარა, მაგრამ თავი ჩრდილოგერმანულ კლუბში ვერაფრით გამოიჩინა.

**გოტფრიდ ლენცი**

დორტმუნდი

# უგოლო გოლეადორი

## კლოპმა შეგირდი დაიცვა





ლუკას ბარიოსი და იურგენ კლოპი

სანამ დორტმუნდის "ბორუსია" ახალი სეზონისთვის ემზადებოდა, "კოლო კოლოდან" ნაყიდ გოლეადორ (38 გოლი 37 მატჩში) **ლუკას ბარიოსს** ყველა ტესტმატჩში გოლები გაჰქონდა. გულშემატკივრებმაც იფიქრეს, რომ 24 წლის ფორვარდს არც ბუნდესლიგაში გაუჭირდებოდა მისი, როგორც თავდამსხმელის უპირველესი მოვალეობის შესრულება, მაგრამ შეცდნენ: ბუნდესლიგაში უკვე ოთხი ტურია ჩატარებული და ბარიოსის ანგარიშზე ერთი გოლიც კი არ არის. თუკი პირველ სამ შეხვედრაში მწვრთნელმა **იურგენ კლოპმა** ის ძირითად შემადგენლობაში ათამაშა, მეოთხე ტურში უკვე სათადარიგოთა სკამზე დასვა და ისიც უნდა ვთქვათ, რომ **მოჰამედ ზიდანმა**, რომელმაც ბარიოსი შეცვალა, გოლი გაიტანა. მიუხედავად ამისა, კლოპი თავის შეგირდს იცავს და ამბობს, სათადარიგოთა სკამზე დასმით მისი დასჯა კი არა, მისთვის მძიმე წნეხის მოხსნა მინდოდაო.

*"ჩემი აზრით, სავსებით ნორმალურია ის, რომ ახალი ფეხბურთელი ახალ გარემოსა და ფეხბურთის თამაშის მისთვის ახლებურ სტილს იოლად ვერ შეეგუა და სრულყოფილი ადაპტაციისთვის დრო სჭირდება. ბარიოსს განსაკუთრებით ტაქტიკურ ასპექტში გაუჭირდა, რაც ჩემთვის ასევე გასაგებია. ვფიქრობ, ახლა ლუკასისთვის უმჯობესია, რომ ჯოკრის რანგში იყოს და თამაშში მეორე ტაიმში ჩაერთოს ხოლმე. ეს მანამდე გაგრძელდება, სანამ ის ბუნდესლიგაში სრულყოფილ ადაპტაციას არ გაივლის,"* - აცხადებს კლოპი.

*"ცოტა არ იყოს გამიკვირდა, როცა შევიტყვე, რომ ძირითად შემადგენლობაში აღარ ვიყავი, მაგრამ მწვრთნელთან საუბრის შემდეგ მივხვდი, რომ ამ ეტაპზე ასე ჯობია,"* - ეს კი თავად ბარიოსის სიტყვებია.

ამ კვირაში კლოპი ლუკასს ტაქტიკურ მეცადინეობებს ჩაუტარებს და იმედოვნებს, რომ სამხრეთამერიკელი ყველაფერს მალე გაითავისებს. აღსანიშნავია ისიც, რომ დიდი ზარზეიმით შეძენილ თავდამსხმელს არც "ბორუსიას" ხელმძღვანელები აკრიტიკებენ. ბოსი **ჰანს-იოახიმ ვატცკე**:

*"მასში 25 მილიონი ევრო რომ გადაგვეხადა, ასეთ შემთხვევაში ნამდვილად მოვითხოვდით და მივილებდით კიდეც იმის გარანტიას, რომ პირველივე მატჩებში გოლებს გაიტანდა, მაგრამ ჩვენ ბარიოსში მხოლოდ 4 მილიონი გადავიხადეთ და ვიცოდით, რომ შეიძლებოდა, ახალი ატმოსფეროს შესაგუებლად დრო დასჭირვებოდა. დარწმუნებული ვარ, რომ როგორც კი ბუნდესლიგას სრულყოფილად გაუშინაურდება, გოლების გატანასაც დაიწყებს".*

დორტმუნდელ ქომაგებსაც ამის იმედი აქვთ...

**გოტფრიდ ლენცი**

განგსტერული ქრონიკები

# დაუთმეთ ნიკოლეტა თავს



ნიკოლეტა ლოზანოვა

დიმიტარ ბერბატოვი

"მანჩესტერ იუნაიტედის" ბულგარელ ვარსკვლავს, **დიმიტარ ბერბატოვს** სიმწრის ოფლმა დაასხა, როდესაც ერთი "ჯიბიდან გავარდნილი" განგსტერისგან მუქარის ტექსტები მიუვიდა. ახლავე აგიხსნით რა ხდება: დაირხა ხმა, რომ ბოლო დროს ბერბატოვმა პრანჭვა დაუწყო **ნიკოლეტა ლოზანოვას**, ბულგარეთის 2006 წლის პლეიმეიტს ანუ მოდელს, რომელიც "პლეიბოის" პლაკატზე მოხვდა და შემდეგ წლის საუკეთესოდ დაასახელეს. ცნობისთვის: ქალბატონი ლოზანოვა ერთი ხანობა დღევანდელი "ტვენტეს" გოლკიპერს, **ნიკოლაი მიხაილოვს** ჰყვარობდა. ნიკოლაი მიხაილოვი ბულგარელთა "ოქროს თაობის" მეკარისა და დღეს ქვეყნის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის, ბორისლავ მიხაილოვის ვაჟია, თუმცა, მოდი, ერთი წამით მიხაილოვებს თავი დავანებოთ და განგსტერს დავუბრუნდეთ.

განგსტერი **გეორგი სტოილოვი** მეტსახელად "თავი", ყოფილა კაცი, რომლისაც თურმე ბულგარეთში ყველას ძალიან ეშინია, რადგან დაუნდობელი ჯელი ბრძანებულა. იმავდროულად ბატონი სტოილოვი, თურმე, ლოზანოვას თანამეცხედრეობითაც იკვეხნის. ჰოდა, ერთ-ერთი ჟურნალის ცნობით უფალ "თავს" ბერბატოვისთვის შეუთვლია, მაგ ქალს თავს თუ დაანებებ, შენი ჯანმრთელობისთვის გაცილებით უკეთესი იქნებაო.

თუ ბულგარული მაფიის ისტორია ცოტათი მაინც გაინტერესებთ, შეგვიძლია გითხრათ, რომ გეორგი სტოილოვი ოჯახის ბოსი 2004 წელს გახდა, მას მერე, რაც მისი მამა **სტოილ სტოილოვი** ამფსონებთან ერთად ლიფტში ააფეთქეს.

სხვათა შორის, განგსტერმა ნიკოლეტა ლოზანოვას ხელში ჩასაგდებად თავის დროზე ნიკოლაი მიხაილოვსაც ომი გამოუცხადა - ბულგარეთში ამბობენ, ავარია, რომელიც გოლკიპერს 170-ათასიანი "ფერარით" მოუვიდა, შემთხვევითი არ იყოო.

აქვე, დამატებითი ცნობა 28 წლის ბერბატოვის შესახებ: წესითა და რიგით, მას ჰყავს სატრფო **ელენა შტილიანოვა**, რომელიც სამი თვის ფეხმძიმეც კი უნდა იყოს. და კიდევ, ფორვარდმა "თავის" მუქარა ძალიან გაიკვირვა:

*"მე ლოზანოვას ცხოვრებაში ერთადერთხელ შევხვედრივარ, როდესაც ის ნიკოლაისთან იყო და ჩვენ შორის, რა თქმა უნდა, არაფერი მომხდარა,"* - ხელები გაასავსავა ფეხბურთელმა.

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამსაჯო საკითხი

# რაფას დაფაზე გააკრავენ



რაფა ბენიტესი

მოგეხსენებათ, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ მსაჯთა დაცვის კამპანია წამოიწყო და შესაძლოა ამ კამპანიის პირველი მსხვერპლი "ლივერპულის" მწვრთნელი **რაფა ბენიტესი** აღმოჩნდეს. რა დააშავა ბენიტესმა? რა და, 16 აგვისტოს, პრემიერლიგაში, "ტოტენჰემ ჰოთსპურთან" რომ წააგო, თქვა, მსაჯმა **ფილ დოუდმა** ორი პენალტი არ მოგვცაო. "სფურზმა" მერსისაიდელებს 2:1 მოუგო და ის ორი პენალტი თუ მართლა დასანიშნი იყო, გამოდის, რომ მატჩი "ლივერპულის" სასარგებლოდ, 3:2 უნდა დამთავრებულიყო.

*"დღეს მსაჯი სწორ გადაწყვეტილებებს ვერ იღებდა - ბრძანა მაშინ ბენიტესმა - იმ ორი ეპიზოდიდან, რომელთა გამოც ჩვენ პრეტენზია გვაქვს, პირველი რომ აშკარა პენალტი იყო, ლაპარაკი არ უნდა, ამის დანახვას ყველა შეძლებდა. მეორე ეპიზოდში კი მცველმა ბურთს ხელი გაჰკრა, თუმცა რამდენადაც ცნობილია, ასეთ დროს ყოველთვის პენალტს არ ნიშნავენ. მით უფრო ისეთი მსაჯი, როგორიც დღეს გვყავდა, სტუმრად ორ პენალტს, სულ ასპროცენტიანი რომ იყოს, არ მოგვცემს. ხოლო, რაც შეეხება მეოთხე მსაჯს, რომელმაც ჩემი ასისტენტი გააძევა, ის ძალიან ახალგაზრდა და ფიცხია. დრო რომ გავა, დალვინდება".*

აი, ამ სიტყვების შემდეგ, "ლივერპულის" კლუბის ხელმძღვანელობა ეჭვობს, რომ ფეხბურთის ასოციაცია ბენიტესის ისტორიას თითზე დაიხვევს და სათავისოდ გამოიყენებს - კამპანია რისი კამპანიაა, თუ იგი სამაგალითო საქმით არ გაძლიერდა. განტევების ვაცი ხომ ნებისმიერი კამპანიისთვის არის საჭირო.

ერთი სიტყვით, თუკი ასოციაცია ბენიტესს დასჯის, ისედაც კრიზისში მყოფ "ლივერპულს" რამდენიმე თამაშით, სათადარიგოთა სკამიდან მწვრთნელის ხელების შლა მოაკლდება - ესპანელ სპეციალისტს თავისი გუნდის თამაშის ხილვა ტრიბუნიდან მოუწევს. როგორც მოგახსენეთ, ხსენებულ შეხვედრაში ბენიტესის ასისტენტი, **სემი ლი** სულაც გააძევეს მოედნიდან. ცხადია, ასოციაციის შეფები ლის საქმესაც განიხილავენ.

ტრანსფერები

# კეთილი ბარნლი

**დანიელ კუზენმა** "ჰალ სიტი" დატოვა, "ბარნლიში" გადავიდა და ყოფილ მწვრთნელს, **ფილ ბრაუნს** ერთი გულიანად შეუკურთხა - ასე დაასრულა მოჯანყე თავდამსხმელმა ერთწლიანი კოშმარი "KC სთედიუმზე".

კუზენი გაბონელია (თუკი გაბონელი ეთქმის კაცს, რომელიც სამი წლიდან საფრანგეთში ცხოვრობს), მისი აჯანყება კი თვალნათლივ იმაში გამოიხატა, რომ აგვისტოში, შინ, "ტოტენჰემ ჰოთსპურთან" 1:5 დამარცხების დღეს, მოედნიდან რომ გადიოდა, მწვრთნელს ხელი არ ჩამოართვა.

*"ამიერიდან ცხოვრებაში ახალი გამოწვევის წინაშე ვდგავარ. თავს ბედნიერად ვგრძნობ, "ბარნლის" ფეხბურთელი რომ გავხდი. როგორც კი გავიგე, რომ ბარნლელები ჩემით იყვნენ დაინტერესებულნი, დაუყოვნებლივ თანხმობა შევუთვალე. გულით მინდა ვითამაშო, მოედანზე საქმე ვაკეთო და ვიცი, რომ მწვრთნელი ოუენ კოილი მენდობა. რაც შეეხება "ჰალს", ვხედავდი, რომ ბევრი რამ, რაც ამ გუნდში ხდებოდა, უცნაური და ულოგიკო იყო,"* - უთხრა ჟურნალისტებს კუზენმა.

და, აქვე, კიდევ ერთი კოშმარის შესახებ, რომლის დასრულებაში კვლავ "ბარნლის" კეთილი ხელი ურევია - **დევიდ ნაჯენტმა** "ბარნლის" დახმარებით "პორტსმუთისგან" დაიხსნა თავი. მან სატრანსფერო სეზონის ბოლო დღეს თავს ექვსთვიანი "გაქირავებით" უშველა.

ნაჯენტი "პომპეიდან" წავიდა და თან გაიყოლა ფანების რისხვა პრემიერლიგის ბოლო ტურის შეხვედრაში, "მანჩესტერ სიტის" კართან დიდებული მომენტის ხელიდან გაშვების გამო. არადა, მიზანში რომ მოეხვედრებინა, იმ დღეს "სიტი" 1:0-ს ველარ გაიმარჯვებდა.

თავდამსხმელი, რომელიც 6 მილიონი ფუნტი ღირს, ოდესღაც ინგლისის ნაკრებშიც კი იყო მიწვეული, მაგრამ ბოლო დროს მისი საქმე კარგად ველარ მიდიოდა. "პორტსმუთში" მან ორი სეზონი გაატარა და მხოლოდ ექვსი გოლი შეაგდო, ხოლო "სიტისთან" შეხვედრაში ხელიდან გაშვებული მომენტი მწვრთნელის, **პოლ ჰარტის** მოთმინების ფიალისთვის ბოლო წვეთი აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ახალ თავდამსხმელს სიამოვნებით ეგებება **ოუენ კოილი:**

*"ვიცი, რომ ნაჯენტს კარიერის შემოტრიალება სურს და ეს ძალიან მახარებს. შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს გუნდში გადმოვიდა ფეხბურთელი, რომელსაც დიდი გამოცდილება და გოლების გატანის უნარი აქვს".*



დანიელ კუზენი



დევიდ ნაჯენტი

წლის შეჯამება

# როგორ ამოვიდა ჰიუზი ჯოჯოხეთიდან

"მანჩესტერ სიტის" თავკაცი **მარკ ჰიუზი** ამბობს, რომ ბოლო ერთი წელიწადი მის ცხოვრებაში ყველაზე დიდი ალტაცების, იმავდროულად კი განბილებისა და ღელვის პერიოდი იყო. დიახ, თორმეტი თვე გავიდა მას მერე, რაც "სიტი" პრემიერლიგის... თუმცა რაღა პრემიერლიგის, მთელი მსოფლიოს ყველაზე მდიდარი კლუბი გახდა - შეიხმა **მანსურმა** და მისმა მილიარდებმა ისტლენდზე სრულიად შეცვალა ცხოვრება. ხოლო ადამიანი, ვის ხელშიც ხსენებული შეიხის ჯიბიდან ამოღებულმა მილიონებმა გაიარა, სწორედ ზემოხსენებული ჰიუზი გახლდათ და თუკი ხარჯვა მასზე იყო, შედეგზე პასუხიც მას უნდა მოეთხოვოს.

მაინც რა მდგომარეობაა "სიტი ოფ მანჩესტერ სტედიუმზე" დღეს, გამდიდრებიდან ერთი წლის თავზე? ჯერჯერობით ასეა: დაწყებული სეზონის ყველა შეჯიბრებაში ჰიუზის გუნდმა ოთხი შეხვედრა ჩაატარა და ოთხივეში გაიმარჯვა.

*"მომავალში ხალხი "მანჩესტერ სიტის" ისტორიის ამ მონაკვეთს რომ გაიხსენებს, ალბათ, ერთგვარი ეჭვიც კი გაუჩნდება. ძნელი იქნება იმის დაჯერება, რაც ჩვენ გავაკეთეთ, თავი რა გარემოშიც ამოვყავით და რა ქარსა და ცეცხლშიც გავიარეთ. მაგრამ მერწმუნეთ, იმისათვის რომ მომავალში ცხოვრება გაუმჯობესდეს, ცუდი დროების გავლა აუცილებელია. უდავოა, რომ ამიერიდან კლუბისთვის ყველაფერი უკეთ აეწყობა. დღეს ჩვენ სამოთხეში ვართ იმ ჯოჯოხეთთან შედარებით, რომელიც თორმეტი თვის წინ გვქონდა. ახლა რომ ვიხსენებ პროექტებსა და გეგმებს, რომლებიც შარშან შევადგინეთ და პირობას, რომელიც მაშინ დავდეთ, ვხედავ, რომ მეტი წილი შეგვისრულებია".*

ჰიუზმა, რომელსაც მეტსახელად "სპარკის" ეძახიან, თავისი ოცნების "სიტის" მშენებლობაზე უკვე 250 მილიონი ფუნტი დახარჯა - აქედან 202.5 მილიონი შეიხ მანსურისა. 45 წლის სპეციალისტი იგონებს:

*"მივედი კლუბის მეპატრონესთან, თავმჯდომარე ხალდუნ ალ მუბარაკთან და დირექტორატის სხვა წევრებთან, რათა დაწვრილებით ჩამომეწერა რა იყო საჭირო წარმატებისთვის, რა როგორ უნდა გაგვეკეთებინა და რა როგორ არ უნდა გაგვეკეთებინა. მათ მომისმინეს და პროცესიც დაიძრა - ცხრა თვეში შევძელით ის, რასაც ჩვეულებრივ ორი-სამი წელიწადი სჭირდება. ეს იყო უდიდესი სამუშაო, რომელიც ყველამ პატიოსნად გავწიეთ და ვფიქრობ, ამ სეზონში უკვე მწიფე ნაყოფიც უნდა მივიღოთ. დღეისათვის რა ხდება? მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ ჩემპიონატი იმედისმომცემად დავიწყეთ და მეტი აბსოლუტურად არაფერი. ახლა მთავარია, აღებული ინერცია შევინარჩუნოთ. იმედი მაქვს, რომ ამას შევძლებთ".*

სტატისტიკა ამბობს, რომ, რაც ჰიუზი "სიტის" თავკაცია, გუნდმა ზემოთ დასახელებულ 250 მილიონად 20 ფეხბურთელი იყიდა, გაშვებით კი 23 კაცი გაუშვა და მათში 32.3 მილიონი ფუნტი მიიღო. კიდევ, სანამ ისტლენდელებს შეიხ მანსური ჩაიბარებდა, 2008 წლის ივნისიდან, "სპარკის" ხუთ ფეხბურთელში 45 მილიონი დახარჯვია.

დაუვიწყარი გახლდათ შეიხ მანსურის "სიტიში" მისვლის დღე. შეიხს ჯერ თავად არ ჰქონდა საბუთებისთვის ხელი მოწერილი, რომ შარშანდელი სატრანსფერო სეზონის ბოლო დღეს მადრიდის "რეალისგან" **რობინიო** იყიდა. თან, გახსოვთ, როგორ? რობინიოს ყიდვას "ჩელსი" ლამობდა, თუმცა ლამობდა კი არა, საქმე ფაქტობრივად მოკვარახჭინებულიც ჰქონდა, როდესაც "სიტიმ" მაგიდაზე დიდი ფული დაყარა და გაოცებისგან თვალებდაჭყეტილმა ბრაზილიელმა აღმოაჩინა, რომ ხელი ჩასჭიდეს და ლონდონის ნაცვლად მანჩესტერში გააქანეს.

და აი, სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობის შედეგად, ჰიუზის ხელში მივიღეთ დღევანდელი "სიტი", რომელიც 90-იან წლების "სიტის" ვარიანტებისგან ისე განსხვავდება, როგორც ცა და დედამიწა.



მარკ ჰიუზი

*"სამუშაოს ის მოცულობა, რომელიც ჩვენ შევასრულეთ, წარმოუდგენლად დიდია და აღარ გვინდა თავიდან მოგვიწიოს იმასთან დაბრუნება, რაც უკვე შევქმენით, - განაგრძობს სპარკი, - იმედი მაქვს, რომ მომავალში მთელი გუნდი აღარ იქნება საყიდელი. ამიერიდან, სხვა გუნდების მსგავსად, ჩვენც მხოლოდ იმ ფეხბურთელებს დავიმატებთ, რომლებიც ამა თუ იმ პოზიციების გასამაგრებლად დაგვჭირდება. დღეს უკვე გვაქვს იმის შეგრძნება, რომ ყველა აგური თავის ადგილას დევს და ინტერესით ველით, რა მოხდება მომავალში".*

და მართალია, ჰიუზი ასეთი რიხით ლაპარაკობს, მაგრამ მისი პოზიციები მეტისმეტად მყარი მაინც არ უნდა იყოს. გასულ სეზონს გადავხედოთ: გუნდმა პრემიერლიგის ცხრილში მეათე ადგილი დაიკავა და მთელი ჩემპიონატის განმავლობაში სტუმრად მხოლოდ ორჯერ გაიმარჯვა. მანამდე, როდესაც ისტლენდელებს სათავეში **სვენ გორან ერიქსონი** ედგა, გუნდი მეცხრე ადგილზე იყო.

ჰიუზი განმარტავს: *"ნერვიულობა ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია. გასულმა სეზონმა მართლაც ბევრი ვნებათაღელვა მოგვიტანა, მაგრამ ყველას, ვინც ამაში ვმონაწილეობდით, მომავლისა გვწამდა და დღესაც შემართებით ვაკეთებთ საქმეს. დიახ, იყო ურთულესი პერიოდებიც, თუმცა ძალიან დიდი როლი შეიხ მანსურისა და ხალდუნის ნდობამ, ამ ორი კაცის მხარდაჭერამ ითამაშა".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

გერმანიის ნაკრები



იურგენ კლინსმანი და ოლივერ ბირჰოფი

# უარი კლინსმანს!

## ბირჰოფს კლინსისთვის სამსახურის შოვნა უნდოდა

გუშინ საფეხბურთო გერმანია მთელი დღის განმავლობაში ერთ საკითხზე ბჭობდა: მოულოდნელად გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დიდი შანსი იყო, **იურგენ კლინსმანი** გერმანიის ნაკრებში დაბრუნებულიყო, ოღონდ, არა მთავარი მწვრთნელის, არამედ მისი მრჩევლის რანგში. ეს საკითხი წინა პლანზე გერმანიის ნაკრების მენეჯერმა **ოლივერ ბირჰოფმა** წამოწია. უნდა შეგახსენოთ, რომ 2004 წელს ბირჰოფი გერმანიის ნაკრების მენეჯერად სწორედ კლინსმანმა მიიწვია, რეკომენდაცია გაუწია და დანიშნა – ისევე, როგორც ბუნდესგუნდის დღევანდელი დამრიგებელი **იოახიმ ლიოვი**.

*"იურგენთან მუდმივად გვაქვს კონტაქტი. ძალიან გამიხარდება, თუ კლინსმანი გერმანიის ნაკრებს კვლავ დაეხმარება. ვფიქრობ, ბუნდესგუნდს მისი გამოცდილება სჭირდება. რაც მთავარია, იურგენი ახლა არსად მუშაობს და თუ გერმანიის ნაკრებში დავასაქმებთ, ობიექტური იქნება,"* - განაცხადა ბირჰოფმა გუშინ დილას და დისკუსიაც დაიწყო.

კლინსმანი ლიოვის მრჩევლად? ფაქტი ის არის, 2006 წელს მათ ერთად შეძლეს ბუნდესგუნდის ისეთ დონეზე მომზადება, რომ მუნდიალზე ღირსეულად წარმოჩენილიყო. ლიოვი დღეს გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელია და კლინსმანთან ახლო-მეგობრული ურთიერთობა აქვს.

მაგრამ დისკუსიას გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა **თეო ცვანციგერმა** მოუღო ბოლო, რომელმაც სალამოს თქვა: *"იურგენ კლინსმანის გამოცდილება, აზრები და შესაძლებლობები ჩვენთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია. 2004-დან 2006 წლამდე მან დაამტკიცა, რომ ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება და მისი უმაღლეს დონეზე მოტივირება შეუძლია. გერმანიის საფეხბურთო კავშირში კლინსმანს ყველა უდიდეს პატივს სცემს, მაგრამ დღეს ბუნდესგუნდის მთავარი მწვრთნელი იოახიმ ლიოვია, ახლა სწორედ ის არის შეფი და ვფიქრობ, კარგად იცის, რა დროს როგორ უნდა მოიქცეს. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ჩემი აზრით, ბუნდესმწვრთნელს მრჩეველი არ სჭირდება!"*

არადა, კლინსმანი უმუშევარია და როგორც ჩანს, მის მეგობრებს, ბირჰოფსა და ლიოვს მისთვის კარგი სამსახურის "შოვნა" უნდოდათ. თავის დროზე ხომ ორივე მათგანი მან მიიყვანა გერმანიის ნაკრებში. კლინსის "ბაიერნთან" კონტრაქტი აღარ აკავშირებს და რამდენიმე დღის წინათ მიუნხენში დაბრუნდა, სადაც მის შვილებს სკოლა ენყებათ – ჰო, იურგენი კალიფორნიაში აღარ ცხოვრობს. ლიოვთან ერთად, იურგენმა თავის დროზე ბუნდესგუნდში სხვებიც მიიყვანა: მეკარეების მწვრთნელი **ანდრეას კიოპკე**, შეფსკაუტი **ურს ზიგენტჰალერი**, ფსიქოლოგი **ჰანს-დიტერ ჰერმანი** და ფიტნეს მწვრთნელი **შად ფორსაითი**. ეს პიროვნებები დღემდე თავთავიანთ პოსტებზე მუშაობენ.

---

ინტერვიუ

ანდრეას მიოლერი

# მათეუსისა და ბასლერისგან განსხვავებით, მე რეკლამა არ მჭირდებოდა!

## ანდრეას მიოლერი დორტმუნდსა და ვესტფალენშტადიონზე დღემდე შეყვარებულია



1990 წელს გერმანიის ნაკრებთან ერთად, იტალიაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ექვსი წლის შემდეგ კი ინგლისში ევროპის ჩემპიონობაც იზეიმა. დორტმუნდის "ბორუსიასთან" ერთად ანდრეას მიოლერმა ჩემპიონთა ლიგა და საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო, ტურინის "იუვენტუსში" კი, უეფას თასი. ერთი სიტყვით, ანდიმ აქტიური სპორტული კარიერის განმავლობაში ფაქტობრივად ყველა ტიტულის მოგება მოახერხა, რითაც გახდა კიდეც გერმანული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი. 90-იან წლებში გერმანიას ბევრი ასეთი ფლეიმეიკერი ჰყავდა, თუმცა ალბათ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მიოლერი ჰესლერთან ერთად საუკეთესო იყო. ახლა კი მწვრთნელი გახლავთ – უკვე ორი წელია, რაც 41 წლის ანდი მესამე ბუნდესლიგის წარმომადგენელ ოფენბახის "კიკერსს" წვრთნის. მიოლერის არსებობა გამოცემა "სპოქსმა" გაიხსენა და ანდის საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ ჩამოართვა.

**- ჰერ მიოლერ, ძალიან ახალგაზრდა იყავით, როცა ფრანკფურტის "აინტრახტის" ახალგაზრდულ გუნდში აგიყვანეს. მაშინდელი ახალგაზრდები დღევანდელებს რომ შევადაროთ, დიდი განსხვავებაა?**

- 18 წლის ვიყავი, როცა პირველი პროფესიული კონტრაქტი გავაფორმე და ძალიან გამიმართლა, "აინტრახტში" რომ ჩავირიცხე. თანაც, არა მარტო ჩავირიცხე, არამედ მათამაშებდნენ კიდეც. შეიცვალა პირველ რიგში ის, რომ დღეს 17-18 წლის ფეხბურთელებს უკვე ჰყავთ თავიანთი აგენტები და ადრეულ ასაკშივე მაღალ ხელფასებს ითხოვენ. ჩემს დროს ასე არ იყო.

**- თქვენ სამ მუნდიალზე ითამაშეთ. როგორ ფიქრობთ, რა შანსი აქვს გერმანიის ნაკრებს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე?**

- რთული სათქმელია. ცხადია, შეგვიძლია, რომ სამხრეთ აფრიკაში კარგად ვითამაშოთ. როგორც ყოველთვის, გერმანიას არც ახლა ჰყავს ხელწამოსაკრავი გუნდი. ბუნდესგუნდმა შეიძლება მთელი წლის განმავლობაში არც ერთი გრანდიოზული მატჩი არ ჩატაროს, მაგრამ დიდი ტურნირის დასკვნით ეტაპზე იდეალურად იასპარეზოს. თუმცა იმისათვის, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გახდე, მაგრადაც უნდა გაგიმართლოს.

**- თქვენ კრეატიულ ფეხბურთს თამაშობდით, სწრაფი და დრიბლინგების მოყვარული ნახევარმცველი იყავით. თქვენც ფიქრობთ, რომ ტიპური ფლეიმეიკერების დრო წარსულს ჩაჰბარდა? ან ვინ მიგაჩნიათ გერმანიაში საუკეთესო გამთამაშებლად?**

- ტენდენცია იქითკენ მიდის, რომ მალე ტიპური გამთამაშებელი ალბათ აღარავის დასჭირდება. თითქმის ყველა ორი საყრდენი ნახევარმცველით თამაშობს. დღესდღეობით გერმანიის ნაკრებში თავდამსხმელების უკან თამაში ყველაზე უკეთ, ჩემი აზრით, ბასტიან შვაინშტაიგერს შეუძლია, რომელიც საკმაოდ კრეატიული ნახევარმცველია, ან მესუთ იოზილი, რომელსაც შეუძლია, იყოს მეორე ან კრეატიული თავდამსხმელი. ასეთი ფეხბურთელები იდეალურად შეძლებენ მიროსლავ კლოზეს ან მარიო გომესის ტიპის თავდამსხმელებთან კომბინირებას.

**- თქვენ შვაინშტაიგერი ახსენეთ და მას "ათიანობა" უწინასწარმეტყველეთ. "ბაიერნის" თავკაც ლუის ვან გაალს მიაჩნია, რომ შვაინიზე უკეთ ამ ამოცანას თავს ფრანკ რიბერი გაართმევს. შესაბამისად, მიდის დაუსრულებელი დისკუსია იმის შესახებ, სწორია თუ არა ვან გაალის ნაბიჯი, რომელიც რიბერის თავდამსხმელების უკან გამწესებას ითვალისწინებს. თქვენ რას ფიქრობთ?**

- რიბერი ისეთი ფეხბურთელია, რომელსაც წინა ხაზში ნებისმიერი პოზიციაზე გაამწესებ. საუკეთესო ფორმაში მყოფი რიბერი შეუცვლელი ფიგურაა. ეს ისეთი ფეხბურთელია, რომელიც იმ პოზიციაზე უნდა ათამაშო, სადაც ყველაზე მეტი სარგებლის მომტანი იქნება. მან არაერთხელ დაამტკიცა, რომ თავს ყველაზე უკეთ მარცხენა ფლანგზე გრძნობს. რიბერი ყველაზე სახიფათო ფლანგზეა.

**- მიუხედავად ამისა, ვან გაალს მაინც მიაჩნია, რომ მას პოზიცია უნდა შეუცვალოს და თავდამსხმელების უკან გაამწესოს...**

- ვან გაალს თავისი ტაქტიკა და წარმოდგენები აქვს. თუმცა ფაქტია ისიც, რომ მან რიბერი იქ უნდა ათამაშოს, სადაც ფრანკი ყველაზე სასარგებლო ფეხბურთელი იქნება. ჩემი აზრით, თუკი რიბერი თავდამსხმელების უკან არ გაამართლებს, ვან გაალი დაუფიქრებლად დააბრუნებს მას მარცხენა ფლანგზე.

**- მადრიდის "რეალი" რაფაელ ვან დერ ვაარტს ძალიან იაფად ყიდის. როგორ ფიქრობთ, "ბაიერნმა" ეს ფეხბურთელი მომავალში მაინც თუ უნდა იყიდოს?**

- ეს რეკორდმაისტერის ხელმძღვანელების გადასაწყვეტია. ფაქტი ის არის, რომ ვან დერ ვაარტი ძალიან კარგი ფეხბურთელია, რომელიც "ბაიერნს" ნამდვილად გამოადგება. დარწმუნებული ვარ, რომ ჰოლანდიელი მიუნხენურ კლუბს გააძლიერებდა.

**- რამდენად შეიცვალა ანდრეას მიოლერი აქტიური სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ?**

- დამერწმუნეთ, ძალიან შევიცვალე. ჩემი აზრით, ფეხბურთელი მიოლერის მწვრთნელ-მენეჯერ მიოლერთან შედარება არც კი შეიძლება. ცხადია, უკეთესობისკენ შევიცვალე. ახლა უფრო მეტი რამ ვიცი და ოჯახიც მყავს. აქტიური კარიერის დროს მუდმივად სტრესში ვიყავი და კვირიდან კვირამდე წნეხის ქვეშ გახლდით. ფეხბურთი 18 წელი ვითამაშე და მას მერე, რაც ბუცები ლურსმანზე დავკიდე, მშვიდად ვცხოვრობ. ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ მედიასთან ყოველდღიური კავშირი აღარ მაქვს და ჩემ შესახებ დღენიადაგ ახალ სისულელეს აღარ ვკითხულობ.

**- ისე გამოგივიდათ, თითქოს კარიერის დამთავრებამ დიდი ტვირთი მოგხსნათ...**

- ფეხბურთიდან წასვლა ძალიან ძნელი იყო. უბრალოდ, ახალი ცხოვრება დავიწყე და ფეხბურთელობის პერიოდს ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვიხსენებ. მე ხომ თითქმის ყველა ტიტული მოვიგე, ვიყავი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, მოვიგე ჩემპიონთა ლიგა და საკონტინენტთაშორისო თასი. კარიერის მიწურულს უკვე ძალიან დაღლილი ვიყავი.

**- მოდი, თქვენს წარსულს თვალი გადავავლოთ. ფეხბურთელობისას თქვენ ისეთ მოთამაშეებს დაუპირისპირდით, როგორებიც იყვნენ ლოთარ მათეუსი და მარიო ბასლერი. გაიხსენეთ მათთან კინკლაობები...**

- მე არ ვიყავი ე.წ. რუპორი, როგორც ამას საკუთარ თავს ზოგიერთი უწოდებს ხოლმე. მე არ მჭირდებოდა პრესაში ხმამაღალი განცხადებების გაკეთება ხალხისთვის ჩემი არსებობის შესახსენებლად. პირდაპირ გეტყვით, ასეთი ადამიანებს ვერასდროს ვიტანდი. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ 90-იან წლებში "დორტმუნდსა" და "ბაიერნს" შორის ძალიან დიდი მტრობა იყო. შესაბამისად, არცერთი მხარე არ იკავებდა თავს პროვოკაციებისგან. საქმე ეხებოდა კითხვას, თუ ვის უნდა ეთამაშა გერმანიის ნაკრებში მათეუსის, ბასლერისა და მიოლერის მხარდამხარ. ვფიქრობ, ამაში გასაკვირი არაფერი ყოფილა – ეს აბსოლუტურად ლოგიკური პროცესი იყო. არც დღესაა განსხვავებული ვითარება: გერმანიის ნაკრების პირველი მეკარეობისთვის სამი კიპერი იბრძვის, ტორსტენ ფრინგსი უკმაყოფილოა იმით, რომ ნაკრებში აღარ იძახებენ და ა.შ. დიდ გუნდებში სხვადასხვაგვარი კინკლაობა ნორმალური მოვლენაა. ფაქტი ის არის, რომ მაშინ არჩევანი უფრო დიდი იყო. 90-იან წლებში გერმანიას ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი მოთამაშე ჰყავდა.

**- დღეს კი ძალიან ცოტა ჰყავს, არა?**

- ჰო, სამწუხაროდ ასეა. უფრო იმის თქმა მინდა, რომ ასეთი ტიპები აღარ არსებობენ. არადა, ჯერ კიდევ ათი წლის წინ არჩევანი ძალიან დიდი იყო. თუმცა ნამდვილად არ მიკვირს, რომ მათეუსის, ბასლერის, ეფენბერგისა და ჰესლერის დარი ფეხბურთელების რაოდენობა შემცირდა. ასეთი მოთამაშეები ხეებივით ნამდვილად არ იზრდებიან.

**- ვინ იყო თქვენთვის ყველაზე არასასიამოვნო მოწინააღმდეგე?**

- (იცინის) რაკილა ტექნიკური ვიყავი, ძალიან ბევრი "მტერი" მყავდა. თუმცა კონკრეტულ ფეხბურთელს ვერ დავასახელებ. კვირიდან კვირამდე არაერთ უსიამოვნო მოწინააღმდეგესთან მიწევდა თამაში. ჩემს დროს გუნდები ჯერ კიდევ პერსონალურ დაცვას თამაშობდნენ და ამის გამო, მაშინ უფრო რთული იყო დრიბლინგების განხორციელება ან მომაკვდინებელი პასის გაკეთება, ვიდრე დღეს. დღეს კი გუნდები ზონურ დაცვას მიმართავენ, რის გამოც შემტევ ფეხბურთელებს უფრო მეტი სივრცე უჩნდებათ. ჩემს დროსაც ასე რომ ყოფილიყო, ალბათ უფრო მეტ გოლს გავიტანდი.

**- წინა კვირას თქვენმა გუნდმა დორტმუნდში 0:0 ითამაშა. რას ნიშნავს თქვენთვის ამ ქალაქში და ამ სტადიონზე დაბრუნება?**

- "ბორუსიაში" კარიერის საუკეთესო წლები გავატარე და ეს პერიოდი ჩემთვის ყველაზე უკეთესი იყო. დორტმუნდელებთან დღემდე ძალიან მეგობრული ურთიერთობები მაქვს და იქ ყოველთვის დიდი სიამოვნებით ჩავდივარ. ყველაზე უკეთესი, რაც ამ გუნდთან დაკავშირებით მახსენდება, რა თქმა უნდა, გერმანიის ჩემპიონობა და ჩემპიონთა ლიგის მოგებაა. მაგრამ ტიტულები რომც არ მომეგო, დღეს მაინც ვიტყოდი, რომ კარიერის საუკეთესო წლები დორტმუნდში გავატარე. იქ თავს ყველაზე უკეთ ვგრძნობდი.

**- ინგლისურმა გაზეთმა "თაიმსმა" "ვესტფალენშტადიონი" მსოფლიოს საუკეთესო არენად აღიარა...**

- და სავსებით სამართლიანადაც. ეს მსოფლიოს საუკეთესო სტადიონია.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა ჩვენი მეტოქე

# თურმანიძემ შეიდეული გაამზადა

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების თავკაცმა ზაზა თურმანიძემ მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობა დაასახელა: **ბესარიონ გოჩაშვილი (55), მალხაზ ზარქუა (60), შალვა მუზიაშვილი (66), გელა სალირაშვილი (74), ნიკოლოზ გაგნიძე (84), გიორგი გოგშელიძე (96), ლექსო მოდებაძე (120).**

როგორც ვხედავთ, ნაკრებში ორი დებიუტანტია - ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონი, ახალგაზრდებში კი ევროპისა და მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორი ზარქუა და ახალგაზრდებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი გაგნიძე. ცოტა მოულოდნელია 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში მიღებული გადაწყვეტილებაც. აქ სამი ტიტულოვანი ფალავანია - მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **ოთარ თუშიშვილი**, ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი **კობა კაკალაძე** და ევროპის წლევანდელი მესამე პრიზიორი **მალხაზ მუზიაშვილი**, მაგრამ მათ ნაცვლად ნაკრებში შალვა მუზიაშვილი აღმოჩნდა. წლეულს სამივე ლიდერს ერთმანეთზე უარესი სეზონი უდგას, მალხაზ მუზიაშვილი სულაც ავარიაში მოყვა და ერთი ხანობა ვერც ვარჯიშობდა, ამასობაში კი მისმა უფროსმა ძმამ, შალვამ პოლონეთში დამაჯერებლად იჭიდავა - ბრინჯაო მოიპოვა. სხვა წონებში საკადრო ცვლილებები არ მომხდარა, თუმცა თურმანიძე დანიაში მაინც გვარიანად სახეცვლილი გუნდით მიდის.

ჩვენმა ნაკრებმა გუშინ დაამთავრა შეკრება ბორჯომში და თბილისში დაბრუნდა. რამდენიმე დღე აქვე ივარჯიშებს, 6-ში კი ისევ ბორჯომს, სპორტკომპლექს „ოლიმპს" მიაშურებს დასკვნითი შეკრების გასავლელად.

ამასობაში ჩვენებურთა ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტის - რუსეთის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების შემადგენლობაც გაირკვა. ცხინვალელ **ჯამბულათ თედეევს** ექსპერიმენტები არ შემოუთავაზებია და გუნდში ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონები დააყენა: **ვიქტორ ლებედევი** (55), **ბესიკ კუდუხოვი** (60), **რასულ ჯუკაევი** (66), **დენის ცარგუში** (74), **აბდუსალამ გადისოვი** (84), **ჰაჯიმურატ გაცალოვი** (96), **ბილიალ მახოვი** (120).

იმის მიუხედავად, რომ ნაკრებში ბევრი ცნობილი ფალავანი ვერ მოხვდა, თედეევის ხელში მაინც უძლიერესი გუნდია. ტრადიციულად, კავკასიელებით სავსე და ინტერნაციონალური - ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი და ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი კუდუხოვი და ოლიმპიური, ევროპისა და მსოფლიოს სამ-სამგზის ჩემპიონი გაცალოვი ოსები არიან, გადისოვი და მსოფლიოს ჩემპიონი მახოვი - ლეკები, ევროპის მესამე პრიზიორი ჯუკაევი ჩეჩენია, ცარგუში კი აფხაზი. ბოლო წლებისგან განსხვავებით, გუნდში ამჯერად ერთი რუსი მაინცაა - ლებედევი და ისიც რუსეთის უშორეს პროვინციას, სახა-იაკუტიის რესპუბლიკას წარმოადგენს. ამათგან ლებედევი, ცარგუში და გადისოვი მსოფლიოს პირველობაზე პირველად იჭიდავებენ, ჯუკაევზე კი იმას ვიტყვით, რომ საბჭოთა კავშირის შემდეგ რუსეთის ნაკრებში გამოჩენილი პირველი ჩეჩენია. მართალია, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი ძმები **ადამ** და **ბუვაისა საიტიევებიც** ჩეჩნები არიან, მაგრამ - კრასნოიარსკელები, სადაც **დიმიტრი მინდიაშვილი** ავარჯიშებდა, ჯუკაევი კი ომით გათანგულ იჩქერიაში ცხოვრობს. რუსეთის ნაკრებში მისი დებიუტი შარშან შედგა ევროპის ჩემპიონატზე და ბრინჯაოთიც აღნიშნა, მაგრამ იმ ტურნირისთვის დაღესტანში, ხასავ-იურტში ვარჯიშობდა, წლეულს კი გროზნოში, იჩქერიის პრეზიდენტ **რამზან კადიროვის** გახსნილ დარბაზში ემზადება. ამიტომაც მის წარმატებას გროზნოში დიდი იდეოლოგიური დატვირთვა მიეცა.

იდეოლოგია ვახსენეთ და, ამას ვერც წარმოშობით სოხუმელი ცარგუში გაექცა - რუსეთის ჩემპიონატში მისი მიღწევა მავანთ რუსული და აფხაზური სპორტის თანამშრომლობის წარმატებულ მაგალითად მიიჩნიეს.

შემადგენლობა დაასახელა რუსეთის ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ქართველმა თავკაცმა **გოგი კოლუაშვილმაც**, თუმცა მძიმე წონაში მონაწილის საკითხი ჯერაც გაურკვეველია. „თავისუფალთაგან" განსხვავებით, ამ გუნდში რუსეთის წლევანდელ ჩემპიონთა უმრავლესობა ვერ მოხვდა, რადგან ქვეყნის ჩემპიონატში ლიდერები დაასვენეს, თუმცა მათ შანსი მოსამზადებელ ციკლში დაუტოვეს. რუსეთის ნაკრებში ქართველმა ქართველსაც უხმო - 66 კილოგრამ წონაში ევროპის მოქმედი ჩემპიონი **ამბაკო ვაჩაძე** იჭიდავებს. სხვა წონებში ევროპის წლევანდელი მესამე პრიზიორი **ბეკხან მანკიევი** (55), ოლიმპიური ჩემპიონი **ისლამბეკ ალბიევი** (60), ევროპის პრიზიორი **ევგენი პოპოვი** (74), ევროპის ხუთგზის, ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი **ალექსეი მიშინი** (84), ოლიმპიური და ევროპის ორგზის ჩემპიონი **ასლანბეკ ხუშტოვი** (96) იჭიდავებენ. აღსანიშნავია, რომ 55 კილოგრამში წლეულს რუსეთის პირველობა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ნაზირ მანკიევმა** მოიგო, მაგრამ ვერც მანამდე მოხვდა ნაკრებში - ევროპის ჩემპიონატისთვის და ვერც ახლა. წლეულს ტურნირებში ინგუში ოლიმპიური ჩემპიონი ალბიევიც იშვიათად ჩანდა.

კოლუაშვილს ერთადერთი გასარკვევი მძიმე წონალა დარჩა. მსოფლიოს ორგზის, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი **ხასან ბაროევი** რომ არ დაშავებულიყო, საფიქრალი იქნებ არაფერი ჰქონოდა, ახლა კი ოთხ კანდიდატს შორის უნდა გააკეთოს არჩევანი. ესენი არიან **ალექსანდრ ანუჩინი, ამინ ლაიპანოვი, შახრუდი აიუბოვი** და **ალექსანდრ ოსტაპენკო.**

მსოფლიოს პირველობა 21-27 სექტემბერს დანიურ ჰერნინგში გაიმართება. 21 სექტემბერს 55, 66 და 96 კილოგრამ წონით კატეგორიებში მოასპარეზე „თავისუფლები" იჭიდავებენ, მეორე დღეს - 60, 84 და 120 - კილოგრამიანები. 23 სექტემბერს „თავისუფალთა" ბოლო წონის - 74-ის ფალავნებიც იასპარეზებენ და თან ჩემპიონატში ქალები ჩაებმებიან - 48 და 51 კგ წონები. 24 სექტემბერი მთლიანად ქალებს ეთმობა - 55, 59 და 63 კილოგრამს. 25-ში ქალთაგან ორ წონას ვიხილავთ - 67 და 72 და თან ტურნირში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებიც ჩაებმებიან, ოღონდ მხოლოდ ერთი წონა - 55. 26-ში ამავე სტილის 60, 84 და 96 კგ წონის ფალავნები იჭიდავებენ, ჩემპიონატს კი 66, 74 და 120 - კილოგრამიანი ათლეტები დაასრულებენ.

**ირაკლი თავაძე**

დებიუტანტი



## გიორგი დოლიაშვილი (კრივი)

დაიბადა: 1997 წლის 22 ოქტომბერს ქალაქ გორში.

ვარჯიში დაიწყო 2002 წელს გორის კრივის სპეციალიზებულ სკოლაში (მწვრთნელები: ბადრი ყულუმბეგაშვილი, ბექა ლობჟანიძე)

მიღწევები: თანატოლებში შიდა ქართლის ჩემპიონი (2009), საქართველოს პირველობის ფინალისტი (2009).

მიზანი: ოლიმპიურ თამაშებში ასპარეზობა.

ჰობი: თევზჭერა

**ვასილ ბალახაძე**
ავტორის ფოტო

რაგბი ევროპის ჩემპიონატი, U-19

# რა შუაშია იტალია?

საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრები FIRA AER-ის ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს პორტუგალიის ქალაქ კოიმბრაში. ეს ტურნირი, რომელიც 24 ოქტომბრიდან 1-ელ ნოემბრამდე ჩატარდება, ჩელენჯ ტროფის გათამაშების შესარჩევი შეჯიბრებაცაა, რომელიც, თავის მხრივ, ახალგაზრდულ ნაკრებებს შორის 2011 წელს გასამართავი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპია.

FIRA AER-ის ევროპის ჩემპიონატის გამართვა რუმინეთის ქალაქ კონსტანცაში იყო დაგეგმილი, მაგრამ რადგან ახალგაზრდა „სტეუარიმ" წლეულს ჩელენჯ ტროფი მოიგო და 2010 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა, მათ მონაწილეობას აზრი დაეკარგა.

FIRA AER-მა, ცხადია, სწორი გადაწყვეტილება მიიღო, ტურნირი პორტუგალიაში რომ გადაიტანა, მაგრამ სრულიად გაუგებარია, რუმინეთის ნაცვლად რატომ დაამატა იტალიის ნაკრები, რომელიც ასევე მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეა. მაშინ ისევ რუმინეთს ეთამაშა.

იტალიის გარდა ჩვენს მორაგბეებს მეტოქეობას რუსეთის, ბელგიის, ესპანეთის, პოლონეთის, გერმანიისა და პორტუგალიის ნაკრებები გაუწევენ.

ამ ქვეყნების გუნდებმა თავიანთ მონაწილეობაზე დასტური 15 სექტემბრამდე უნდა აფრინონ FIRA AER-ში და მხოლოდ ამის შემდეგ დადგინდება გათამაშების განრიგი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრებს საქართველოს ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის, თბილისის „ლელოს" მწვრთნელები **ლევან მაისაშვილი** და **მიხეილ სუჯაშვილი** უხელმძღვანელებენ.

უმცროსი ბორჯღალოსნები ტურნირის წინ ათდღიან შეკრებას, სავარაუდოდ, საფრანგეთში გამართავენ.

**FIRA AER-ის ევროპის ჩემპიონატი**
24 ოქტომბერი – 1 ნოემბერი
**იტალია, საქართველო, რუსეთი, ბელგია, ესპანეთი, პოლონეთი, გერმანია, პორტუგალია.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

საქართველოს ჩემპიონატი

# ოთხი ტური სამხრეთულ სისტემამდე



დღეს საქართველოს ჩემპიონატი განახლდება. რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტური დარჩა. სატურნირო ცხრილს სათავეში უდანაკარგოდ უდგას თბილისის „ლელო", რომელიც უახლოეს მდევარს, საქართველოს მოქმედ ჩემპიონ თბილისის „ლოკომოტივს" ექვსი ქულით უსწრებს.

შეგახსენებთ, რომ პლეი ოფში, რომელიც სამხრეთული სისტემით გაიმართება, ოთხი საუკეთესო გუნდი გააგრძელებს ჩემპიონობისთვის ბრძოლას. სამხრეთული სისტემა კი ასეთია: პირველ და მეორე ადგილებზე გასული გუნდები ერთმანეთს მცირე ფინალში დაუპირისპირდებიან. ამათ შორის გამარჯვებული პირდაპირ გადის მთავარ ფინალში. დამარცხებული კი წინასწარ ფინალში, შესარჩევ ფინალში გამარჯვებულს დაუპირისპირდება. შესარჩევ ფინალს მესამე და მეოთხე ადგილებზე გასული გუნდები ითამაშებენ. წინასწარ ფინალში გამარჯვებული მთავარ ფინალში გააღწევს.

ამრიგად, მთავარ ფინალში თამაშისა და ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შანსი რეგულარულ გათამაშებაში მე-4 ადგილზე გასულ გუნდსაც ექნება. პირველ ან მეორე ადგილზე გასულ გუნდებს კი ის უპირატესობა აქვთ, რომ მცირე ფინალში გამარჯვების შემთხვევაში ერთით ნაკლები თამაშის გამართვა მოუწევთ.პლეი ოფში თამაშის უფლება, ფაქტობრივად დაბევებული აქვთ „ლელოს" და „ლოკომოტივს". დარჩენილ ორ ადგილზე პრეტენზიას ოთხი გუნდი, „აკადემია", „ყოჩები", „ბათუმი XV" და „აია" აცხადებენ.

საკმაოდ მწვავე ბრძოლა გაჩაღდება უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. დებულების თანახმად, პირველ ლიგაში ბოლო ადგილზე გასული გუნდი გადაბარგდება. მის ადგილს პირველი ლიგის გამარჯვებული დაიკავებს. ბოლოსწინა კი პირველი ლიგის მეორე გუნდს დაუპირისპირდება გადასასვლელ პლეი ოფში.

უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის „უნივერსიტეტი" და „ხარები" იბრძვიან. წარუმატებელი თამაშის შემთხვევაში ლიგიდან გავარდნის საფრთხე ქუთაისის „აიასაც" ემუქრება, რომელსაც, როგორც უკვე ვთქვით, პლეი ოფში მოხვედრის შანსიც აქვს.

**3 სექტემბერი. XI ტური**
აია-ხარები
აკადემია-ლოკომოტივი
ლელო-ყოჩები
უნივერსიტეტი-ბათუმი XV

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 10 | 10 | 0 | 0 | +170 | 20 |
| 2. ლოკომოტივი | 10 | 7 | 0 | 3 | +21 | 14 |
| 3. აკადემია | 10 | 6 | 0 | 4 | +14 | 12 |
| 4. ყოჩები | 10 | 5 | 0 | 5 | +18 | 10 |
| 5. ბათუმი XV | 10 | 4 | 1 | 5 | -33 | 9 |
| 6. აია | 10 | 3 | 0 | 7 | -6 | 6 |
| 7. ხარები | 10 | 2 | 1 | 7 | -68 | 5 |
| 8. უნივერსიტეტი | 10 | 2 | 0 | 8 | -7 | 4 |

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი

# ყველამ მოიგო, ქვაცაბაიას გარდა



მარიბორის საერთაშორისო ტურნირში (სლოვენია, 25 ათასი $) პირველი გამარჯვება მოიპოვა 26 წლის **მაკა ჩახნაშვილმა** (237), რომელიც ტურნირში მე-5 ნომრადაა განთესილი. მან 18 წლის უნგრელ **რეკა-ლუკა იანის** (349) მოუგო - 6:7 (5), 6:4, 6:3. მერვედფინალში მაკას მეტოქე საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებული რუმინელი **სიმონა-იულია მატეი** (559) იქნება. რეიტინგში უპირატესობის მიუხედავად, მაკას პირად შეხვედრებში მატეისთან ჯერ მხოლოდ წაგებები აქვს, რუმინელთან 2004 წელს პატრასში, ხოლო 2006 წელს ბიელაში დათმო.

წყვილთა ბადეში **ეკა გორგოძისა** (489) და რუმინელი **ლიანა-გაბრიელა უნგურის** (339) დუეტმა პირველ წრეში სენსაცია მოახდინა, მათ პირველ ნომრად განთესილები, უნგრელი **კატალინ მაროში** (184) და გერმანელი **იასმინ ფოირი** (97 წყვილებში) დაამარცხეს - 4:6, 6:3, 10:8. მეოთხედფინალში ეკა და ლიანა „უაილდ ქარდით" მიწვეულ რუს **მარია ბირიუკოვას** და სლოვენიელ **მასა გრგანს** ეთამაშებიან.

იტალიურ ბასანო დელ გრაპაში (10 ათასი $) მოგებით დაიწყეს ჩვენებურებმა. პირველ ნომრად განთესილმა **სოფიო შაფათავამ** (357) იტალიელ **მარტინა დი ჯუზეპეს** (521) აჯობა - 6:3, 6:4, ხოლო **მანანა შაფაქიძემ** (573) საკვალიფიკაციო ბადიდან გასულ უზბეკ **ალინა ბარონოვას** (987) მოუგო - 6:0, 7:6 (3). შაფათავა მერვედფინალში რუს **ანასტასია მუხამეტოვას** ხვდება, ხოლო შაფაქიძის მეტოქე მე-4 ნომრად განთესილი იტალიელი **ალის მორონია** (447). წყვილთა თანრიგში ჩვენებურები ცალ-ცალკე ცდიან ბედს. შაფათავა **მარინა შამაიკოსთან** (რუსეთი, 538) ერთად პირველ ნომრადაა განთესილი. პირველ წრეში ისინი ისვენებდნენ. შაფაქიძემ და მუხამეტოვამ პირველ წრეში იოლად მოუგეს იტალიურ დუეტს (**ვალერია დეტონი, რომილდა ზიტაროსა**) - 6:1, 6:1. მეოთხედფინალში შაფათავა და შამაიკო ბარონოვასა და ჰოლანდიელი **კიკა ჰოგენდორნის** დუეტს ეთამაშებიან. შაფაქიძე და მუხამეტოვა კი კვლავ იტალიელებს ხვდებიან, ამჯერად მე-2 ნომრად განთესილებს, **ვალენტინა სულპიციოს** (478), **სტეფანია ჩიეპას** (475).

ჰოლანდიის ქალაქ ალმერეში (10 ათასი $) პირველივე წრეში წააგო მე-7 ნომრად განთესილმა **სოფიო ქვაცაბაიამ** (498), მან 17 წლის რუმინელ **კრისტინა-ანდრეა მიტუსთან** (624) წააგო - 2:6, 4:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

*ინტერვიუ მიხეილ ბერიშვილთან*

# მზადება ვერცხლისთვის



**2008 წელს საქართველოს ნაკრებში თამაშობდა მიხეილ ბერიშვილი, რომელიც ამ ზაფხულს ვიზასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ეროვნულ გუნდს ავსტრიაში ვერ გაჰყვა და ნაკრებს წლეულს ვერ დაეხმარა.**

**მიშამ აგვისტოს დასაწყისში ხელშეკრულება გააფორმა ესპანურ კლუბ "არიდანესთან" და თითქმის ერთი თვეა, კანარულ კლუბში ვარჯიშობს.**

**მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს, როგორ შეეწყო ახალ გუნდს ბერიშვილი და რა მიზნებს ისახავს მომავალ სეზონში.**

- "არიდანესთან" ერთად აგვისტოს დასაწყისიდან ვვარჯიშობ. გუნდს კარგად შევეწყვე და ვიმედოვნებ, რომ წარმატებულ თამაშში წვლილს მეც შევიტან.

**- "არიდანე" მხოლოდ EBA-ში ითამაშებს?**

- დიახ. ესპანეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგას ლებ-ოქრო და ლებ-ვერცხლი მოსდევს. გასულ სეზონში ლებ-ბრინჯაოც იყო, მაგრამ ახლა ეს ლიგა ება-ს შეუერთდა. "არიდანე" ება-ში წარმატებული თამაშის შემთხვევაში ლებ-ვერცხლში გადავა.

**- რამდენად რეალურია გუნდის ერთი ლიგით დაწინაურება?**

- ძლიერი შემადგენლობა გვყავს, სათანადოდ ვემზადებით და წარმატების იმედიც გვაქვს. ება-დან ლებ-ში ორი საუკეთესო გადადის. გუნდის უფროსობა მიზნად ზედა ლიგაში გადასვლას გვისახავს.

**- სასტარტო ხუთეულში მოხვედრის რა შანსი გაქვს?**

- ჯერ ერთი ამხანაგური მატჩიც არ ჩაგვიტარებია, თუმცა, ჩემი აზრით, ხუთეულში უნდა ვითამაშო.

**- საკონტროლო მატჩები როდის იგეგმება?**

- შაბათს სამდღიან ტურნირში ჩავერთვებით. მანამდე კი ერთ ამხანაგურ შეხვედრას გავმართავთ.

**- "არიდანე" რომელი ქალაქის კლუბია?**

- ლას პალმასი. ძალიან ლამაზი ადგილია...

**- კანარის კუნძულებზე გრიგოლ შვანგირაძეც თამაშობს. ხომ არ შეხვედრიხარ?**

- იგი კუნძულ ტენერიფეზეა. ჯერ არ მინახავს, თუმცა ება-ს ჩემპიონატის დაწყების შემდეგ აუცილებლად შევხვდები.

**- "არიდანეში" რამდენ წელს დარჩები?**

- აქ მომავალ სეზონს გავატარებ, შემდეგ შევხედავ, ყველაფერი ჩემზე იქნება დამოკიდებული.

ვაჟა სიმონიშვილი




## ბელარუსი და საქართველო ტელეეკრანზე

გუშინ საბოლოოდ გადაწყდა, რომ ბელარუსისას და საქართველოს ნაკრებებს შორის მოგილიოვში გასამართი მატჩი „პირველი არხის" პირდაპირ ეთერში გადაიცემა. შეხვედრა თბილისის დროით 19:30 საათზე დაიწყება. ფიბა-ს მითითებით, ეს თამაში თბილისის დროით 21:30 საათზე უნდა დაწყებულიყო, რაც კალათბურთის გულშემატკივრებს საქართველო-იტალიის საფეხბურთო მატჩის სრულად ხილვის საშუალებას არ მისცემდა.

...მაგრამ აი, მხარეთა შეთანხმებით საკალათბურთო მატჩის დაწყების დრომ ორი საათით გადმოინია და როგორც ვთქვით, ჩვენი გუნდის თამაშის ცქერა 19:30 საათიდან შეგეძლებათ. იმედია, შაბათს ორივე მატჩი ჩვენთვის სასიამოვნო სანახავი იქნება.

ვაჟა სიმონიშვილი




*მოსალოდნელი ტრანსფერი*

## ცქიტიშვილი საბერძნეთისკენ: პაოკ!

საქართველოს ნაკრების ფორვარდი **ნიკოლოზ ცქიტიშვილი** შეიძლება, საბერძნეთში **გიორგი შერმადინსა და გიორგი ცინცაძეს** შეუერთდეს.

თავად ნიკაც აცხადებს, რომ მისი გადაბირება ერთ-ერთ ბერძნულ კლუბს სურს, თუმცა საქმე კონტრაქტამდე ჯერ არ მისულა. გუშინ ბერძნულმა საიტმა "მეტროსპორტმა" გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის თანახმად, პაოკ ახლოსაა ნიკოლოზ ცქიტიშვილთან კონტრაქტის გაფორმებასთან. ლაპარაკია ერთწლიან ხელშეკრულებაზე. კონტრაქტზე ხელმოწერის ზუსტი თარიღი ჯერ არ სახელდება.

ნიკას ამ ზაფხულს ესპანური გუნდები ეპატიჟებოდნენ: "ფუენლაბრადა" (რომელშიც სკიტა გასულ სეზონში თამაშობდა) და "გრანადა". ისიც შევიტყვეთ, რომ ცქიტოს გადაბირებით ისრაელის სამი კლუბია დაინტერესებული. ასევე სახელდება "პენელინიოსი" და "პანიონიოსი", თუმცა, საიტს თუ ვენდობით, ყველაზე მეტად პაოკ აქტიურობს.

შეგახსენებთ, რომ ნიკოლოზ ცქიტიშვილი ამერიკიდან ევროპაში გადმოსვლის შემდეგ ჯერ ესპანეთში თამაშობდა, "კახასოლის" ღირსებას იცავდა; შემდეგ იტალიურ "ტერამიში" გადავიდა; 2008 წელს ისევ ესპანეთში დაბრუნდა, სადაც გასულ სეზონში მადრიდის "ფუენლაბრადაში" გამოდიოდა...

თუ ბერძნებს ვენდობით, 2009-2010 წლების სეზონს ნიკა პაოკ-ში გაატარებს. საბერძნეთში წლეულს გიორგი ცინცაძეც გადავიდა. იგი მომავალ სეზონში "ტრიკალას" ღირსებას დაიცავს. 2008 წლის შემდეგ საბერძნეთშია გიორგი შერმადინი, რომელიც "პანათინაიკოსში" თამაშობს.

ვაჟა სიმონიშვილი

*ლეგიონერი*

## მეტრეველი მონტეპასკიში დარჩა

საქართველოს ნაკრების მე-15 ნომერი **ნიკა მეტრეველი** "მონტეპასკიში" გატარებული სეზონის შემდეგ კლუბის დატოვებას ფიქრობდა. მას ისეთ გუნდში გადასვლა სურდა, სადაც სათამაშო დრო საკმარისად ექნებოდა.

ივლისში გავრცელდა ინფორმაცია მეტრეველით "ვარეზეს" დაინტერესების შესახებ. ნაკრებთან მოვარჯიშე ნიკას საკლუბო სიახლეებზე რომ ვკითხეთ, გვიპასუხა – "მონტეპასკიში" დარჩენა გადავწყვიტეო.

გუშინ იტალიის ჩემპიონთა მთავარმა მწვრთნელმა **სიმონე პიანიჯანიმ** გამართა პრესკონფერენცია სამომავლო გეგმების თაობაზე. ჟურნალისტებთან შეხვედრის შემდეგ მონტეპასკელებმა ნომრები გაინაწილეს.

როგორც იუწყებიან, 15-ნომრიანი მაისურა **ტომას რესს** სურდა, რომელიც "მილანში" სწორედ მე-15 იყო, მაგრამ, რადგან ეს რიცხვი შარშანდელი სეზონის შემდეგ ზურგზე ნიკა მეტრეველს ეწერა, რესმა მე-17 ნომერი აირჩია.

ასე რომ, მომავალ სეზონში ნიკა "მონტეპასკის" თხუთმეტიანი იქნება. თუმცა, უფრო საინტერესოა, რამდენ სათამაშო დროს გამოუყოფს მას მთავარი მწვრთნელი...

ვაჟა სიმონიშვილი

ჭადრაკი

# ჩემპიონები იწყებენ და იგებენ

გუშინ ჩინურ ნინბოში დაიწყო მოჭადრაკე ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც 9 ქვეყნის 10 გუნდი მონაწილეობს (კუბელთა უარის გამო ფიდემ მასპინძლებს 2 ნაკრების გამოყვანის უფლება მისცა). ფავორიტად ჩინეთის პირველ ნაკრებს მიიჩნევენ, რომელსაც საშუალო რეიტინგიც (2490) ყველაზე მაღალი აქვს (საკუთარი კედლების ფაქტორიც გასათვალისწინებელია). მეორე-მესამე ადგილებზე ქართველები და რუსები მოდიან, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მხოლოდ რეიტინგზე დაყრდნობით პროგნოზის გაკეთება სახიფათო საქმეა, რადგან დღეს ქალთა ჭადრაკში ისეთი სიტუაციაა, რომ ნებისმიერ გუნდს ნებისმიერის დამარცხება შეუძლია. ქულების დაუკარგავად ფინიშთან ვერავინ მივა. პირველმა ტურმაც ამაში თვალნათლივ დაგვარწმუნა. უფრო მეტიც - ზოგიერთ შემთხვევაში, საშუალო რეიტინგებში ქულათა დიდი სხვაობის მიუხედავად, სტარტზე კატასტროფული ანგარიშები არ დაფიქსირებულა (სხვა ტურებში რა მოხდება, ვერავინ იტყვის). გამართლდა სპეციალისტთა ერთი ჯგუფის ვარაუდი - ჩინეთში, ფაქტობრივად, თანაბარი ძალის გუნდებმა მოიყარესო თავი. ამას წინათ პრესისთვის მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში რუსეთის ქალთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იური დოხოიანმა** განაცხადა, რომ დრეზდენის საჭადრაკო ოლიმპიადაზე *„საქართველოს ნაკრები ფავორიტად არ მიიჩნეოდა, მაგრამ ქართველმა ქალებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა ფინიშამდე ღირსეულად მისულიყვნენ. არადა, ვერავინ იტყვის, რომ საქართველო ჩინეთზე ძლიერია. სამაგიეროდ, ქართველთაგან ყველამ ყველაფერი ბოლომდე გაილო. ჩიბურდანიძემ პირველ დაფაზე „ოქროს ტურნირი" ითამაშა. ყველას აჩვენა, როგორი უნდა იყოს ნამდვილი ლიდერი. მთელი გუნდი აიყოლია და ქულათა ფანტასტიკური რაოდენობა მოაგროვა. ასე გახდნენ ქართველები ჩემპიონები. მე გამიხარდა მათი წარმატება, რადგან ტიტული ალალად დაიმსახურეს"...*

შექება ყოველთვის სასიამოვნოა, მით უმეტეს უცხოტომელისგან. იმედია, ჩვენი მოჭადრაკე მანდილოსნები ჩინეთის მსოფლიოს ჩემპიონატზეც არანაკლებ კომპლიმენტს დაიმსახურებენ. ყოველ შემთხვევაში, სტარტი წარმატებული აღმოჩნდა - საქართველომ ვიეტნამი მინიმალური ანგარიშით დაამარცხა - 2,5:1,5 (მართალი გითხრათ, დიდი სხვაობით მოგებას ვვარაუდობდით). პირველ დაფაზე (**მაია ჩიბურდანიძე** ისვენებდა) **ნანა ძაგნიძე** 77-ე სვლაზე **თრამ ჰოანგს** დაუზავდა. **ლელა ჯავახიშვილმა** 39-ე სვლაზე სძლია **ნგუენ ჰამს**, **სოფიო ხუხაშვილი** კი 30-ე სვლაზე **ჰუო ჰოანგს** დანებდა. ჩვენს გუნდს მე-4 დაფაზე მაია ლომინეიშვილის მიერ მოპოვებულმა ქულამ გაამარჯვებინა. ნგოკ ჰამს ლომინეიშვილის c5 სვლის შემდეგაც (პოზიცია დიაგრამაზე) შეეძლო, კაპიტულაციაზე ხელი მოეწერა.

ჰამი



ლომინეიშვილი

პარტიაში მომდევნო 6 სვლა, ვფიქრობ, მექანიკურად გაკეთდა, რადგან ვიეტნამელს მარცხისგან თავის დაღწევის არანაირი შანსი არ ჰქონდა. პარტია ასე გაგრძელდა: **42... კf6 43. d6 c4 44. ეf4 კd8 45. ეf8 კa5 46. ეa8 კb6 47. d7 c3 48. ეa6** და შავები დანებდნენ.

დანარჩენ შედეგები:

პოლონეთი-აშშ 2,5:1,5 (**ივეტა რაილიჩი-ირინა კრუში 1:0, იოლანტა ზავადსკა-ანა ზატონსკიხი 0,5:0,5, იოანა დვორაკოვსკა-რუსუდან გოლეთიანი 0,5:0,5, იოანა მაიდანი-თათევ აბრაჰამიანი 0,5:0,5**).

ჩინეთი-2-ჩინეთი-1 1:3 (**ჟან სიაოვენი-ჟაო სიუ 0,5:0,5, ვან იუა-შენ იანი 0:1, დინ იაისინი-იუ ვენიუნი 0,5:0,5, ვან სიაოჰუი-ჰუან ქიანი 0:1**).

უკრაინა-რუსეთი 2:2 (**ანა უშენინა-ტატიანა კოსინცევა 0,5:0,5, ნატალია ჟუკოვა-ნადეჟდა კოსინცევა 0:1, ინა გაპონენკო-ეკატერინა კოვალევსკაია 1:0 ნატალია ზდებსკაია-მარინა რომანკო 0,5:0,5**).

ინდოეთი-სომხეთი 2:2 (ჰარიკა დრონავალი-ელინა დანიელიანი 1:0, ტანია საჩდევი-ლილით მკრტჩიანი 0:1, იეშა კარავადი-ლილით გალოიანი 1:0, მერი გომესი-ნელი აგინიანი 0:1).

ამდენად, პირველი ტურის შემდეგ 2-2 ქულით ჩინეთი-1, საქართველო და პოლონეთი დაწინაურდნენ, თითო ქულა აქვთ უკრაინას, რუსეთს, ინდოეთსა და სომხეთს, ხოლო აშშ, ვიეტნამი, ჩინეთი-2 უქულოდ არიან.

დღეს მეორე ტურში ერთმანეთს ხვდებიან: **აშშ-სომხეთი, რუსეთი-ინდოეთი, ჩინეთი-1-უკრაინა, საქართველო-ჩინეთი-2, პოლონეთი-ვიეტნამი.**

ვაჟა დანელია

# უდანაკარგოდ მხოლოდ ქეთი ნანალაშვილია

იტალიის ქალაქ ფერმოში გუშინ ახალგაზრდა მოჭადრაკეთა ევროპის პირველობაზე მესამე ტურის პარტიები გათამაშდა.

გაცნობებთ ჩვენი გოგო-ბიჭების შეხვედრათა შედეგებს:

10-წლიანებში: **სოფია მალფერარი** (მონაკო)-**ნინო დახუნდარიძე** 0,5:0,5. **რობინ ლეკონტე** (ჰოლანდია)-**ალექსანდრე ურდულაშვილი** 1:0.

12-წლიანებში: **ნინო ხომერიკი-კინგა პასტუშკო** (პოლონეთი) 1:0, **ადა ქაქუთია-ვალერია ლუჯანი** (იტალია) 1:0, **არამ მეზლუმიანი** (სომხეთი)-**ნიკოლოზ ქუმსიაშვილი** 0:1, **მათიას ბლუებაუმი** (გერმანია)-**გიორგი სიბაშვილი** 0,5:0,5.

14-წლიანებში: **ნატო იმნაძე-ალექსანდრა ლაჩი** (პოლონეთი) 0:1, **კრისტინა რომერო** (ესპანეთი)-**ლიკა კობეშავიძე** 1:0, **ემანუილ კაზაკოსი** (საბერძნეთი)-**ირაკლი ბერაძე** 0:1.

16-წლიანებში: **მარიამ დანელია-მარიელა ფერერა** (ესპანეთი) 0:1, **მერი არაბიძე-ნარმინ ხალაფოვა** (აზერბაიჯანი) 1:0, **ზურაბ ჯავახაძე-ტამაშ პეტენი** (სლოვაკეთი) 1:0, **ნოდარ ლორთქიფანიძე-ალესანდრო დავი** (იტალია) 0,5:0,5. **დევი მარგერეტასი** (იტალია)-**გიორგი ცირეკიძე** 1:0.

18-წლიანებში: **ქეთი ნანალაშვილი-ვიქტორია ვიერზბიკა** (პოლონეთი) 1:0, **ნაზი პაიკიძე-ანაბელა გუადამურო** (ესპანეთი) 1:0, **ლუკა პაიჭაძე-თამირ ნაბათი** (ისრაელი) 0:1, **ნაიკ ვარდანიანი** (სომხეთი)-**დავით ბენიძე** 0:1.

ფერმოს ევროპის პირველობაზე ტურნირის მესამედი მიილია. ქართველ მოჭადრაკეთაგან უდანაკარგოდ მხოლოდ ერთი გვყავს - მსოფლიოს ჩემპიონი და პრიზიორი, საერთაშორისო ოსტატი **ქეთი ნანალაშვილი**, რომელიც 18-წლიანებში პირველ-მესამე ადგილებს იყოფს რუს დიდოსტატ **ოლგა გირიასთან** და მის თანამემამულე **ვარვარა რეპინასთან** ერთად.

დღეს ნანალაშვილი შავი ფიგურებით ტრადიციულ მეტოქეს, ორქულანახევრიან თურქ საერთაშორისო ოსტატ **კუბრა ოზთურქს** შეხვდება. შავებით ითამაშებს აზერბაიჯანელი **გულნარა მამედოვას** წინააღმდეგ 16-წლიანებში მსოფლიოს და ევროპის შარშანდელი ჩემპიონი **ნაზი პაიკიძე**, რომელსაც ნახევარი ქულა აქვს დაკარგული.

ქართველ მოჭადრაკეთაგან, ასევე, 2,5-2,5 ქულა მოაგროვეს **ქუმსიაშვილმა, ბერაძემ, ხომერიკმა, ჯავახაძემ** და **ბენიძემ**. 2-2 ქულა აქვთ **ქაქუთიას, იმნაძეს, დანელიას, არაბიძესა** და **პაიჭაძეს**, 1,5-1,5 ქულა - **ლორთქიფანიძეს, დახუნდარიძესა** და **სიბაშვილს**, თითო ქულა - **ურდულაშვილსა** და **კობეშავიძეს**, ხოლო **ცირეკიძის** ანგარიშზეა 0,5 ქულა.

ცხადია, ამ შედეგების მიხედვით დასკვნების გამოტანა ნაადრევია. საამისოდ მოჭადრაკეებმა ტურნირის ნახევარი მაინც უნდა მოილიონ, თუმცა ერთის თქმა ამთავითვე შეიძლება - სტარტზე ამდენი ქულის დაკარგვა სასურველი სულაც არ არის.

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო წარმოგიდგენთ
# ქართული სპორტის ქრონიკები


მზია ჯუღელი


ვლადიმერ გოგოლაძე

## ქართული სპორტის მატიანე
## სპორტული ტანვარჯიში

სპორტული ტანვარჯიში ერთ-ერთი უძველესი სპორტის სახეობაა. ძველ საბერძნეთში, ინდოეთში, ჩინეთში, სპარსეთსა და სხვა ქვეყნებში ტანვარჯიშულ და აკრობატულ კომპოზიციებს ძალისა და მოქნილობის სადემონსტრაციოდ იყენებენ.

ძველ საბერძნეთში გიმნასტიკურ ვარჯიშებს მიმართავდნენ ანტიკური ოლიმპიური თამაშებისათვის ყმაწვილების მოსამზადებლად, სამხედრო მიზნებისთვის.

ტანმოვარჯიშეთა პირველი შეჯიბრებები XIX საუკუნის დასაწყისიდან იმართება. 1817 წელს ტანვარჯიშის ფრანგული სკოლის ფუძემდებლის **ფრანცა ამოროსის** სამოცმა მოწაფემ პარიზში პირველი საჯარო ტურნირი მოაწყო. მოგვიანებით შეჯიბრებები ტარდებოდა საბერძნეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, იტალიაში, შვედეთსა და ჩეხეთში.

სპორტული ტანვარჯიში ყველა ოლიმპიადის პროგრამაში შედიოდა. 1896-1924 წლებში მხოლოდ კაცები ასპარეზობდნენ, 1928 წლიდან - ქალებიც.

ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაცია 1881 წლის 23 ივლისს დაარსდა ბელგიის ქალაქ ლიეჟში. დღეისათვის იგი აერთიანებს მსოფლიოს 126 ქვეყნის ფედერაციას და 4 კონფედერაციას. ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაცია ხელმძღვანელობს სპორტულ ტანვარჯიშს, მხატვრულ ტანვარჯიშს, ბატუტზე ხტომას და აკრობატიკას.

საქართველოში სპორტული ტანვარჯიში XIX საუკუნის მიწურულს შემოდის. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ტანვარჯიშის მასობრივი განვითარება ჩვენში და მის უშუალო ფუძემდებლად მიიჩნევა ჩეხი **ანტონ ლუკეში**. იგი 1896 წელს ჩამოვიდა საქართველოში, დაინიშნა თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის ტანვარჯიშის მასწავლებლად და შემდგომში 23 წლის განმავლობაში მეთაურობდა საქართველოს ტანვარჯიშულ მოძრაობას. მისი უშუალო თაოსნობით ჩამოყალიბდა სპორტული ჯგუფები, ტანვარჯიშის მასწავლებელთა მომზადების კურსები, 1907 წელს კი მოეწყო პირველი საერთაშორისო გასვლა პრაღაში, სრულად „სოკოლის" V შეკრებაზე. თბილისის ტანმოვარჯიშეებმა მეორე ჯგუფის გუნდებს შორის პირველი ადგილი დაიკავეს, პირად შეჯიბრებებში კი **გიორგი ეგნატაშვილი** 1800 მონაწილეს შორის მე-11 იყო. პრაღაში მოპოვებულმა წარმატებამ ახალი სტიმული მისცა ტანვარჯიშის გავრცელებას არა მარტო თბილისში, არამედ – ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, სოხუმში, ახალციხეში, თელავში, ხონში, ზესტაფონსა და საქართველოს სხვა ქალაქებში. XX საუკუნის 30-იან წლებში საკავშირო არენაზე დომინირებდნენ **გულო რცხილაძე, გიორგი ბაბილოძე, ალექსანდრე ჯორჯაძე, პავლე რომანიშვილი, ნიკოლოზ თაყაიშვილი** და სხვები.

1932-1934 წლებში საბჭოთა კავშირის სამგზის აბსოლუტური ჩემპიონი იყო **გულო რცხილაძე**. მის შემდგომმა თაობამ ღირსეულად გააგრძელა წინამორბედთა საუკეთესო ტრადიციები. პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა **მედეა (მზია) ჯუღელმა**, რომელმაც 1952 წელს ჰელსინკის XV ოლიმპიურ თამაშებზე ოქროსა და ვერცხლის მედლები მოიპოვა სსრ კავშირის ნაკრებ გუნდთან ერთად. შაერთოდ, მზია ჯუღელი პირველი ქართველი ქალია, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულს ფლობს სპორტის ამ სახეობაში. კაცთა შორის პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა **ვლადიმერ გოგოლაძე**, რომელმაც 1988 წელს სეულის XXIV ოლიმპიურ თამაშებზე მიაღწია ამ წარმატებას. **გალინა შარაბიძე** და **სერგო ჯაიანი** პირველი მსოფლიო ჩემპიონები არიან.

დამოუკიდებელი საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 1-ელ ივნისს.

1992 წლის 18 ივლისიდან ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციისა და ევროპის ტანვარჯიშის კავშირის წევრია.

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტია **კობა სვინტრაძე**.

მედლები მოიპოვეს:

**ოლიმპიადებზე**

ვლადიმერ გოგოლაძემ - 1988 წელს სეულში — ოქრო

გალინა შარაბიძემ - 1952 წელს ჰელსინკიში — ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო.

მზია ჯუღელმა - 1952 წელს ჰელსინკიში — ოქრო და ვერცხლი.

**სულ: 3 ოქრო, 2 ვერცხლი, 1 ბრინჯაო**

**მსოფლიოს ჩემპიონატებზე**

**ოქროს მედალი**

ნინა დრონოვამ - 1974
რუსუდან სიხარულიძემ - 1974
გალინა შარაბიძემ - 1954
სერგო ჯაიანმა - 1954

**ვერცხლის მედალი**

პაატა შამუგიამ - 1974
გალინა შარაბიძემ - 1954

**ბრინჯაოს მედალი**

რუსუდან სიხარულიძემ - 1974
სერგო ჯაიანმა - 1954

მსოფლიოს ჩემპიონი - 4, ოქროს მედალი – 4.

ვერცხლის მედალოსანი - 2, ვერცხლის მედალი — 2.

ბრინჯაოს მედალოსანი - 2, ბრინჯაოს მედალი — 2.

**სულ: 8 მედალი (4 ოქრო, 2 ვერც., 2 ბრინ.).**

**ევროპის ჩემპიონატებზე:**

**ბრინჯაოს მედალი**

ვლადიმერ გოგოლაძემ - 1985 – 2.

ბრინჯაოს მედალოსანი - 1, ბრინჯაოს მედალი - 2.

**სულ - 2 მედალი.**

*დასაწყისი: ლელო №52 (12731).*
*გაგრძელება იქნება*

გურამ ძაგანია, პროფესორი

ამ დღეს, 1923 წელს...

## პირველი სამეცნიერო ექსპედიცია მყინვარწვერზე



1923 — განხორციელდა საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის პირველი სამეცნიერო ექსპედიცია მყინვარწვერზე.

ქართული მთამსვლელობის ერთ-ერთი დიდი მოამაგე **იოსებ ასლანიშვილი**, ამ ექსპედიციის მონაწილე, წერს: „3 სექტემბერს, ნაშუადღევს 2 საათსა და 45 წუთზე ავედით მყინვარწვერზე, პირდაპირ არ გვჯეროდა, რომ დასახული მიზანი უკვე მიღწეული იყო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მყინვარწვერზე მყოფნი, დიადის სურათის ხილვით ალტაცებულნი, ვფლობდით მთელი კავკასიის მიდამოებს ზღვიდან ზღვამდე და მშვენიერი ამინდი ამაში ხელს გვიწყობდა, თუმცა მეტად გაიშვიათებულ ჰაერი ძალზე გვიშლიდა წესიერ სუნთქვას... ყველანი ჩქარ-ჩქარა ვსუნთქავდით, კუნთები დადუნებული გვქონდა, მაჯისცემა შესამჩნევად მომატებული იყო, ყველას ძილი ერეოდა. ყოველივე ამას ზედ ერთოდა მზის სხივების სიძლიერე, ეგრეთწოდებული ულტრაიისფერი სხივები წვავდა ჩვენი სხეულის კანს. მზის სხივები ხელთათმანებს ატანდა და ხელებს აშავებდა... განა საკვირველი არ იყო: მარადი ყინულები, 5-გრადუსიანი ყინვა და თან ასეთი ცხარე მზე, რომელიც იმდენად წვავდა ხელებსა და სახეს, რომ სრულიად აშავებდა მათ... საქართველოს ცხოვრებაში იწყება ახალი ხანა, იჭედება ახალგაზრდობის ფოლადისებური ხასიათით, ისახება ფართო და დიდმნიშვნელოვანი გეგმები და ამასთან ერთად, გეგმები საქართველოს და მთელი კავკასიის ბუმბერაზ მთა-მყინვარების შესასწავლადაც... საღამოს 4 საათი და 15 წუთი იყო, მყინვარწვერიდან რომ დავეშვით".

### სპორტი მე-19 ს. ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე

ნამდვილად განათლებული კაცი ის არის, რომელშიაც მისი ბუნების ყოველი მხარე გახსნილია და ერთმანეთთან ისე არიან შეთანასწორებული, რომ ერთი მხარე არ დასძლევს მეორეს.

*გიორგი წერეთელი*
*(გაზეთი „დროება", 1867).*

■ ■ ■

ჩვენ გვიჭირს ჯანის სიმრთელეცა და ვაჟკაცობაც. ამის გამო ჩვენი სამეცადინო მარტო წიგნები არ უნდა იყოს.

*ანტონ ფურცელაძე*
*(ჟურნალი „ცისკარი", 1871).*

■ ■ ■

უვარჯიშებოდ და უმოქმედოდ დაგდება ძალიან ასუსტებს არათუ მარტო სხეულს და ჯანმრთელობას, არამედ თვით გონებასაც.

*გაზეთი „დროება". 1871*

■ ■ ■

მივაქციოთ ყურადღება, რომ ჩვენს სასწავლებელში სულის გარდა სხეულიც ვითარდებოდეს.

*ჟურნალი*
*„საქართველოს მოამბე", 1863*

1. საქართველოში სად იყო შემორჩენილი ფარიკაობის უძველესი ტრადიციები მოზარდთა ფიზიკურ აღზრდაში?

ა - აჭარაში
ბ - სამეგრელოში
გ - ხევსურეთში

2. ქრისტეშობამდე III საუკუნეში ძველბერძნულ ქალაქ გორგიპიაში (ანაპა) რომელი ქართველი იყო სამგზის გამარჯვებული?

ა - ქუთაისელი პრატინოსისი
ბ - მესხი სტრატიოსი
გ - ქუთაისელი ბლასტორი

3. ეთნოგრაფ ივანე გვარამაძის ცნობით, ძველბერძნული ოლიმპიადების პროგრამა საქართველოში შემოიტანა:

ა - აპოლონიოს როდოსელმა
ბ - „არგოს" კაპიტანმა იაზონმა
გ - ჰეროდოტემ

4. ვის ეკუთვნის სიტყვები „სვანები თავისი სიმამაცით და სამხედრო ძლიერებით თითქმის ყველა ხალხზე უფრო სახელოვანი არიან"...

ა - აგათია სქოლასტიკოსს
ბ - პროკოფი კესარიელს
გ - სტრაბონს

5. სად არის გამოხატული ქართული ჭიდაობის ფრესკა ტაძრის კედელზე საქართველოში?

ა - გელათში
ბ - ალავერდის ტაძარზე
გ - ვარძიაში

პასუხები: 1-გ, 2-ა, 3-ბ, 4-გ, 5-ბ.



1922 წელი. ქართული სპორტის მომავალი. მარცხნიდან: პირველ რიგში - სოსო ასლანიშვილი, მარო ყუფარაძე, გიორგი ნიკოლაძე, გიორგი ეგნატაშვილი, კ. საყვარელიძე, ლ. ახვლედიანი; მეორე რიგში - დათა ჯავრიშვილი, გ. მახარაძე, გიორგი მერკვილაძე.

თარიღები

### 3-9 სექტემბერი

**3 სექტემბერი 1976 წ.** თბილისი „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა პირველად მოიპოვა სსრ კავშირის თასი. ფინალში მოსკოვში მოუგო ერევნის „არარატს" 3:0.

**3 სექტემბერი. 1923 წ.** განხორციელდა საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის პირველი სამეცნიერო ექსპედიცია მყინვარწვერზე.

**5 სექტემბერი. 1945 წ.** დაიბადა **გივი ყვარელაშვილი**. თავისუფალი ჭიდაობა.

**6 სექტემბერი. 1920 წ.** დაიბადა **გიორგი ანთაძე**. ფეხბურთი. გარდაიცვალა 1987 წ.

**6 სექტემბერი. 1959 წ.** 50 წლის წინათ შედგა **მიხეილ მესხის** დებიუტი სსრ კავშირის საფეხბურთო ნაკრებში (ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან — 3:1).

**7 სექტემბერი. 1968 წ.** დაიბადა **კახი ცხადაძე**. ფეხბურთი.

**8 სექტემბერი. 1997 წ.** ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ 68-ე კონგრესზე დააწესა **ნონა გაფრინდაშვილის** სახელობის თასი. თასი გადაეცემა ქვეყანას, რომელიც ვაჟთა და ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადების ჯამში ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებს.

კალენდარი




**3-9 სექტემბერი. კრივი.** გრძელდება მსოფლიოს ჩემპიონატი. მილანი. დიდები.

**3-9 სექტემბერი. ჭადრაკი.** გრძელდება ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი ნინბო (ჩინეთი). დიდები.

**3-9 სექტემბერი. ჭადრაკი.** გრძელდება 10-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობა. ფერმო (იტალია). გოგონები, ვაჟები.

**3-9 სექტემბერი. ჭადრაკი.** საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი. ინდოეთი. დიდები.

**5 სექტემბერი. ფეხბურთი.** მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ჯგუფური რაუნდის მატჩი. საქართველო-იტალია. თბილისი.

**5-9 სექტემბერი. წყალბურთი.** ევროპის ბ ჩემპიონატი. ლუგანო (შვეიცარია) დიდები.

**5 და 9 სექტემბერი. კალათბურთი.** ევროპის ბ ჩემპიონატი. ვაჟები. ბელარუსი-საქართველო. მოგილიოვი (5.09); საქართველო-ბელარუსი. თბილისი (9.09).

პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** მატჩი უმაღლეს ლიგაში თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა ჩაატარა 1936 წლის 7 სექტემბერს თბილისში კიევის „დინამოსთან". მატჩი დამთავრდა ფრედ - 2:2.

**პირველმა** საქართველოს სპორსტმენებიდან სსრკ პირველობა სარეკორდო რაოდენობით მოიგო ბათუმელმა **სარქის სარხოიანმა**. იგი 1966-1979 წლებში 23-ჯერ გახდა ჩემპიონი მაგიდის ჩოგბურთში ერთეულთა თანრიგში, ვაჟთა და შერეულ წყვილებში.

**პირველად** ფარიკაობა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანეს 1896 წელს. ასპარეზობდნენ მხოლოდ ვაჟები. 1924 წლიდან კი ოლიმპიურ სარბიელზე ქალებიც გამოჩნდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



უცნაური ამბები

# მამაკაცური ხასიათით

მათ კაცებს შორის წარმატების მიღწევა გადაწყვიტეს. უნგრელი, რომელმაც საჭადრაკო დაფაზე თვით გარი კასპაროვი და ანატოლი კარპოვი დაამარცხა; გერმანელი, რომელმაც კინაღამ გააფორმა კონტრაქტი სერია A-ს კლუბ "პერუჯასთან; მექსიკელი, რომელიც დიდი ხანი ბიჭად ასაღებდა თავს და კანადელი, რომელიც NHL-ის კლუბ "ტამპა ბეი ლაითნინგის" კარს იცავდა.

ამ სპორტსმენების გახსენება სამხრეთაფრიკელი მორბენლის კასტერ სემენიას გამო გადავწყვიტეთ, რომელმაც ბერლინში დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ქალებში 800-მეტრიანი გარბენი მოიგო. სემენიას გენდერული ტესტის გავლა მოსთხოვეს, რადგან ბევრმა ვერ დაიჯერა, რომ აფრიკელი ქალი იყო.

ჩვენს დღევანდელ გმირებს სემენიასთან არანაირი კავშირი არ აქვთ - მათ ქალურობაში ეჭვი არავის შეუტანია, უბრალოდ კაცების სპორტთან ჰქონდათ გარკვეული შეხება.

## ბირგიტ პრინცი

იტალიის "პერუჯას" სელექციონერები 2003 წელს საკადრო პრობლემებს წააწყდნენ და პოტენციური ახალბედების საძებნელად... ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემართნენ, რომელიც შემოდგომაზე ამერიკაში იმართებოდა. მათ სამი ღირსეული კანდიდატი შეარჩიეს. ორი თვის შემდეგ, საინფორმაციო სააგენტოები მხოლოდ ამ ფეხბურთელთა გვარებსა და მათ შესაძლო ტრანსფერებს ახსენებდნენ.

**ბირგიტ პრინცი** იმ მომენტისთვის ფიფას ვერსიით პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელი და გერმანიის ნაკრების ლიდერი იყო, რომელმაც ნახსენებ მუნდიალზე ფინალში შვედეთის ნაკრები დაამარცხა. პრინცი ამ ჩემპიონატზე ბრწყინავდა. სწორედ მის მიერ შვედების კარში გატანილმა გოლმა გაუფორმა გერმანელებს ჩემპიონობა, სულ კი მსოფლიოს 2003 წლის ჩემპიონატზე შვიდი ბურთი მიითვალა. მისმა საფეხბურთო ოსტატობამ იმდენად მოხიბლა "პერუჯას" პრეზიდენტი **ლუჩანო გაუჩი**, რომ ეს უკანასკნელი მაშინვე მოლაპარაკებებს შეუდგა და სრული სერიოზულობით განაცხადა: *"იმედი მაქვს, ის ჩვენს გუნდს შობამდე შეუერთდება, ახალ წლის შემდეგ კი სერია A-ს მატჩებში მიიღებს მონაწილეობას. ხელშეკრულების დეტალები უკვე შევათანხმეთ. პრინცი ბრწყინვალეა, მას შესანიშნავი ფიგურა აქვს და გარწმუნებთ, როგორც ფეხბურთელი შეუდარებელია".*

როცა გაუჩის ლოგიკური კითხვა დაუსვეს - გერმანელის ქალის ტრანსფერი არსებულ წესებს ხომ არ ეწინააღმდეგებაო, მან დამაჯერებლად უპასუხა: *"ის ევროკავშირში შემავალი ქვეყნის მოქალაქეა. ვიმეორებ, რომ არ არსებობს წესი, რომელიც მას მამაკაცებთან მხარდამხარ თამაშს აუკრძალავს".*

როგორც ჩანს, გაუჩის ცუდი ადვოკატები ჰყავდა. ფიფამ იტალიელი საფეხბურთო ფუნქციონერის გეგმას ავანტიურა უწოდა, გარიგებას ვეტო დაადო და თავისი გადაწყვეტილება სქესის გაყოფის პრინციპით ახსნა. ამ გადაწყვეტილებამ ხაზი გადაუსვა მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე სენსაციურ შემთხვევას, არადა გაუჩი იმ მომენტში" "პერუჯას" შემადგენლობაში ერთბაშად სამი გოგონას შეყვანას აპირებდა. პრინცის გარდა, იტალიელს ორი შვედი თავდამსხმელი ჰყავდა შეგულებული: მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირი **ჰანა ლიუნგბერგი** და პლეიმეიკერი **ვიქტორია სვენსონი**.

## მარიბელ დომინგესი

ნორჩი **მარიბელ დომინგესი** ცხრა წლის იყო, როცა მისმა ოჯახმა უკეთესი ცხოვრების საძებნელად მექსიკის ლამაზი სოფელი მეხიკოს ღარიბ კვარტალზე გაცვალა. სწორედ ეს გახდა დასაწყისი იმ უცნაური ისტორიისა, რომელმაც მოგვიანებით მთელი სპორტული სამყარო გააკვირვა. დომინგესების ახალ საცხოვრებელთან ახლოს უკაცრიელ ადგილი იყო, სადაც მოზარდები დღედალამ ბურთს დასდევდნენ. მალე ამ კომპანიას მარიბელიც შეუერთდა, თუმცა მათ **მარიოს** სახელით გაეცნო. ამ ასაკში ბიჭებმა ახალი მეგობრის იდენტიფიცირება ვერ მოახერხეს. ეს ვერც მომდევნო წლებში შეძლეს. შესაძლოა, ამაზე დომინგესის არაქალურმა აღნაგობამ იმოქმედა, ან იქნებ იმან, რომ უბრალოდ თავში არავის მოუვიდა აზრად, რომ ამ ღარიბ კვარტალში საუკეთესო ფეხბურთელი შეიძლება ბიჭი არ ყოფილიყო. *"მათ მრავალი წლის განმავლობაში ვატყუებდი... საიდუმლო მხოლოდ მაშინ გამჟღავნდა, როცა ქალთა გუნდის ფოტოზე ამომიცნეს. ბიჭები მაშინვე დედაჩემთან გაიქცნენ და უბრალოდ შოკში იყვნენ, როცა სიმართლე გაიგეს"*, - იხსენებს დომინგესი.

ამბობენ, რომ მარიბელის მამა, რომელიც ალკოჰოლური პროდუქციის საწყობში მუშაობდა, ყველანაირად ახშობდა თავის ქალიშვილში ფეხბურთისადმი ბიჭურ ინტერესს. არც ცხრა შვილის გამზრდელი დედა იწონებდა ქალიშვილის გატაცებას და პერიოდულად გოგონას ბუცებს უმალავდა. მოგვიანებით, ორივე მშობელმა განაცხადა, რომ ამაყობს თავისი ქალიშვილით. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მარიბელ დომინგესი 1999 წელს მექსიკასთან ერთად ამერიკის მუნდიალზე მოხვდა, 2002 წელს პროფესიული კონტრაქტი გააფორმა "ატლანტა ბიტთან", 2004 წელს ათენის ოლიმპიადაზე ითამაშა და იქ მეოთხედფინალს მიაღწია. სპორტული ჟურნალისტი **ნონა ერერა** ასე ახასიათებს დომინგესის თამაშს: *"მარიბელი სინამდვილეში ძალიან კარგი ფეხბურთელია. საოცარი საგოლე ალღო აქვს, სწრაფია, უშიშარი, გონიერებითა და დაუჯერებელი ძალით გამოირჩევა".*

როგორც ცნობილია, ქალთა ფეხბურთში ხელფასები ახლოსაც ვერ მივა მამაკაცების ჯამაგირთან. მარიბელი პირველ გუნდში თვეში 1000 ევროს იღებდა, იმ დროს, როცა მეორე მექსიკურ ლიგაში მამაკაცი ფეხბურთელის საშუალო ხელფასი 6000 ევროს უდრიდა, თუმცა სწორედ მარიბელი გახდა ოჯახის მთავარი მარჩენალი.

2005 წელს 26 წლის გოგონა პრინცის, ლიუნგბერგისა და სვენსონის გზას დაადგა და კონტრაქტის დეტალები შეათანხმა კაცების გუნდ "სელაიასთან". მექსიკის ფეხბურთის ფედერაციის ჩინოვნიკებმა განაცხადეს, რომ ორსქესიანი შემადგენლობის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, მაგრამ ვინაიდან არასტანდარტულ შემთხვევასთან აქვთ საქმე, რჩევა ფიფას უნდა დაეკითხონ. პასუხი საკმაოდ კატეგორიული იყო - კაცებისა და ქალების ფეხბურთი ცალ-ცალკე არსებობს და დომინგესის გამო წესებს არ შეცვლიან. მარიბელს კაცებში თამაშის უფლება არ მისცეს.

*"მე უბრალოდ ამ შანსის გამოყენება მინდოდა და ყველაფერი გავაკეთე ამისთვის, მაგრამ არაფერი გამოვიდა"*, - იმედგაცრუებულმა განაცხადა მარიბელ დომინგესმა, რომელსაც ასევე ჩაუვარდა გენდერული რევოლუციის გეგმა.

## მანონ რეომი

**მანონ რეომი** კვებეკის პროვინციის პატარა კანადურ ქალაქ ლაკბოეპორში დაიბადა და პირველი ქალი გახდა, ვისაც კი ოდესმე ჰოკეის ეროვნული ლიგის გუნდში უთამაშია. ფეხბურთისგან განსხვავებით, ჰოკეიში მომუშავე თამამი ადამიანებისთვის ბიუროკრატიული ბარიერები არ არსებობს.

1992 წელს მომხდარმა შემთხვევამ აზრი დაუკარგა ფრაზას - "ჰოკეის ნამდვილი მამაკაცები თამაშობენ". რეომი NHL-ის კლუბ "ტამპა ბეი ლაითნინგის" კარში ჩადგა. მართალია, შეხვედრას საჩვენებელი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მან ისეთივე ინტერესი გამოიწვია, როგორიც რეგულარული ჩემპიონატის შეხვედრას აქვს. მანონი "სენტ ლუის ბლუზის" ჰოკეისტების წინააღმდეგ მოქმედებდა. მან 20 წუთი დაყო მოედანზე, შვიდი დარტყმა მოიგერია და ორი შაიბა გაუშვა. სეზონისწინა მზადებისას მისმა დამაჯერებელმა მოქმედებამ სამწვრთნელო შტაბი იმაში დაარწმუნა, რომ ღირდა რეომთან პროფესიული კონტრაქტის გაფორმება. გოგონას "ტამპა ბეის" ფარმკლუბში - "ატლანტა ნაიტსში" შესთავაზეს ადგილი. ამ ახალმა ამბავმა გააჩუმა ის სკეპტიკოსები, რომლებიც რეომის "ტამპაში" გამოჩენას ცირკსა და პიარაქციას უწოდებდნენ.

რეომი არ იყო ნაჩვევი ჟურნალისტების გადამეტებულ ყურადღებას და თავიდან მეტად მოკრძალებულად იყო. მან მოგვიანებით გაბედა "პლეიბოისა" და "პენტჰაუზში" თამამი ფოტოსესიების გადაღება, თორემ თავიდან ინტერვიუებში ასე ამბობდა: *"დიდი ყურადღება არ მჭირდება, მაგრამ პოპულარობა თავისთავად მოდის. ეს დიდ დისკომფორტს მიქმნის. აქ იმიტომ ვთამაშობ, რომ ჰოკეი მიყვარს, თანაც ეს ჩემი სამუშაოა".*

კაცებში მისი ოფიციალური დებიუტი 1983 წლის 13 დეკემბერს შედგა. "ნაიტსის" კარში რეომი "სოლტ-ლეიკ-სიტის" დაუპირისპირდა. მანონმა 5 წუთი და 49 წამი დაყო მოედანზე და ამ დროის განმავლობაში ოთხი დარტყმა მოიგერია, თუმცა ერთი გოლი მაინც გაუშვა. "ატლანტა" არ ყოფილა კაცებში რეომის ბოლო გუნდი. შემდეგ წლებში ის "ნოქსვილ ჩეროკისთან", "ნეშვილ ნაიტსთან" და "ლას ვეგას თანდერთან" თანამშრომლობდა. ქალთა ჰოკეიში მისი მიღწევება გაცილებით შთამბეჭდავია. 1998 წელს კანადის ნაკრებთან ერთად ნაგანოს ოლიმპიადის ვერცხლის მედალი მიიღო.

## იუდით პოლგარი

ჩვენი წინა გმირებისგან განსხვავებით, **იუდით პოლგარი** არამარტო მამაკაცებს შორის დამკვიდრებას, არამედ მათ შორის საუკეთესოს სტატუსის მოპოვებას ცდილობდა. გასაკვირი არ არის, რომ ქალი, რომელმაც სწრაფ ჭადრაკში გარი კასპაროვი და ანატოლი კარპოვი დაამარცხა, თავისი სქესის წარმომადგენლებს შორის კონკურენტებს არ აღიარებდა. *"ჯერჯერობით ღირსეული კონკურენტი არ მყავს, - ამბობს უნგრელი, - თუმცა ჭადრაკი თანდათან "გაახალგაზრდავდა" და სავსებით შესაძლებელია, რომ სამ-ოთხი წლის შემდეგ რომელიმე პერსპექტიული იუნიორი დამეწიოს".*

იუდითი 15 წლისა და 4 თვის ასაკში ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატი გახდა. მან ლეგენდარული ამერიკელის **ბობი ფიშერის** რეკორდი დაამხო. თუმცა პოლგარმა სამართლიანად აღიარა, რომ ჭადრაკი ვითარდება და ამ მომენტისთვის მისი ეს რეკორდი უკვე თექვსმეტმა ნორჩმა მოჭადრაკემ გააუმჯობესა.

პოლგარმა 1996 წელს თავისი სენსაციური გამარჯვებებით FIDE-ს რეიტინგის პირველ ათეულში შეაბიჯა, მაგრამ მის ზრდას არასტაბილურობამ შეუშალა ხელი, რაც ძირითადად ორი ბავშვის დაბადებით იყო გამოწვეული - 2004 წელს **ოლივერი** გაჩნდა, 2006 წელს - **ჰანა**. მაგრამ ამის გარეშეც იუდითი დღესაც ანგარიშგასაწევი ძალაა. ამჟამად უნგრელი 36-ე ადგილს იკავებს საჭადრაკო რეიტინგში.

**გია თვალაბეიშვილი**



მანონ რეომი ტამპას მაისურით



ბირგიტ პრინცი



იუდიტ პოლგარი და ვიში ანანდი



მარიბელ დომინგესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ინტერვიუ დომინიკ უილკინსთან

# ჯორდანს დიდხანს ვდიე და დავიღალე




არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ NBA-ის დიდების დარბაზის წევრი დომინიკ უილკინსი "ატლანტა ჰოქსის" ისტორიაში ყველაზე შედეგიანი კალათბურთელია. 1985-86 წლების სეზონში მან საშუალოდ 30.3 ქულა დააგროვა, რისი წყალობითაც ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. უილკინსმა ცხრაჯერ მიიღო მონაწილეობა "ყველა ვარსკვლავის მატჩში" და ორჯერ მოიგო ჩატენვების კონკურსი.

რა თქმა უნდა, გულშემატკივრებს დომინიკი მხოლოდ ჩატენვების გამო არ უყვარდათ, მაგრამ მის პოპულარობაში სწორედ სლემ-დანკის კონკურსებმა იქონია გავლენა. დღეს პარიზის მკვიდრი, "ატლანტას" ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ტელეარხ Fox Sports-ზე უკეთებს კომენტარს NBA-ის მატჩებს და ახალი პროფესიისგან დიდ სიამოვნებას იღებს. Sportsillustrated-სთვის მიცემულ ინტერვიუში უილკინსმა ბურთის ჩატენვის ხელოვნებაზე, მაიკლ ჯორდათან მეტოქეობასა და დღევანდელ და მის თაობას შორის განსხვავებაზე ილაპარაკა.

**- დომინიკ, ვინ მიიჩნევა ყველა დროის ყველაზე ფანტასტიკურ ჩამტენავად იმ კალათბურთელთაგან, რომლებიც თქვენ გინახავთ?**

- მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი თაობა ნამდვილ სასწაულებს ახდენს, მე მაინც დოქტორ ჯეის (ჯულიუს ირვინგი) ავირჩევდი. ის დაუჯერებელი სიმსუბუქით, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე ტენიდა ბურთს კალათში. ეს ნიჭი მას თავად ღმერთისგან ჰქონდა ბოძებული. ძალიან საინტერესო იყო იმის ყურება, როგორ ეპყრობოდა ბურთს. პროფესიონალ მოცეკვავეს მოგაგონებდათ.

**- ბურთის ზემოდან გდების თანამედროვე კონკურსების გამო იმედგაცრუებული ხართ? თქვენს დროს ყველა წამყვანი კალათბურთელი ცდილობდა მასში მონაწილეობას.**

- ჩემი სურვილია ყველა დიდმა კალათბურთელმა მიიღოს მონაწილეობა ამ კონკურსში. გამიხარდა, როცა გავიგე, რომ მომავალ წელს "ყველა ვარსკვლავი უქმეებზე" ლებრონ ჯეიმსი აპირებს ჩატენვების შესრულებას. იმედი მაქვს, მას სხვა ცნობილი მოთამაშეებიც შეუერთდებიან. ჩემი აზრით, ეს კონკურსი - ერთადერთი ხერხია იმის გასაგებად, ვინ ითვლება ლიგისა და შესაძლოა, მსოფლიოს საუკეთესო ზემოდან მგდებად.

**- თავის დროზე რატომ გადაწყვიტეთ ამ კონკურსში მონაწილეობა?**

- როცა ჩვენი შესაძლებლობების დემონსტრირება გვთხოვეს, პასუხის მხოლოდ ორი ვარიანტი არსებობდა: "კი" ან "არა". და ბიჭების უმეტესობა თანხმობით პასუხობდა, რადგან ყველას ესმოდა, რომ ეს კონკურსი მაყურებელთა სიამოვნებისთვის კეთდებოდა. პირადად ჩემთვის ბურთის ჩატენვა მეტოქის შესაშინებელი ელემენტი იყო და მას სიამოვნებით ვიყენებდი, თუმცა ეს არ იყო ჩემს თამაშის საუკეთესო ელემენტი. ხალხს მხოლოდ ერთი მიზეზით უყვარდა ამ კონკურსში უილკინსის დაკვირვება: ძალიან მაღალი ნახტომი მქონდა.

**- ბოლო დროს რომელი იყო ყველაზე არასტანდარტული და საინტერესო გდება?**

- საქმე ისაა, რომ რაიმე ახლის მოგონება უკვე შეუძლებელია. კალათბურთელები იმ ტყორცნებს ასრულებენ, რომლებიც ადრე გამოყენებული იყო. უბრალოდ ოდნავ ცვლიან სროლებს, რათა მცირე განსხვავება მაინც არსებობდეს. ჩემი აზრით, თუ ფანტაზიას ჩავრთავთ საქმეში, გდება მით უფრო უჩვეულო გამოვა.

**- ფინტებს თავად იგონებდით?**

- სიმართლე რომ ვთქვა, ამაზე ბევრს არ ვფიქრობდი, თავისთავად გამოდიოდა ყველაფერი. ვარჯიშებზე ბიჭებთან ერთად პრაქტიკას გავდიოდი, რაღაც ახალს მივაგნებდი და იმ წამს გადავწყვეტდი, რომ ეს ილეთი კონკურსზე უნდა გამომეყენებინა. არაფერს ვმალავდი, ამას დიდ საიდუმლოდ არ ვაქცევდი ხოლმე. სროლების ნაწილს, რომელსაც კონკურსებზე ვასრულებდი, შემდეგ თამაშშიც ვიყენებდი.

**- რომელი ტყორცნაა თქვენთვის საყვარელი?**

- ერთი ან ორი ხელით "წისქვილი". ვალმერთებდი ამ ილეთს.

**- ბოლოს როდის ჩატენეთ ბურთი კალათში?**

- რამდენიმე კვირის წინ. უბრალოდ ახლა თავს კარგად ვერ ვგრძნობ, რადგან ავადმყოფობა გადავიტანე. საერთოდ, ჩემთვის ბურთის ჩატენვა პრობლემას არ წარმოადგენს.

**- ხალხს არ ესმის, რატომ არ შეგიყვანათ NBA-მ ყველა დროის 50 საუკეთესო კალათბურთელს შორის. თქვენ როგორ ახსნით ამ ფაქტს?**

- ეს უბრალოდ სასაცილოა. ძალიან განაწყენებული ვიყავი და დღესაც დრო და დრო გავბრაზდები ხოლმე. აღმაშფოთებელია, რომ მათ მე და ბობ მაკადუ ამ სიის მიღმა დაგვტოვეს. ახლა ცოტა დავწყნარდი, რადგან NBA-ის დიდების დარბაზში შემიყვანეს - ეს ცუდი ალტერნატივა არ არის.

**- მაიკლ ჯორდანთან თქვენი დუელი მართლაც გრანდიოზული იყო - არამხოლოდ ჩატენვების კონკურსზე ებრძოდით ერთმანეთს, არამედ ლიგის საუკეთესო ბომბარდირის ტიტულისთვის. არასოდეს დაფიქრებულხართ იმაზე, რას მიაღწევდით მაიკლ ჯორდანი რომ არ ყოფილიყო?**

- ექვსი წელი დავდევდი მას და შემდეგ დავიღალე. რაღაც მომენტში უბრალოდ გადავწყვიტე: "ჯანდაბას მისი თავი!" დღეს ხშირი კონტაქტი გვაქვს - ჩვენ ხომ ორივენი ჩრდილოეთ კაროლინიდან ვართ. მოედანზე შოუმენები და კონკურენტები ვიყავით, მაგრამ ყოველთვის ვაფასებდით ერთმანეთს. დღეს ჩვეულებრივი მეგობრები ვართ.

**- ბოლოს მინდა გკითხოთ, რაში მდგომარეობს ყველაზე დიდი სხვაობა თქვენსა და ამჟამინდელ თაობას შორის?**

- მაშინ გაცილებით დიდი კონკურენცია იყო: "ბოსტონი", "ლოს ანჯელეს ლეიკერსი", "დეტროიტი"... ვფიქრობ, რომ თანამედროვე კალათბურთელი უფრო უნივერსალური გახდა. ყოველთვის მსუბუქი ფორვარდი ვიყავი და მძიმე ფორვარდის პოზიციაზე ვერ ვითამაშებდი, რადგან მეტოქეები გადამთელავდნენ, ეს კი ძალიან არ მინდოდა. ისედაც ბევრი თავსატეხი მქონდა: ისეთი ბიჭები უნდა ამეყვანა, როგორებიც იყვნენ ჯულიუს ირვინგი, ლარი ბერდი, ადრიან დენტლი და ალექს ინგლიში - ეს არ იყო იოლი ამოცანა... მაგრამ მე მგონი, ცუდად არ გამომდიოდა.

## ველოსპორტი

**ვუელტა. IV ეტაპი**

**ვენლო-ლიეჟი. 225,5 კმ**

1. ანდრე გრაიპელი (გერ, Columbia-HTC) - 5.43,05; 2. ვოუტერ ვეილანდტი (ბელგია, Quick Step) - იგივე დრო; 3. **ბერტ გრაბში** (გერმანია, Columbia) - იგივე დრო; 4. **მარსელ ზიბერგი** (გერმანია, Columbia-HTC) - იგივე დრო; 5. **მარკო ველო** (იტალია, Quick Step) - იგივე დრო... 6. **მატეო ტოსატო** (იტალია, Quick Step) - იგივე დრო... 25. **სამუელ სანჩესი** (ესპ, Euskaltel) - იგივე დრო... 36. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - იგივე დრო... 41. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, Silence-Lotto) - იგივე დრო... 53. **აიმარ სუბელდია** (ესპ, ასტანა) - იგივე დრო... 96. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპ, Caisse d'Epargne) - +2,10... 116. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, ასტანა) - +3,58... 146. **ფაბიან კანჩელარა** (შვეიც, Saxobank) - +5,03... 147. **ენდი შლეკი** (შვეიც, Saxo Bank) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **ფაბიან კანჩელარა** (შვეიც, Saxobank) - 15.12,38; 2. **ტომ ბოონენი** (ბელ, Quick Step) - +0,09; 3. **ბერტ გრაბში** (გერმანია, Columbia) - +0,11; 4. **ანდრე გრაიპელი** (გერ, Columbia-HTC) - იგივე დრო; 5. **ტაილერ ფარარი** (აშშ, Garmin-Slipstream) - +0,12; 6. **დანიელე ბენატი** (იტალია, Liquigas) - +0,16... 9. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - +0,18; 11. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპ, Caisse d'Epargne) - იგივე დრო... 11. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, Silence-Lotto) - +0,19... 34. **აიმარ სუბელდია** (ესპ, ასტანა) - +0,28... 57. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, "ასტანა") - +0,36... 73. **სამუელ სანჩესი** (ესპ, Euskaltel) - +0,42... 126. **ენდი შლეკი** (შვეიც, Saxo Bank) - +1,08...

## ამერიკის ჩემპიონატი

**მეოთხედფინალური ჯგუფი**

**ურუგვაი-დომინიკის რ. 74:80**

15:14, 25:19, 24:23, 10:24

უ: გარსია (28+4 ჩაჭრა), ბატისტა (16+8 მოხსნა), ოსიმანი (8+7 პასი), ბარერა (7+8 პასი).

დ: ვილანუევა (19+8 მოხსნა), პორფორდი (17+12 მოხსნა+3 ჩაჭრა), ფლორესი (14+8 მოხსნა), გარსია (10+6 მოხსნა+4 პასი+4 ჩაჭრა).

**კანადა-არგენტინა 51:67**

13:15, 15:21, 10:20, 13:11

კ: ინგლიში (17+6 მოხსნა), იანგი (13).

ა: გუტიერესი (15), კამერიხსი (13+7 მოხსნა+5 ჩაჭრა), სკოლა (12+9 მოხსნა), პრიჯიონი (8+7 პასი+6 ჩაჭრა).

**მექსიკა-ბრაზილია 61:92**

17:24, 12:21, 16:24, 16:23

მ: კინტერო (13), პედროსა (10), ჩავესი (10), დე ლოს რეიესი (8+12 მოხსნა).

ბ: ბარბოზა (18), ლოპეშ ბატიშტა (11), ვარეჟაო (10+12 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჯოვანონი (10).

**პუერტო რიკო-პანამა 79:51**

11:13, 23:12, 25:14, 20:12

პ-რ: რამოსი (12+11 მოხსნა+4 დაფარება), დიასი (12+7 მოხსნა), აროიო (11+5 მოხსნა+4 პასი+3 ჩაჭრა), სანჩესი (10).

პან: პინოკი (23+4 ჩაჭრა).

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. პუერტო რიკო - 4 მოგება/0 წაგება; 2. ბრაზილია - 4/0; 3. არგენტინა - 3/1; 4. დომინიკის რეს - 2/2; 5. ურუგვაი - 2/2; 6. კანადა - 1/3; 7. პანამა - 0/4; 8. მექსიკა - 0/4.

# მგლების ნაცვლად ბარსა

როგორც იქნა მოგვარდა ესპანელი ვუნდერკინდის **რიკი რუბიოს** ტრანსფერის საკითხი. "ბარსელონას" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ესპანეთის ნაკრების პლეიმეიკერის სანაცვლოდ "ხუვენტუდს" 5.28 მილიონი დოლარი გადაუხადა და რუბიო მომავალ ორ წელს კატალონიურ კლუბში გაატარებს.

ხელშეკრულების თანახმად, რუბიო "ბარსელონას" ვადაზე ადრე ვერ დატოვებს, იმ შემთხვევაშიც კი თუ ოკეანისგაღმიდან შეთავაზებას მიიღებს.

ცნობილია, რომ რუბიო წლევანდელ დრაფტზე "მინესოტა ტიმბერვულვზმა" აირჩია. ამ დღეებში "მგლების" პრეზიდენტი **დევიდ კანი** ესპანეთში იმყოფებოდა და "ხუვენტუდის" წარმომადგენლებთან რიკის გამოსყიდვის პირობებს არკვევდა, მაგრამ ვერაფერს გახდა და რუბიო "ბარსელონას" დარჩა.

*"ბარსელონაში" იმის გამო გადავედი, რომ NBA-ში წასვლამდე გამოცდილების დაგროვება მინდა. ამერიკაში სათამაშოდ აუცილებლად წავალ, მაგრამ ეს 2011 წლამდე არ მოხდება"*, - განაცხადა რუბიომ "ბარსას" მიერ მოწყობილ პრეზენტაციაზე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| **III ბუნდესლიგა** | |
| კარლ ცაისი-დორტმუნდი A | 2:1 |
| დინამო (დ)-ოსნაბრიუკი | 0:0 |
| ინგოლშტადტი-ბურგჰაუზენი | 6:0 |
| ოფენბახი-ბრაუნშვაიგი | 3:0 |
| რეგენსბურგი-ვერდერი A | 1:0 |
| **არგენტინა** | |
| არსენალი-რასინგი | 0:0 |
| სან ლორენსო-ესტუდიანტესი | 2:2 |
| **ესპანეთის თასი** | |
| ლაგუნი-სერო | 2:1 |
| კულტურალი-უნიონი | 4:0 |
| სანტ ანდრეუ-მელილია | 3:1 |
| საბადელი-მარბელია | 0:0 პენ. 1:3 |
| სალამანკა-კასტელონი | 1:1 პენ. 4:3 |
| ალკორკონი-პალენსია | 2:0 |
| ალკოიანო-ვილიახოიოსა | 2:0 |
| სიუდადი-ოვიედო | 3:2 |
| ხირონა-ხიმნასტიკი | 1:0 |
| ლევანტე-უესკა | 0:0 პენ. 3:4 |
| ონტინიენტი-კონკუენსე | 2:1 |
| ეხიდო-პონფერადინა | 0:0 პენ. 8:7 |
| პუერტოლიანო-სამორა | 2:0 |
| ბეტისი-კორდობა | 1:2 |
| სოსიედადი-ვალეკანო | 0:2 |
| ალბასეტე-ერკულესი | 0:1 |
| კარტახენა-ელჩე | 2:2 დ.დ. 3:2 |
| ლას პალმასი-კადისი | 2:1 |

## TV პროგრამა

**3 სექტემბერი. ხუთშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:45** გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. დუისბურგი-ფორტუნა.
**09:35** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**10:10** ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სპორტინგი.
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** არგენტინის ჩემპიონატი. სან ლორენსო-ესტუდიანტესი.
**14:10** გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-დეპორტივო.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:20** გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ბორდო.
**18:10** არგენტინის ჩემპიონატი. სან ლორენსო-ესტუდიანტესი.
**20:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:25** უიკ ენდის მატჩების ანონსი.
**20:35** 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ.
**21:45** იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ინტერი.
**23:40** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**00:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**01:00** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**02:05** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**03:05** არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-ნიუელსი (LIVE).
**05:15** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**05:45** გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-პალერმო.

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**08:45** ბრძოლა წესების გარეშე.
**11:10** რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. ჰადერსფილდი-უორინგტონი.
**13:00** ახალი ამბები.
**13:30** წყალბურთი. ტელეჟურნალი.
**14:00** როდეო. BULL RIDERS.
**15:00** სპორტული დღე.
**15:45** ტაილანდური კრივი.
**16:40** ახალი ამბები.
**16:50** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. სეზონის საუკეთესო მატჩები. 1/4 ფინალი. პიტსბურგი-ვაშინგტონი. VI მატჩი.
**18:55** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IV დღე (LIVE).
**02:00** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IV დღე. მიმოხილვა
**03:00** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IV დღე (LIVE).

**EUROSPORT**

**07:00** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. III დღე (LIVE).
**09:00** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. III დღე.
**10:30** რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ავსტრალია.
**11:00** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. III დღე.
**16:45** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 1/4 ფინალი. ფინეთი (LIVE).
**19:00** ველოსპორტი. ვუელტა. V ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
**19:45** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 20-წლამდელები. ეგვიპტე.
**20:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**20:10** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ისლანდია. ფინეთი.
**21:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 1/4 ფინალი. ფინეთი (LIVE).
**23:00** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IV დღე (LIVE).
**03:00** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IV დღე (LIVE).

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**11:55** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. III დღე (LIVE).
**12:00** კრიკეტი. საერთაშორისო ტურნირი. ინგლისი-ავსტრალია. მანჩესტერი. ბრიტანეთი.
**13:00** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. ახალი ამბები.
**13:15** ახალი ამბები.
**13:30** მოტოკროსი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰოლანდია.
**14:30** ახალი ამბები.
**14:45** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. ახალი ამბები.
**15:00** ახალი ამბები.
**16:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-იტალია. ფინეთი.
**16:45** ბალახის ჰოკეი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ფინალი. ამსტერდამი. ჰოლანდია.
**18:00** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. ახალი ამბები.
**18:15** არმრესტლინგი.
**18:45** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. ახალი ამბები.
**19:00** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IV დღე (LIVE).
**21:00** ახალი ამბები.
**21:15** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IV დღე (LIVE).
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IV დღე (LIVE).
**04:00** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IV დღე (LIVE).
**05:00** ახალი ამბები.

ჩოგბურთი

ამერიკის ღია პირველობა

### კაცები

#### I წრე

**ენდი მიურეი (ბრიტ, 2)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 7:5, 6:3, 7:5; **რაფაელ ნადალი (ესპ, 3)**-რიშარ გასკე (საფ) 6:2, 6:2, 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 4)**-ივან ლუბიჩიჩი (ხორ) 6:3, 6:1, 6:3; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 11)**-ნიკოლას მასუ (ჩილ) 6:3, 6:3, 6:3; **გაელ მონფილსი (საფ, 13)**-ჟერემი შარდი (საფ) 6:1, 6:4, 6:3; **ნიკოლას ლაპენტი (ეკვ)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 19) 4:6, 3:6, 7:6(6), 7:6(3), 6:3; **სემ კუერი (აშშ, 22)**-მიხაელ იანი (აშშ) 6:3, 7:5, 6:4; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 24)**-ფაბრის სანტორო (საფ) 6:4, 6:3, 6:3; **ივან ნავარო (ესპ)**-ივო კარლოვიჩი (ხორ, 27) 6:4, 7:6(8), 7:6(5); **კარსტენ ბოლი (ავსტრა)**-ხუან პაბლო ბრჟეჟიცკი (არგ) 7:6(5), 6:3, 6:4; **ჟოსელინ უანა (საფ)**-რაჯივ რამი (აშშ) 7:6(4), 6:4, 3:6, 6:3; **კევინ კიმი (აშშ)**-დუდი სელა (ისრ) 6:3, 0:6, 6:2, 6:2; **პოლ კაპდევილე (ჩილ)**-ვიქტორ კრივოი (რუმ) 6:3, 6:0, 7:6(2); **ჯესი ლევინე (აშშ)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 7:5, 6:1, 6:2; **ტეილორ დენტი (აშშ)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 4:6, 7:6(6), 6:3, 7:5; **ფლორან სერა (საფ)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ) 7:6(8), 7:6(5), 7:6(5); **იურგენ მელცერი (ავსტრია)**-მარატ საფინი (რუს) 1:6, 6:4, 6:3, 6:4; **ანდრეას ბეკი (გერ)**-ევგენი კოროლიოვი (რუს) 6:3, 6:4, 2:6, 2:6, 6:4; **ნიკოლას კიფერი (გერ)**-მიხაელ ლოდრა (საფ) 6:3, 6:4, 6:4; **პაბლო კუევასი (ურუ)**-კრის გუჩიონე (ავსტრა) 6:4, 7:6, 6:0; **ტომაშ ბელუჩი (ბრა)**-იენ-ჰსუნ ლუ (ტაივ) 6:4, 6:2, 6:3.

### ქალები

#### I წრე

**ელენა დემენტიევა (რუს, 4)**-კამილ პინი (საფ) 6:1, 6:2; **კატერინა ბონდარენკო (უკრ)**-ანა ივანოვიჩი (სერ, 11) 2:6, 6:3, 7:6(7); **ჟიე ჟენგი (ჩინ, 21)**-ანა ლენა გრონეფელდი (გერ) 6:3, 6:2; **მარია შარაპოვა (რუს, 29)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 6:3, 6:0; **კრისტიენა მაკჰეილი (აშშ)**-პოლონა ჰერცოგი (სლოვენ) 6:3, 6:1; **ალიზ კორნე (საფ)**-მონიკ ადამჩაკი (ავსტრა) 4:6, 6:4, 7:5; **იაროსლავა შვედოვა (ყაზ)**-ალია ზეკ პესკარიჩი (სლოვენ) 6:3, 6:3; **შენაი პერი (აშშ)**-მონიკა ნიკულესკუ (რუმ) 6:4, 6:2; **კარლა სუარეს ნავარო (ესპ)**-ვარვარა ლეპჩენკო (აშშ) 2:6, 6:3, 6:2.

#### II წრე

**ვენუს უილიამსი (აშშ, 3)**-ბეტანი მატეკი (აშშ) 6:4, 6:2; **ვერა ზვონარევა (რუს, 7)**-ანა ჩაკვეტაძე (რუს) 3:6, 6:1, 6:1; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 8)**-ბარბორა ზახვალოვა სტრიჩოვა (ჩეხ) 6:2, 6:1; **ფლავია პენეტა (იტა, 10)**-სანია მირზა (ინდ) 6:0, 6:0; **მარია კირილენკო (რუს)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 12) 6:4, 2:6, 6:4; **კიმ კლაისტერსი (ბელ)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 14) 5:7, 6:1, 6:2; **ალექსანდრა ვოზნიაკი (კან)**-ამელი მორესმო (საფ, 17) 6:4, 6:0; **ნა ლი (ჩინ, 18)**-მიშელ ლარშერ დე ბრიტუ (პორ) 6:1, 6:3; **კირსტენ ფლიპკენსი (ბელ)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 20) 6:1, 6:3; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 26)**-სტეფანი ფოგელი (შვეიც) 6:4, 6:4; **ელენა ვესნინა (რუს, 31)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 7:6(6), 6:1; **მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ)**-კაი ჩენ ჩანგი (ტაივ) 4:6, 6:2, 6:2.



# ივანოვიჩს თამაში დაავიწყდა

ამერიკის ღია პირველობის მიმოხილვისას, ძირითადად ქალების ტურნირზე გვიწევს წერა. აქ სენსაციებიც მეტია და დაძაბული ორთაბრძოლებიც. მაგალითად, ბოლო ორ დღეში მსოფლიოს ორი ყოფილი პირველი ჩოგანი გამოეთიშა ბრძოლას.

ზედიზედ ორი წელია, ამერიკის ღიაზე ადრეულ ეტაპზე მარცხდება სერბი **ანა ივანოვიჩი**. შარშან როლან გაროსის ყოფილი ჩემპიონი მეორე წრიდან გამოეთიშა ბრძოლას, ამჯერად კი პირველივე მატჩში დამარცხდა 52-ე ნომერ **კატერინა ბონდარენკოსთან**.

ივანოვიჩმა მხოლოდ პირველ სეტში აჩვენა თავისი კლასი, მაგრამ შემდეგ, როგორც ეს ამ სეზონში ხშირად ხდება, შეცდომებს უმატა და საბოლოოდ შეხვედრა 50 (!) უნებლიე შეცდომით დაასრულა. მატჩის ყველაზე დრამატული მომენტი გადამწყვეტი სეტის ტაი-ბრეიკი იყო. 6:5-ზე ივანოვიჩს მატჩპოინტი ჰქონდა, მაგრამ იოლი ფორჰენდი ბადეს გაარტყა. შემდეგ უკრაინელმა პირველი მატჩ-პოინტისას ორმაგი შეცდომა დაუშვა, მაგრამ მეორე ცდაზე მაინც მოახერხა სერბი ჩოგბურთელის ძლევა.

*"როგორც ჩანს, საკუთარ თამაშზე ზედმეტს ვფიქრობ. დღეს მე მაქვს გეგმა და ვიცი, რა უნდა გავაკეთო თამაშის ყოველ ნაწილში. მაგრამ ამ მომენტში ჩემს მოქმედებაში დისბალანსი შეინიშნება. ჩემი ფიზიკური მდგომარეობა ერთ დონეზეა, ფსიქოლოგიური - მეორეზე და თავად თამაში - მესამეზე. ყველა ეს ელემენტი ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს"*, - განაცხადა ივანოვიჩმა.

მესამე წრეში გასვლა ვერ შეძლო ფრანგმა **ამელი მორესმომ**. მან მოულოდნელად იოლად დათმო შეხვედრა 22 წლის კანადელ **ალექსანდრა ვოზნიაცკისთან**. უიმბლდონის ყოფილი ჩემპიონი იშვიათად იჩენდა ინიციატივას და შესაბამისად მატჩში მხოლოდ ცხრა "ვინერსი" დააგროვა, შეტევაზე გადასვლისას კი ამელი ბევრს ცდებოდა, რაც 31 უნებლიე შეცდომად დაუჯდა. შეხვედრა სულ ერთი საათი გაგრძელდა და მორესმომ ჯამში მხოლოდ სამი გეიმის აღება მოახერხა.

**კიმ კლაისტერსმა** მეორე მატჩი მოიგო "ფლეშინგ მედოუს" კორტებზე. ბელგიელს ფრანგი **მარიონ ბარტოლის** სახით სერიოზული მეტოქე ჰყავდა. ეს ჩოგბურთელები ცინცინატის ტურნირში შეხვდნენ ერთმანეთს და იქ კიმმა ორ სეტში მოუგო. ამჯერად ბარტოლი სერიოზულად იყო განწყობილი და რევანშზე ფიქრობდა. მარიონმა პირველი სეტის ბოლოს უფრო ზუსტად ითამაშა და ანგარიში წაიყვანა, მაგრამ მისი აქტიურობა აქ დასრულდა. შემდეგ ორ სეტში კლაისტერსი შეუჩერებელი იყო. ბელგიელმა შეცდომებს უკლო, უფრო აგრესიულად ათამაშდა და ფრანგმა მომდევნო ორ სეტში მხოლოდ სამი გეიმის აღება მოახერხა. მესამე წრეში კიმს თანამემამულე **კირსტენ ფლიპკენსთან** უწევს შეხვედრა.

კაცებს შორის გუშინდელი დღე პირველ რიგში იმით იყო აღსანიშნავი, რომ კარიერაში უკანასკნელად ითამაშეს "დიდი სლემის" ტურნირზე რუსმა **მარატ საფინმა** და ფრანგმა **ფაბრის სანტორომ**. ეს ჩოგბურთელები ამ სეზონის შემდეგ ასრულებენ კარიერას. ორივე მათგანმა გუშინ იოლად, სამ სეტში დათმო თავისი შეხვედრა.

ტურნირში ჩაება ესპანელი **რაფა ნადალი**, რომელმაც არანაირი შანსი არ დაუტოვა ფრანგ **რიშარ გასკეს**. ეს უკანასკნელი კოკაინის მიღებისთვის იყო დისკვალიფიცირებული და ჩოგბურთში დაბრუნების შემდეგ პირველ ტურნირს თამაშობდა. ფორმიდან ამოვარდნილმა და უთამაშებელმა რიშარმა ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ესპანელს, ხუთი ბრეიკი დაუთმო მეტოქეს, თავად კი მთელი მატჩის განმავლობაში ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია. ნადალის სტატისტიკიდან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ესპანელმა მხოლოდ 10 უნებლიე შეცდომა დაუშვა. ასე რომ, რაფამ ძველი დამაჯერებლობა და სპორტული ფორმა დაიბრუნა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



კიმ სპირსი



ელენა რისტიჩი



## ქომაგები

ამერიკის ღიას მსვლელობისას ფოტოკორესპონდენტების ყურადღება არამარტო კორტის, არამედ ტრიბუნებისკენაც არის მიპყრობილი, სადაც არაერთი საინტერესო პიროვნების "გამოჭერაა" შესაძლებელი.

ამჯერად ფოტოობიექტივმა **ენდი მიურეისა** და **ნოვაკ ჯოკოვიჩის** შეყვარებულები დააფიქსირა. ბრიტანელის მეგობარი **კიმ სპირსი** ხშირად ენდის დედასთან ერთად დადის საქომაგოდ, მაგრამ ამჯერად მარტო უჭერდა მხარს მსოფლიოს მეორე ჩოგანს.

ჯოკოვიჩს გულშემატკივრობდა მისი ძველი შეყვარებული **ელენა რისტიჩი**, რომელთანაც სერბი ჩოგბურთელი სულ მალე იქორწინებს....

გულშემატკივრის გარეშე არც ბელგიელი **კიმ კლაისტერსი** დარჩენილა - მას ტრიბუნიდან ქომაგობდა ქალიშვილი **ჯადა**, რომელიც ძალიან ჰგავს დედას.




